საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №157 (2530) ოთხშაბათი, 9 ივლისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ - 45 თეთრი.

ვიზიტი

საქართველოს პრეზიდენტი მადრიდს გაემგზავრა

8 ივლისს, ნაშუადღევს, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მადრიდს გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს და სიტყვას წარმოთქვამს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე, რომელიც 9 ივლისს გაიხსნება ესპანეთის დედაქალაქში.

ვიზიტის დროს დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან, რუსეთისა და სომხეთის დელეგაციების ხელმძღვანელებთან.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად მადრიდს გაემგზავრნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და სხვა ოფიციალური პირები.

8 ივლისს, საღამოს საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავი მადრიდში დაეშვა.

მეცნიერება

ახალი შევსება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საერთო კრებაზე აირჩიეს ახალი წევრ-კორესპონდენტები: მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება — რევაზ დავითის ძე ბანძური (მათემატიკა), ვახტანგ მიხეილის ძე კოკილაშვილი (მათემატიკა), ანზორ ალექსანდრეს ძე ხელაშვილი (ფიზიკა).

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში — თამაზ ლუკას ძე ჭელიძე (გეოფიზიკა), მირიან ვლადიმერის ძე თოფჩიშვილი (გეოლოგია), ზურაბ კონსტანტინეს ძე ტატაშიძე (გეოგრაფია).

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება — არჩილ ივერის ძე ფრანგიშვილი (ინფორმატიკა), ირაკლი იოსების ძე ღუდუშაური (სამშენებლო მექანიკა), ლევან აბელის ძე ჯაფარიძე (სამთო მექანიკა), პეტრე თომას ძე მერაბიშვილი (ენერგეტიკა).

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება — არსენ ერისტოს ძე შველაშვილი (ქიმია), ილია ბიძინას ძე ბარათაშვილი (მეტალურგია).

ბიოლოგიის განყოფილება — მარლენ შალვას ძე გორდეზიანი (ეკოლოგია), ზურაბ ანდროს ძე მჭედლიძე (პალეობიოლოგია), თენგიზ მალხაზის ძე ზაალიშვილი (მოლეკულური ბიოლოგია).

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება — ლავრენტი გრიგოლის ძე მანაგაძე (უროლოგია), ფრიდონ იპოლიტეს ძე თოდუა (რენტგენოლოგია).

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება — პეტრე პავლეს ძე ნასყიდაშვილი (სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექცია და გენეტიკა), ალექსანდრე კონსტანტინეს ძე დიდებულიძე (სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია).

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება — ოთარ დავითის ძე ლორთქიფანიძე (არქეოლოგია), კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ფიცხელაური (არქეოლოგია), ედუარდ ივანეს ძე კოდუა (სოციოლოგია), ლეო ლეონტის ძე ჩიქავა (მაკროეკონომიკა), ვლადიმერ გიორგის ძე პაპავა (ეკონომეტრიკა), გიორგი (გივი) ზაქარიას ძე ინწკირველი (სამართალმცოდნეობა).

ენისა და ლიტერატურის განყოფილება — ზურაბ სევერიანეს ძე შარაძე (ქართული ლიტერატურა), ელგუჯა გიორგის ძე ხინთიბიძე (ქართული ლიტერატურა), ზურაბ ვარლამის ძე თოფურია (კავკასიური ენები), ზაზა ნიკოლოზის ძე ალექსიძე (ქართულ-სომხური ფილოლოგია).

ინფორმაცია

დელეგაციამ აქტიურად იმუშავა

ვარშავიდან მიღებული ცნობით, გუშინ დასრულდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს დელეგაცია პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით.

საქართველოს დელეგაცია აქტიურად მუშაობდა ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა უსაფრთხოების, დემოგრაფიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტებში, რათა ეუთოს ვარშავის ასამბლეის რეზოლუციაში სათანადოდ აისახოს ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის პრინციპები და ეთნიკური წმენდის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო დაბრუნების აუცილებლობა.

ვაკიჯვარში ძვირფასი აგრომადნის დიდი მარაგია

ოზურგეთის რაიონის სოფელ ვაკიჯვარში, სადაც ადრე ქართველმა და რუსმა გეოლოგებმა ფოსფორშემცველი ქანები — აპატიტები აღმოაჩინეს, მალე ჰოლდინგური კომპანია „სამთო ქიმიისა" და ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები მომპოვებელ სამუშაოებს შეუდგებიან, — განაცხადა აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვალერიან ცანავამ. ამ სამუშაოებისათვის სახელმწიფო 300 ათას ლარს გაიღებს. ვარაუდობენ, რომ ვაკიჯვარში ამ ძვირფასი აგრომადნის საკმაო მარაგია.

შემცირდა ფასები

ივნისის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები სასურსათო პროდუქტზე 0,6 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე 1,9 პროცენტით შემცირდა. ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი შემცირდა 1,3 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ბენზინის გაძვირებამ გამოიწვია მომსახურების ტარიფების გაზრდა 0,1 პროცენტით.

რამდენ ელექტროენერგიას ვიღებთ?

ენგურჰესის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ დაიწყო გვირაბის წყლით შევსება. 7 ივლისის მონაცემებით ჯვრის წყალსაცავის დონე 442,07 მეტრია, ჰესის ამუშავება 10 ივლისისათვის არის დაგეგმილი. ინტენსიურად მიმდინარეობს სხვა მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების შევსება.

გასული კვირის განმავლობაში ენერგოსისტემის საშუალო დღე-ღამური გამომუშავება 14,2 მილიონ კილოვატსაათს შეადგენდა. მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებაა 12,6 მილიონი კილოვატსაათი, ხოლო თბოელექტროსადგურისა — 1,5 მილიონი კილოვატსაათი.

მინგეჩაურის წყალსაცავს საფრთხე ემუქრება

„იბერიის" კორესპონდენტს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოდან" აცნობეს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო, საფრთხე შეექმნა მინგეჩაურის წყალსაცავს. ყოველივე ამან კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მთელი კავკასიის ენერგოსისტემაზე.

პრივატიზაცია - ბიუჯეტს

პრივატიზაციისა და სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის ინფორმაციით, ამჟამად, პრივატიზებულია სახელმწიფო ქონების 20 პროცენტი და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების 74 პროცენტი სწორედ პრივატიზაციის დამსახურებაა.

იყიდება მშენებარე ლუდის ქარხანა

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება საინვესტიციო კონკურსის გზით თბილისში მშენებარე ლუდის ქარხნის გაყიდვის შესახებ, ობიექტის სასტარტო გასაყიდი ფასი 20 მილიონი დოლარის ეკვივალენტური თანხაა.

მშენებლობისა და ამოქმედების პროცესის დამთავრებისათვის საჭიროა კიდევ 20 მილიონი დოლარი. წინასწარი მონაცემებით, უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ საწარმოთი.

იაპონიის უანგარო დახმარება

ხუთ მილიონ დოლარზე მეტი გამოყო იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ ამ სახსრების გამოყენებას, — ასეთია ამომავალი მზის ქვეყნის სპონსორთა პირობა — უშუალო კონტროლს უნდა უწევდეს დონორი ქვეყანა. ამასთან დაკავშირებით, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში აცნობეს, ახლახან გამოცხადდა ტენდერი სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესყიდვასა და მიწოდებაზე. მონაწილეობისათვის მოწვეული არიან იაპონიის სავაჭრო ფირმები, ან წარმომადგენლობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, თურქეთში, ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა", „იბერიამ", ჩვენმა კორესპონდენტებმა.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 4 ივლისი
ქ. თბილისი

საფრანგეთის ქ. დიჟონის ტრადიციული საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის მონაწილეთა ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საფრანგეთის ქ. დიჟონში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე საქართველოსათვის გამოფენის უმაღლესი ჯილდოს „დიდი ოქროს მედლის" — მინიჭების გამო, ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენისათვის, განსაკუთრებული წარმატებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის გამოფენის მონაწილენი დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით:

თამაზ ბეიტრიშვილი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „მერანის" ხელმძღვანელი

გრიგოლ ბერაძე — საქართველოს კულტურის სამინისტროს ქ. თბილისის მოდისა და ჩაცმის კულტურის სახლის დირექტორი

ვახტანგ ბურკაძე — აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გამოფენის ეკონომიკური ჯგუფის ხელმძღვანელი

ამირან ბურჭულაძე — საქართველოს გამოფენათა ცენტრის გენერალური დირექტორი, გამოფენის მემონტაჟე

ნოდარ დოლიძე — შპს ფირმა „არტკომპანიის" დიზაინერი, გამოფენის მემონტაჟე

იუზა ვასაძე — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

თენგიზ სეფიაშვილი — ქ. თბილისის მთავარი მხატვარი, გამოფენის მთავარი მხატვარი.

ე. შევარდნაძე.

მადლობა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საფრანგეთის ქ. დიჟონის ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე საქართველოს ღირსეულად წარმოჩენისათვის და მაღალი პროფესიონალიზმისათვის გამოეცხადოთ მადლობა:

მერაბ ბერაძეს — საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის კორესპონდენტს, **იოსებ ტყებუჩავას** — პრეზიდენტის პრესსამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსს.

დღეს

ჩვენი გაზეთი გთავაზობთ

საქართველოს საგადასახადო კოდექსს

იხ. მე - 2-12 გვ.

უკანასკნელ საათს

ვლადიკავკაზი. გუშინ ჩრდილოეთ ოსეთში მძევლებად აიყვანეს ხუთი კაცი, ხუთივე ჩეჩენი. ჩრდილოეთ კავკასიის სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, ნაზრანში მიმავალი მგზავრებით სავსე მიკროავტობუსი გააჩერეს ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის მახლობლად უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა, რომლებიც ორი „ჯიპით" მოვიდნენ. მძევალთა ბედი გაურკვეველია.

მახაჩყალა. გუშინ ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა დაღესტნის ქალაქი ხასავიურტი. ხეზე დამაგრებული მოწყობილობის აფეთქების შედეგად დაიღუპა 9 და მძიმედ დაშავდა 6 მილიციელი. იქვე აღმოჩნდა მეორე მოწყობილობაც, რომელსაც ბედად, დეტონატორმა უმტყუნა.

ტირანა. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური დასრულდა. არჩევნების შედეგად გაირკვა, რომ ქვეყნის პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას ფატოს ნანოს თაოსნობით სოციალისტები დაიკავებენ.

მოსკოვი. გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პრიმაკოვისა და პაკისტანის საგარეო უწყების ხელმძღვანელის აიუბ-ხანის შეხვედრა. აიუბ-ხანმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე თავმოყრილია მრავალრიცხოვანი ჯარები და მოსალოდნელია კონფლიქტი, იმ დროს, როდესაც ორივე ქვეყანას აქვს ბირთვული იარაღი.

პროვოკაცია

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის განცხადება

7 ივლისს გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნდა საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძის მორიგი პროვოკაციული ხასიათის ინტერვიუ.

ინტერპოლის მიერ ძებნილი ტერორისტის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული დემაგოგიური და ცილისმწამებლური განცხადებები საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარისა და მისი პარტიის წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიის მორიგი აქტია. მინისტრად ყოფილს ამჯერად ქვეყნის პრეზიდენტობა მოსწყურებია და ამისათვის ფაქტების დამახინჯების გზით, ცინიკური ხასიათის განცხადებების გაკეთებასაც აღარ ერიდება.

აშკარაა იმ ძალთა რეანიმაციის მცდელობა, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ქაოსისა და განუკითხაობის წლები საქართველოს უახლესი ისტორიიდან. ინტერვიუში მოყვანილი განცხადებები დანაშაულებრივი ხასიათისაა და ქვეყნის სტაბილური განვითარების წინააღმდეგაა მიმართული.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მოუწოდებს ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, კიდევ ერთხელ მთელი პრინციპულობით მოითხოვონ რუსეთის სპეცსამსახურების მფარველობის ქვეშ მყოფი საერთაშორისო ტერორისტის საქართველოსათვის გადმოცემა. ი. გიორგაძე საქართველოს მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგეს და პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულობებისათვის.

„რევოლუციით" გვემუქრება...

შემთხვევით არაფერი ხდება. ტერორიზმში ბრალდებულ იგორ გიორგაძის ინტერვიუების მოძალებაც არ არის შემთხვევითი.

ეს ინტერვიუმანია კარგად გათვლილ მიზანს ემსახურება — საზოგადოებრიობაში ეჭვის, შიშის დათესვას, დესტაბილიზაციას. გაზეთ „ალიას" 7 ივლისის (№ 105) ნომერში ახალი, „ექსკლუზიური ინტერვიუ" ამ რიგისაა.

მაგრამ მთავარი ის კი არ არის, როგორ უყურებს „ექსკომანდორი" საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და რა შეფასებას აძლევს საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობას („ხედვა" და „შეფასებები" გაცვეთილია და ყალბი), არამედ ის, რომ გიორგაძე, როგორც ჩანს, აპირებს (ყოველ შემთხვევაში ცდილობს ასეთი შთაბეჭდილება შექმნას) პრაქტიკული ღონისძიებები განახორციელოს „შევარდნაძის ფაშისტური პოლიტიკური ხელისუფლების დასამხობად" (ტერმინოლოგიას დააკვირდით!), როცა იგი ლაპარაკობს „მისი უდიდებულესობა ხალხის" (გახსოვთ, ცნობილი კომუნისტური მაქსიმა — „მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი"?), „ასი ათასობით ლტოლვილის" მოსალოდნელ ამბოხზე, იქვე მეფარვით მიგვანიშნებს, ამჟამად მე და ჩემი თანამოაზრეები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „განახლებული საქართველოს" ორგანიზაციულ გაფორმებაზე ვმუშაობთ, რომელიც ქვეყნის ჭრელ პოლიტიკურ პალიტრას ერთი ლოზუნგის ქვეშ გააერთიანებსო (როგორც თქვენ იტყვით, „ექსკომანდორ"!). ხომ ადვილი წარმოსადგენია, რა პრაქტიკულ და ფინანსურ წყაროებს დაეუფლება რუსეთის სპეცსამსახურების წიაღს შეფარებული გენერლის ეს „განახლება"!

გიორგაძემ რუსეთში უკვე მოძებნა თანამოაზრენი იმ უწყებებში, რომლებსაც სხვა ქვეყნებში „რევოლუციების" მოხდენის მდიდარი გამოცდილება აქვთ და ახლა საქართველოში ეძიებს მათ.

ამ „რევოლუციების" სცენარები დიდი ხანია დაწერილი და აპრობირებულია. „რევოლუციის" მამოძრავებელი ძალებიც" დიდი ხანია შერჩეულია იმ პოლიტიკანებს შორის, რომლებიც დღეს ბევრს ლაპარაკობენ 1995 წლის არჩევნების ფალსიფიცირებაზე, პრეზიდენტის, პარლამენტის გადადგომისა და ახალი არჩევნების მოწყობის აუცილებლობაზე, სსრ კავშირის აღდგენის მიზანშეწონილებაზე...

სცენარი არის. ახლა მისი ხორცშესხმაა საჭირო და გაქცეული გენერალი მზადაა შეასრულოს მარიონეტის როლი.

რატომ მაინცდამაინც ახლა, დღეს გამოჩნდა ეს „ექსკლუზინტერვიუ"? ესეც იმ სცენარის ერთ-ერთი პირობაა: მნიშვნელოვანი მოვლენების წინ უნდა გამოიღონ ხელი, შეაშფოთონ, აალელონ ქვეყანა. ივლისი ხომ სწორედ ასეთი მოვლენებით არის სავსე: 31 ივლისს ვადა გასდის სამშვიდობო ძალების ყოფნას კონფლიქტის ზონაში, მოსალოდნელია თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ვიზიტი თბილისში და ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი ამერიკაში... ასეთ შანსს ხელიდან გაუშვებენ?

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც არ შეიძლება ხაზი არ გაესვას: ეს არის საქართველოს იძულება შეუერთდეს რუსეთ-ბელორუსიის კავშირს. საქართველო გამონაკლისი როდია, ასეთი „შეთრევის" პროცესები შეინიშნება უკრაინაში, სხვა რესპუბლიკებში. და აი გაისმის „რევოლუციის" მუქარა!..

დაბოლოს. ბრალდებული, რომლის საქართველოსათვის გადმოცემაც არაერთგზის ეთხოვა რუსეთს უმაღლეს დონეებზე და რომელსაც თავქუდმოგლეჯილი „ეძებენ" რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები, ინტერპოლი, საქვეყნოდ, თავისუფლად იძლევა ინტერვიუებს. ყველაფერი იმდენად თეთრი ძაფით არის ნაკერი, ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო.

რომ ვხედავთ, ამიტომაც გადმოვბეჭდეთ „ალიადან" ი. გიორგაძის ეს პროგრამა-მუქარა. ხალხმა კარგად უნდა იცოდეს ვინ ვინ არის!

იგორ გიორგაძე: „მე საქართველოს პრეზიდენტი უნდა ვყოფილიყავი!.."

„ალიას" ხელში ჩაუვარდა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის, იგორ გიორგაძის ექსკლუზიური ინტერვიუ, ადრინდელისგან განსხვავებით, გიორგაძე არა მარტო უარყოფს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, არამედ თავის დღევანდელ შეხედულებებსაც გვიზიარებს. თუმცა კი, უნდა აღინიშნოს, რომ წინა ინტერვიუებთან შედარებით, მოუხელთებელი ექს-მინისტრის გამოსვლები სულ უფრო რადიკალური და შეურიგებელი ხდება...

ორი წელია საქართველო დატოვეთ. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოხდა, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს დღევანდელ სიტუაციას როგორ შეაფასებდით?

— თუ მოდურ ტერმინოლოგიას („Коричневая чума", წითელი საფრთხე, მწვანეები) გამოვიყენებთ, საქართველოში ცისფერი ფაშიზმი მყარად დამკვიდრდა. ეს შევარდნაძის მაფიურ-ნომენკლატურულ და პოლიტიკურ რეჟიმზე აგებული პირადი ძალაუფლების დიქტატურაა. ეკონომიკურად საქართველო კოლაფსშია. რესპუბლიკა ფინანსურ-ეკონომიკურად მთლიანად დაკაბალებულია. ტერიტორიების ერთი მესამედის დაკარგვა, მოსახლეობის 80 პროცენტის სილატაკე და ეპიდემიები საქართველოს დაცემის საშინელ სურათს გვიხატავს. ასეთი რამ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

— ტრადიციული (რუსული) კითხვა — ვინაა დამნაშავე?

— კითხვაზე ტრადიციულ ოდესურ პასუხს გაგცემთ. უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად 60-იანი წლების ბოლოს ვინ გახდა საქართველოს სსრ-ს მთავარი მილიციელი?

ვინ მართავს საქართველოს 1972 წლიდან უცვლელად? ვინ შექმნა ბრეჟნევის უძრაობის ხანაში კორუმპირებული სახელმწიფო სისტემა და მართვის პარტიულ-ნომენკლატურულ-მაფიური სტრუქტურა, რომელმაც საქართველოს საზოგადოების ყველა ფენა გარყვნა? საქართველოს კპ ცკ-ს აპარატი (რაიკომების და ქალაქკომების ჩათვლით), ვისი მითითებით აგროვებდა ე.წ. ფულად „სტავკებს" და შემდეგ რეგულარულად აგზავნიდა სკკპ ცკ-ს აპარატში?

თავის ოპონენტებს და პოტენციურ მეტოქეებს ავტოკატასტროფებს ვინ უწყობდა? ვინ უყენებდა დახვრეტის მუხლს, ვინ ყრიდა ფანჯრებიდან, ციხეებში და ბანაკებში ვინ ალპობდა, ან დაქირავებული მკვლელის ხელით ვინ ხვრეტდა მათ?

ვინ გასცა სანქცია 9 აპრილს თბილისში ჯარების შეყვანაზე?

მოსკოვიდან ვინ უხელმძღვანელა და ვინ დაუჭირა მხარი 1992 წლის იანვარში საქართველოში სამოქალაქო ომს და კანონიერი ხელისუფლება ვინ დაამხო?

ვინ გააჩაღა საქართველოში სამოქალაქო ომი?

ვინ გააჩაღა და სამარცხვინოდ ვინ წააგო საქართველოს ბოლო 200 წლიანი ისტორიის მანძილზე ყველაზე სისხლიანი ეთნიკური ხოცვა-ჟლეტა აფხაზეთში?

ვინ მიიყვანა საქართველოს ბავშვები სილატაკემდე და უპატრონობამდე?

ვინ მიიყვანა პენსიონერები და ჩვენი მოხუცები „წყნარ" სიკვდილამდე?

ვინ აქცია ოდესღაც ჩვენი ამაყი ქალები და გოგონები უცხოელების გასართობად და ვინ უწოდა ამ სამარცხვინო ხელობას ბიზნესი?

XXI საუკუნის მიჯნაზე ვინ დაანაწევრა საქართველო?

ვინაა საქართველოს მოსახლეობის მთელი თაობის უმომავლო, დამცირებული ცხოვრების შექმნისთვის დამნაშავე?

ბრეჟნევის პერიოდის უძრაობის დროიდან შემორჩენილ მაფიურ-ნომენკლატურულ სტრუქტურებზე დაყრდნობით ერთპიროვნულად ვინ აგრძელებს საქართველოს მართვას — ედუარდ-გიორგი შევარდნაძე.

— ისევ ტრადიციული (რუსული) შეკითხვა — რა ვქნათ?

— შევარდნაძე სარკომაა საქართველოს მკერდზე, თანაც მიშვებული. აქ ქიმიოთერაპია და მკურნალობის სხვა მეთოდები უძლურია. სარკომამ საქართველოს ოცდახუთწლიანი უზურპაციის დროს ჯიბის პარტიების ჯიბის ლიდერებში (მათ შორის ფსევდოოპოზიციურისაც) და კორუფციონერების მაფიოზურ კლანებში მეტასტაზები გაავრცელა. ამიტომ მეტასტაზები არ უნდა გამოგვრჩეს. სხვაგვარად ოპერაცია უაზროა.

— ქირურგში საკუთარ თავს ხედავთ?

— ქირურგი საქართველოს ხალხია. ის დიაგნოზში უკვე გაერკვა. ახლა წინასაოპერაციო მომზადება მიდის. კითხვა კონკრეტულია: საქართველოს ყოფნა-არყოფნა. არჩევანი ყოფნის სასარგებლოდ გაკეთდა და ამიტომ, ჩვენ ახლა მძიმე, მაგრამ საქართველოსთვის აუცილებელი ქირურგიული ოპერაციის მიჯნაზე ვიმყოფებით.

— დიახ, მაგრამ შევარდნაძეს მხარს უჭერს დასავლეთი. ეტყობა, ბოლო დროს ელცინთანაც საერთო ენა გამონახა (ბერეზოვსკის ვიზიტი ამის მიმანიშნებელია). მაშ, რატომ გამოდიხართ დასავლეთისა და რუსეთის მიერ აღიარებული ლიდერის წინააღმდეგ?

— დასავლეთის სავალუტო შიდავენური შემხაპუნება მისი ძალაუფლებისა და მაფიოზური კლანის გამდიდრებას ემსახურება, მაგრამ მიძინებული ხალხისთვის ნარკოტიკის როლს ვერ შეასრულებს. ის შევარდნაძეს ვერ იხსნის. მისი ხელისუფლების არსი საკმაოდ ანტიხალხურია, მმართველობის შედეგები კი მძიმე.

ახლა საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე ლაპარაკიც ზედმეტია. განა შეიძლება შევარდნაძის რეჟიმის მიერ ოკუპირებული ყოფილი საქართველოს აგონიის ხარისხზე ვიმსჯელოთ? როგორც ცნობილია, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, აჭარა და ორი დიდი ანკლავი (აზერბაიჯანული და სომხური) ე.წ. თბილისის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის მიღმაა. საეჭვოა, რომ დასავლეთი ამ პროცესებს თვალს არ ადევნებდეს, რომ ისინი შევარდნაძის კორუმპირებული, პოლიციური რეჟიმით (რომელიც ძირითადად ამერიკელი გადასახადის გადამხდელის ხარჯზე არსებობს) კმაყოფილნი იყვნენ. ვფიქრობ, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ამას აშშ-ს კონგრესმენთა და დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა სკეპტიციზმი და აგრეთვე, საქართველოს სიტუაციაზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგიერთი ღია და არც ისე ღია (ჩვენი თანამემამულეების საყურადღებოდ) დოკუმენტებიც მოწმობს.

რაც შეეხება რუსეთს, არა მგონია, რომ იქ შევარდნაძის ანტირუსული თამაშების არსს ვერ ამჩნევდნენ. უბრალოდ, დღეს რუსეთს როგორც შიგნით, ისე გარეთ, თავისი ძალიან რთული პრობლემა აქვს. მას შევარდნაძის ბანალური რეჟიმისთვის არ სცალია. და რომ არა ქართულ-აფხაზური სასაკლაო, რომელიც შევარდნაძემ საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად მოაწყო და ნავთობსადენის ირგვლივ არცთუ იაფი სპეკულაცია, მისი რეჟიმი არავის ეხსომებოდა. ისევე, როგორც არაფერი ახსოვთ იმ ათეულობით დიქტატორზე, სანამ მათ ხალხი არ აუჯანყდება.

— ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი ფიქრობს, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია სტაბილურია. ეკონომიკაშიც დადებითი ძვრებია. თქვენ მიგაჩნიათ, რომ შევარდნაძეს ჰყავს ოპოზიცია, რომელიც ამ სტაბილურობას დაარღვევს?

— მე არ მიმაჩნია, რომ შევარდნაძის ფაშისტურ-პოლიტიკური ხელისუფლება სტაბილურია. მე ძალიან კარგად ვიცი საქართველოს სინამდვილე. დღეს შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმის წინააღმდეგ სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის ძალები აღსდგებიან: საქართველოს ანტირუსული განვითარების მიმდევარი პირწავარდნილი ნაციონალისტებიდან დაწყებული, საბჭოთა კავშირის აღდგენაზე მეოცნებე კომუნისტებით, ე.წ. ზვიადისტებით (ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაა საქართველოში), ტრადიციონალისტებით, მონარქისტებით და სხვა „ისტებით" დამთავრებული.

და ბოლოს, კორუფციონერთა ხროვის მსახური დღევანდელი მაფიოზური ზედაფენის წინააღმდეგ აღსდგება მისი უდიდებულესობა ხალხი, ასობით ათასი ლტოლვილი, უპოვარი, დამცირებული და დაჩაგრული ხალხის ის ნაწილი, რომელსაც დღევანდელი ჟანგმოდებული მმართველები ზიზღით მასად მოიხსენიებენ. საზოგადოებისთვის ნათელი ხდება, რომ შევარდნაძის დღევანდელი ძირმომპალი რეჟიმი უფრო და უფრო უარესდება.

— მიგაჩნიათ, რომ საქართველოში საპროტესტო აქციები სტიქიურად შეიძლება მოხდეს?

— რატომ სტიქიურად. საქართველოში შევარდნაძის ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ სერიოზული პოლიტიკური მუშაობა მიმდინარეობს. მან ბრეჟნევურ-ჩერნენკოვურ ეპოქაში გამოკვებილმა, გამოცდილმა ინტრიგანმა — გარკვეულ ეტაპზე მრავალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში განხეთქილების შეტანა შეძლო. აქედან გამომდინარეა, რომ დღეს საქართველოში ორი შოთა რუსთაველის საზოგადოებაა, სამი სოციალისტური, ორი სოციალ-დემოკრატიული, სამი კომუნისტური, ორი ეროვნულ-დემოკრატიული და ა.შ. პარტიები. მაგრამ ეს მხოლოდ შევარდნაძის, როგორც პოლიტიკოსის აღსასრულს სწევს უკან. ამჟამად მე და ჩემი თანამოაზრეები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „განახლებული საქართველოს" ორგანიზაციულ გაფორმებაზე ვმუშაობთ, რომელიც რესპუბლიკის ჭრელ პოლიტიკურ პალიტრას ერთი ლოზუნგის ქვეშ გააერთიანებს. ეს რთული, მაგრამ შესრულებადი ამოცანაა.

— არ შემიძლია არ დაგისვათ კითხვა, რომელზეც თქვენ, ალბათ, ბევრჯერ გიპასუხიათ. რა მოხდა შევარდნაძეზე თავდასხმით და რატომ გადანაშაულებენ თქვენ საქართველოში მომხდარი ყველა ტერაქტის ორგანიზებაში?

— ამ კითხვაზე ხშირად მიწევს პასუხის გაცემა, თუმცა, დამოუკიდებელი პრესა პასუხებს იშვიათად ბეჭდავს. შევეცდები მოკლედ და არსებითად გიპასუხოთ.

მე რომ 1995 წლის 5 ნოემბერს პრეზიდენტის პოსტზე ჩემი კანდიდატურა დამესახელებინა (რისიც შევარდნაძეს პანიკურად ეშინოდა), მაშინ ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით არჩევნების ფალსიფიცირებას არ დავუშვებდი და მაშინდელი რეიტინგით შევარდნაძეს ხელისუფლებაში დარჩენის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა. ეს კი შევარდნაძისთვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ მის მიერ ჩადენილი კონკრეტული და მრავალრიცხოვანი დანაშაულებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს წარმოშობდა. მოვლენათა ასეთი განვითარება რომ არ დაეშვა, მან 1995 წლის 29 აგვისტოს მის პერსონაზე თავდასხმის ფარსი გამოიყენა და არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ჩემგან წინდახედულად განთავისუფლდა. მას საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების ისტერიულად ეშინოდა და ნებისმიერი კონკურენციის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი იღონა. მე და ჩემს თანამოაზრეებს მიზნის მისაღწევად შევარდნაძესავით ბინძური, სისხლიანი პრინციპები რომ გამოგვეყენებინა, თანამდებობიდან (1995 წლის ორი სექტემბერი) განთავისუფლების შემდეგაც ერთ საათში შემეძლო შევარდნაძის რეჟიმი უსასრულობაში გამესტუმრებინა, მაგრამ სისხლი დაიღვრებოდა და ამას მაშინდელ სიტუაციაში ვერავინ გაიგებდა.

— ე.ი. თქვენ შეგეძლოთ საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყავით?

— ერთი რამ ზუსტად შემიძლია ვთქვა — შევარდნაძე დღეს პრეზიდენტი არ იქნებოდა. მან ეს იცოდა. ასეთი ალტერნატივის დროს, მთელი სიცოცხლე გვამებზე მოსიარულე შევარდნაძე, პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან მორიგი შეტაკების წინ, რა თქმა უნდა, არ გაჩერდებოდა. ის პირსისხლიანობა, რომლითაც შევარდნაძე მებრძვის ჩემი გადადგომისწინანდელი საჯარო განცხადებით და ინტერვიუებითაა გამოწვეული. ფაქტობრივად, ეს შევარდნაძის პირველი ნივთიერი ბრალდებები იყო. პასუხმაც დიდხანს არ დააყოვნა. ერთი კვირის შემდეგ საქართველოში გახმაურებული ყველა დანაშაული მე მომაწერეს. ახლა უკვე ცნობილია, რომ ჩემს წინააღმდეგ „მოწმეთა ჩვენებები ედუარდ-გიორგიზე ე.წ. თავდასხმის თანამონაწილეებს არაადამიანური ტანჯვით წაგლიჯეს. მათ დენით აწამებდნენ. იყენებდნენ ფსიქოტროპულ საშუალებებს, აშინებდნენ ოჯახის წევრებზე ანგარიშსწორებით. ზოგიერთი წამებას ვერ უძლებდა და თვითმკვლელობის მცდელობაც იყო. ამიტომ მე ამ ადამიანებს არათუ არ ვამტყუნებ პირიქით, ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შევუთვალე იმ არაადამიანურ, უმკაცრეს პირობებში, რომლებშიც იმყოფებიან, თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ემოქმედათ, შეენარჩუნებინათ სიცოცხლე და ჯანმრთელობა. თითქმის ყველა მათგანი ინვალიდია. დაპატიმრებულთა ელექტროდენით წამება მარტო უცხოელმა ექსპერტებმა კი არ დააფიქსირეს, ეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაშიცაა აღნიშნული. საქართველოში წამების საყოველთაო გამოყენებაზე არაერთ ცნობილ სამართალდამცავს უთქვამს. იგივე აღნიშნა ბოლო მოხსენებაში ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშნლმა". ამაზე ლაპარაკობდა თავის გამოსვლებში საქართველოში ედუარდ-გიორგი შევარდნაძის მიერ პირადად მოწვეული ცნობილი რუსი სამართალდამცავი სერგეი კოვალიოვი. ერთი სიტყვით, შევარდნაძე პოლიტიკურად მდევნის. შევარდნაძე მზადაა საქართველოთი ივაჭროს, ოღონდ თავის სისხლიან ხელებში ჩამიგდოს. მაგრამ მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ.

გიორგი მელაძე.

გაზეთი „ალია"
№ 105. 07.07.97

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

კარი I
ზოგადი დებულებანი
თავი 1
საქართველოს საგადასახადო სისტემა

მუხლი 1
საგადასახადო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობანი

1. ეს კოდექსი არეგულირებს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასა და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს.

2. ამ კოდექსით განსაზღვრული ცნებები და ნორმები გამოიყენება მხოლოდ გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლის გადახდა რეგულირდება საბაჟო კანონმდებლობით.

მუხლი 2
საგადასახადო სისტემა

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

მუხლი 3
გადასახადების დაწესებისა და გადახდევინების სამართლებრივი საფუძვლები

1. ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი გადასახადის გადამხდელია.

2. დაუშვებელია ამ კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება.

3. ამ კოდექსის მიხედვით დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე და ექვემდებარება ბიუჯეტში აუცილებელ გადახდას.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ მხოლოდ ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები.

მუხლი 4
საგადასახადო კანონმდებლობა

1. საგადასახადო კანონმდებლობა შედგება ამ კოდექსისა და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2. საგადასახადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კოდექსს. წინააღმდეგობის არსებობისას გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები.

3. გადასახადით დაბეგვრისას ამ კოდექსის დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობის დროს გამოიყენება ამ კოდექსის დებულებები.

4. დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის გამოქვეყნებული აქტები, რომლებიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის.

5. გადასახადების დაწესება ან გაუქმება, გადახდის წესის შეცვლა ხდება ამ კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანით, ხოლო ადგილობრივი გადასახადების გადახდის პირობების შეცვლა – შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანით.

6. საგადასახადო კანონმდებლობის აქტებს უკუქმედების ძალა არა აქვს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7. აკრძალულია არასაგადასახადო კანონმდებლობით ისეთი საკითხების დარეგულირება, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრასთან, გარდა:

ა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ დებულებებისა, რომლებიც შედის კოდექსში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

ბ. გადასახადებთან დაკავშირებულ დანაშაულთა შესახებ დებულებებისა, რომლებიც შედის სისხლის სამართლის კოდექსში;

გ. საგადასახადო დავალიანებათა პრიორიტეტის შესახებ დებულებისა, რომელიც შედის საქართველოს კანონში გაკოტრების შესახებ;

დ. საბაჟო კანონმდებლობისა;

ე. კანონმდებლობისა მოსაკრებლების დაწესების თაობაზე.

8. თუ საქართველოს მიერ დადებული და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმები, გარდა ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

9. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის იმ რეზიდენტზე, რომლის მეშვეობითაც შეღავათებით სარგებლობს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის არარეზიდენტი.

მუხლი 5
გადასახადის ცნება

გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში (შემდგომში – სახელმწიფო ფონდი) სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

მუხლი 6
გადასახადის სახეები

1. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

2. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:
ა. საშემოსავლო გადასახადი;
ბ. მოგების გადასახადი;
გ. დამატებული ღირებულების გადასახადი;
დ. აქციზი;
ე. ქონების გადასახადი;
ვ. მიწის გადასახადი;
ზ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
თ. გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
ი. სოციალური გადასახადი;
კ. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
ლ. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის;
მ. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის.

3. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:
ა. გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის;
ბ. სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
გ. საკურორტო გადასახადი;
დ. სასტუმროს გადასახადი;
ე. რეკლამის გადასახადი;
ვ. მანქანების პარკირების გადასახადი;
ზ. გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

4. ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილების წესი განისაზღვრება „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ და „სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით.

5. გადასახადი გამოიანგარიშება ფულად გამოხატულებაში და გადაიხდება ლარებით.

6. ამ კოდექსით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან განთავისუფლება ან საგადასახადო განაკვეთის შემცირება შეიძლება მხოლოდ ამ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით. ადგილობრივი გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია ამ კოდექსში, ხოლო სხვა შეღავათების მინიჭება – შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანით.

7. აკრძალულია სხვა სამართლებრივი აქტებით საგადასახადო შეღავათების დაწესება.

8. აკრძალულია ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება.

თავი 2
კოდექსში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განსაზღვრებანი

მუხლი 7
ეკონომიკური საქმიანობა

1. ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი მართლზომიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:

ა. სახელმწიფო ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციის შესრულებასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევასა და სხვა სამეწარმეო საქმიანობას;

ბ. საქველმოქმედო საქმიანობა;

გ. რელიგიური საქმიანობა.

3. ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება იყოს სამეწარმეო და არასამეწარმეო.

მუხლი 8
სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა

1. სამეწარმეო საქმიანობად ითვლება საქმიანობა, განსაზღვრული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო გარიგებების ან სხვა სამეურნეო ოპერაციების სახით.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სამეწარმეო საქმიანობას უთანაბრდება იმ ფიზიკური პირის საქმიანობა, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას.

3. არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის საფასურის გადახდით ქონების (მათ შორის ფულადი სახსრების) დროებით მფლობელობაში, სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა, ამ ქონებაზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემისა და მისი შემდგომი გასხვისების შესაძლებლობის გარეშე, თუ ასეთი გადაცემა არ განეკუთვნება ფინანსურ საქმიანობას და ქონების მიმღები პირისათვის არ წარმოშობს გადაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასთან დაუკავშირებელ დამატებით ვალდებულებებს ან ამ ქონების ფლობისათვის, გამოყენებისა და მართვისათვის ანაზღაურების გაცემასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება:

ა. ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით სამუშაოს შესრულება ამ კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით;

ბ. ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში;

გ. ქონების იჯარით გადაცემა, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ. ქონების მართვა მინდობილობით;

ე. თუ ამ მუხლის მე-5 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას უთანაბრდება აგრეთვე საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის ან ფასიანი ქაღალდების შეძენა (რეალიზაცია), ობლიგაციებისა და სხვა სავალო ვალდებულებათა შეძენა (რეალიზაცია), საპაიო საინვესტიციო ფონდში პაის შეძენა (რეალიზაცია); აგრეთვე გამყიდველის საკუთრებაში არსებული საავტორო ან სხვა ანალოგიური უფლების რეალიზაცია.

5. ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების შეძენასთან (რეალიზაციასთან), ითვლება სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა. ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისტემატურად და წარმოადგენს აღნიშნული ოპერაციების განმახორციელებელი პირის პროფესიულ საქმიანობას;

ბ. ხდება გამყიდველის მიერ წარმოებული (შესრულებული, გაწეული) საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაცია;

გ. ასეთი ოპერაციები ხორციელდება სავაჭრო, სავაჭრო-საშუამავლო (დილერის საქმიანობის ჩათვლით) ან საშუამავლო საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 9
დაქირავებით მუშაობა

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის დაქირავებით მუშაობად ითვლება:

ა. ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომელთა რეგულირებაც ხდება შრომის ან სახელმწიფო სამსახურის შესახებ კანონმდებლობით;

ბ. ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შეიარაღებულ ძალებში, სამართალდამცავ ან მასთან გათანაბრებულ ორგანოებში სამსახურთან;

გ. ფიზიკური პირის მიერ საწარმოს ან ორგანიზაციის დირექტორის მოვალეობის შესრულება.

2. დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი ამ კოდექსში იწოდება დაქირავებულად. პირი, რომელიც ანაზღაურებს ასეთი დაქირავებული ფიზიკური პირის მიერ გაწეულ მომსახურებას, იწოდება დამქირავებლად, ხოლო ასეთი ანაზღაურება – ხელფასად.

მუხლი 10
საქველმოქმედო საქმიანობა

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება მატერიალური დახმარების უშუალოდ გაწევა, მათ შორის გრანტის ან სხვა დახმარების (შემწეობის) სახით იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ასეთ დახმარებას, ან ორგანიზაციებისათვის (მათ შორის საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის), რომლებსაც უშუალოდ უწევენ ასეთ დახმარებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საქველმოქმედო საქმიანობას განეკუთვნება დახმარება (შემწეობა), რომელიც გაეწევა:

ა. ნაკლებუზრუნველყოფილ ფიზიკურ პირებს ან იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ ადაპტაციას ან სოციალურ დაცვას;

ბ. ბავშვებს, რომლებსაც არა ჰყავთ მშობლები (მშობელი), სკოლამდელ ან სხვა საბავშვო დაწესებულებებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან ასეთი ბავშვების მოვლა-პატრონობას;

გ. ინვალიდებს ან მოხუცებს, აგრეთვე ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან ინვალიდების ან მოხუცების მოვლა-პატრონობას;

დ. ფიზიკურ პირებს, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას (შემწეობას ან სპეციალურ მოვლას) სამედიცინო ან მასთან დაკავშირებული მომსახურების (მათ შორის ასეთი მომსახურების გაწევის ადგილამდე მგზავრობის) ანაზღაურების სახით; აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების სტატუსის მქონე ორგანიზაციებს;

ე. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სტიპენდიების დაწესების ჩათვლით;

ვ. მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებებს;

ზ. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ფიზიკურ პირებს მათი ტალანტის განვითარებისათვის;

თ. დაბინძურების ან სხვა მავნე ზემოქმედებისაგან მოსახლეობის ან ბუნების დაცვისათვის;

ი. რელიგიურ ორგანიზაციებს;

კ. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებს მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესებისათვის.

3. პირისათვის გაწეული დახმარება (შემწეობა) არ ჩაითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, თუ:

ა. ასეთი დახმარების (შემწეობის) მიმღებ პირს წარმოექმნება ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის ვალდებულება (გარდა ვალდებულებისა, გამოიყენოს მიღებული სახსრები ან ქონება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით) იმ პირის მიმართ, რომელმაც გაუწია მას ასეთი დახმარება;

ბ. ასეთი დახმარების (შემწეობის) გამცემი და მიმღები პირები წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს ამ კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით;

გ. ასეთ დახმარებას (შემწეობას) აქვს პოლიტიკური ხასიათი, რომელიმე პოლიტიკური პარტიისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის (მოძრაობისათვის), საარჩევნო გაერთიანების ან ცალკეული ფიზიკური პირისათვის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად სახსრების გადარიცხვის ჩათვლით.

მუხლი 11
რელიგიური საქმიანობა

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს აღმსარებლობასა და სარწმუნოების გავრცელებას, მათ შორის ისეთი გზით, როგორიცაა:

ა. რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების ან სხვა საკულტო ქმედებათა ორგანიზაცია და ჩატარება;

ბ. მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები ან რიტუალური ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად;

გ. რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზაცია, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზაცია, აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებელი სადგომებით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფის ჩათვლით;

დ. მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, აღნიშნული სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო დაწესებულებების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

2. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება: იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (ღვთისმსახურების) ლიტერატურას ან აწარმოებენ (ამზადებენ) რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (ღვთისმსახურების) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ამ სახის საქმიანობით მიღებული სახსრების გამოყენება რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) რელიგიური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

მუხლი 12
საწარმოები

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის საწარმოებად ითვლება ის წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად, კერძოდ:

ა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ. უცხო ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები;

გ. ფილიალები და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფები, რომლებიც წარმოადგენენ ამ ნაწილის „ა“ პუნქტში აღნიშნული წარმონაქმნების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, აქვთ ცალკე ბალანსი და საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიში.

2. ტერმინი საწარმო არ მოიცავს ინდივიდუალურ საწარმოს.

მუხლი 13
საქართველოს საწარმო და უცხოური საწარმო

1. საქართველოს საწარმოდ ითვლება საწარმო, რომლის საქმიანობის ადგილი საქართველოა, ან რომლის მართვის ადგილი საქართველოშია.

2. უცხოურ საწარმოდ ითვლება საწარმო, რომელიც ამ მუხლის მიხედვით არ არის საქართველოს საწარმო.

მუხლი 14
საწარმოს საქმიანობის ადგილი

საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი, ხოლო, თუ ასეთი არ არსებობს, – ადგილი, რომელიც მითითებულია საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში (წესდებაში, ხელშეკრულებაში, დებულებაში).

მუხლი 15
ინდივიდუალური საწარმოს საქმიანობის ადგილი

ინდივიდუალური საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება მეწარმე ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის ადგილი.

მუხლი 16
საწარმოს მართვის ადგილი

საწარმოს მართვის ადგილად ითვლება ფაქტობრივი მართვის ადგილი, ანუ ადგილი, სადაც საწარმოს ხელმძღვანელობა ასრულებს მმართველობის ფუნქციას.

მუხლი 17
მუდმივი დაწესებულება

1. უცხოელი ფიზიკური პირის ან უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებად საქართველოში ითვლება გადასახადის გადამხდელის დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც ის მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მუდმივ დაწესებულებას უთანაბრდება:

ა. სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი, აგრეთვე ასეთ ობიექტებთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება;

ბ. დანადგარი ან კონსტრუქცია, საბურღი დანადგარი ან ხომალდი, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი რესურსების დასაზვერად, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება;

გ. მუდმივი ბაზა, სადაც არარეზიდენტი ფიზიკური პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

3. უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებად საქართველოში არ ითვლება საქართველოში არსებული დაწესებულება, რომელიც გამოიყენება (მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყენებს მას) მხოლოდ:

ა. ამ უცხოური საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაწარმის შესანახად;

ბ. ამ უცხოური საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაწარმის მარაგების შესანახად – სხვა პირის მიერ მხოლოდ მისი გადამუშავების მიზნით;

გ. ამ უცხოური საწარმოსათვის საქონლის ან ნაწარმის შესყიდვის ან ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

დ. ამ უცხოური საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის საქმიანობის გასაწევად;

ე. ამ ნაწილის „ა“–„დ“ პუნქტებში მითითებულ საქმიანობათა სახეობების ნებისმიერი კომბინაციის განსახორციელებლად.

მუხლი 18
ინდივიდუალური საწარმო

1. ინდივიდუალურ საწარმოდ ითვლება საწარმო, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და რომლის ერთადერთი მონაწილე და მმართველი არის ერთი ფიზიკური პირი (საწარმოს მესაკუთრე).

2. ინდივიდუალურ საწარმოსთან გათანაბრებულია:

ა. საწარმო, რომლის ერთადერთი მონაწილეები არიან ოჯახის წევრები, იმისდა მიუხედავად, ერთად მართავენ ისინი ამ საწარმოს, თუ ერთ-ერთი მათგანი – ურთიერთშეთანხმებით;

ბ. ფერმერული მეურნეობა, რომელიც შექმნილია კანონმდებლობით დადგენილი წესით იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე და რომლის მესაკუთრეს წარმოადგენს ფიზიკური პირი ან მისი ოჯახის წევრები.

მუხლი 19
ორგანიზაციები

1. ორგანიზაციებად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები:

ა. საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებებ ფონდები, დაწესებულებები, ასოციაციები (კავშირები) და სხვ ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ არასამეწარმეო იურიდ პირებს საქართველოს კანონმდებლობით ან შექმნილნი არიან მოქმედებენ უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით;

ბ. სახელმწიფოთაშორისი და სამთავრობათშორისო ორგანიზაციებ

2. ორგანიზაციის საქმიანობის ადგილი და ორგანიზაციის მართვ ადგილი განისაზღვრება საწარმოსათვის დადგენილი წესით.

3. ორგანიზაციის მიკუთვნება საქართველოს ან უცხოურ ორგანიზაციისათვის ხდება საწარმოსათვის ამ კოდექსით დადგენილ წესის მიხედვით.

4. თუ ორგანიზაცია ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მისი ქონებ და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მის სამეწარმ საქმიანობას, განიხილება როგორც საწარმოს საქმიანობა და ქონებ

მუხლი 20
საბიუჯეტო ორგანიზაცია

საბიუჯეტო ორგანიზაციად ითვლება სახელმწიფო (მუნიციპალურ საკუთრების ბაზაზე შექმნილი ორგანიზაცია, მათ შორის სახელმწ ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო რომლებიც სახელმწიფოს მიერ მათთვის დაკისრებულ მოვალეობ ასრულებენ დადგენილი ნორმების, ნორმატივებისა და წესების მიხედ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.

მუხლი 21
საქველმოქმედო ორგანიზაცია

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლ ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიან განხორციელების მიზნით, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგ წესით, ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას და აკმაყოფილებს ამ მუხლ დადგენილ მოთხოვნებს.

2. ორგანიზაცია (მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დასახელებისაგან დამოუკიდებლად) არ ითვლება საქველმოქმე ორგანიზაციად, თუ იგი:

ა. ისახავს პოლიტიკურ მიზნებს ან ეწევა პოლიტიკურ საქმიანობ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაცი (მოძრაობის) ან ცალკეული ფიზიკური პირის წინასაარჩევნო კამპანი პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობის ჩათვლით;

ბ. ორგანიზაციის შემოსავლებს ან აქტივებს სარგებელი მოაქვს ა თუ იმ პირისათვის, მათ შორის მისი ქონებისა და მომსახურების საფასურ სახით, გარდა მისი საქველმოქმედო საქმიანობის შედეგად მიღებულ სარგებლისა.

მუხლი 22
რელიგიური ორგანიზაცია

ამ კოდექსის მიზნებისათვის რელიგიურ ორგანიზაციად ითვლ ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობ განხორციელების მიზნით და რეგისტრირებულია ასეთად კანონმდებლობ დადგენილი წესით.

მუხლი 23
საგადასახადო აგენტი

1. საგადასახადო აგენტად ითვლება პირი, რომელსაც ამ კოდექს ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტის შესაბამისად ეკისრე გადასახადის გამოანგარიშების, გადამხდელთათვის მისი დაკავები და სათანადო ბიუჯეტში (სახელმწიფო ფონდში) გადარიცხვის მოვალეობ

2. საგადასახადო აგენტი უფლებათა და მოვალეობათა თვალსაზრის გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან, თუ ამ კოდექსით სხვ რამ არ არის დადგენილი.

საგადასახადო აგენტი ვალდებულია:

ა. სწორად და დროულად გამოიანგარიშოს, დაუკავოს გადასახა გადამხდელებს და გადარიცხოს ბიუჯეტებში (სახელმწიფო ფონდებშ სათანადო გადასახადები;

ბ. აწარმოოს გადასახადის ყოველი გადამხდელისათვის გადახდ შემოსავლების, აგრეთვე დაკავებული და ბიუჯეტებში (სახელმწიფ ფონდებში) გადარიცხული გადასახადების აღრიცხვა;

გ. წარუდგინოს საგადასახადო ორგანოებს გადასახადებ გამოანგარიშების, დაკავებისა და გადახდის სისწორის კონტროლ განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტები;

დ. შეასრულოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხ მოვალეობანი.

4. საგადასახადო კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაშ საგადასახადო აგენტი პასუხს აგებს ამ კოდექსით ან საქართველო სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 24
ურთიერთდამოკიდებული პირები

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელ შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეუძლია უშუა გავლენის მოხდენა მათ შორის გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკ შედეგებზე.

2. ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება, კერძო ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა. პირები წარმოადგენენ ერთი საწარმოს დამფუძნებლ (მონაწილეებს), თუ მათი ჯამური წილი შეადგენს არანაკლებ 20 პროცენ

ბ. ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პი საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი შეადგენს არანაკლებ 2 პროცენტს;

გ. ერთი პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება მეორ ან ერთი პირი იმყოფება მეორე პირის (პირდაპირი ან არაპირდაპირ კონტროლის ქვეშ;

დ. პირები წარმოადგენენ ფილიალ საწარმოებს ან იმყოფებიან მესამ პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ;

ე. პირები ერთად (პირდაპირ ან არაპირდაპირ) აკონტროლებენ მესამ პირს;

ვ. პირები ნათესავები არიან.

მუხლი 25
ფიზიკური პირი – რეზიდენტი

1. რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივა იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 182 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში, რომელიც მთავრდება საგადასახადო წელს, ა იგი საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფება უცხოეთში საქართველ სახელმწიფო სამსახურში.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით საქართველ ტერიტორიაზე ფაქტობრივი ყოფნის დროს არ განეკუთვნება ის დრ რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველო

ა. როგორც პირი, რომელსაც ჰქონდა დიპლომატიური სტატუსი, ა როგორც ასეთი პირის ოჯახის წევრი;

ბ. როგორც თანამშრომელი საერთაშორისო ორგანიზაციისა, ან როგორ პირი, რომელიც იმყოფებოდა უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურშ ანდა როგორც ასეთი პირის ოჯახის წევრი;

გ. მხოლოდ უცხოეთის ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოშ გადაადგილებისას საქართველოს ტერიტორიის გავლით.

3. საქართველოში ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშ ფიზიკური პირი ფაქტობრივად იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზ მიუხედავად ამ ყოფნის ხანგრძლივობისა.

4. საქართველოს არარეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელ ამ მუხლის მიხედვით არ არის საქართველოს რეზიდენტი.

5. რეზიდენტის ან არარეზიდენტის სტატუსის დადგენა ხდება ყოველ საგადასახადო პერიოდის მიმართ.

მუხლი 26
ფიზიკური პირი – მეწარმე

1. ფიზიკური პირი ითვლება მეწარმედ, თუ ის არის ინდივიდუალ მეწარმე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონ მე-2 მუხლის მიხედვით და, თუ ის დამოუკიდებლად და თავისი რისკ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას იურიდიული პირის წარმოქმნის გარ

2. ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელ რეგისტრაციის, ლიცენზიის, მოწმობის ან სხვა მსგავსი დოკუმენ აღების დადგენილი წესის დარღვევით არ ითვლება ამ ფიზიკური პი დაბეგვრის მიზნით მისი მეწარმედ არცნობის საფუძვლად.

3. ამ კოდექსის მიზნებისათვის მეწარმეს უთანაბრდება ფიზიკუ პირი, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ისეთ სამეწარმეო საქმიანო რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონ პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით არ განეკუთვნება სამეწარ საქმიანობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

მუხლი 27

საბაზრო ფასი

1. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასად ითვლება [illegible] საბაზრო ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისას და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც ამ კოდექსის [illegible]-ე მუხლის მიხედვით არ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს.

2. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასი განისაზღვრება ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის მომენტისათვის იდენტურ (ერთგვაროვან) საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) დადებულ შესაბამის გარიგებათა შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

3. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასის განსაზღვრისას ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებები მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ მოახდენს გარიგებათა შედეგებზე.

4. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ბაზრად ითვლება ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის (მყიდველის) შესაძლებლობის გათვალისწინებით, რეალურად და მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს (შეიძინოს) საქონელი (სამუშაო, მომსახურება) მყიდველთან (გამყიდველთან) მიმართებით უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

5. თუ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შესაბამის ბაზარზე იდენტურ (ერთგვაროვან) საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) დადებული გარიგება ან ამ ბაზარზე ასეთი საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება არ არსებობს, საბაზრო ფასი განისაზღვრება იმ ფასებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია იდენტურ საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) შესაბამისი გარიგებით საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის მომენტისათვის უახლოეს დღეს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის მომენტს არა უმეტეს 30 დღით. ამასთან, ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასი განისაზღვრება ამავე ემიტენტის ასეთივე ფასიანი ქაღალდის საბირჟო კოტირებებით აღნიშნული ფასიანი ქაღალდის რეალიზაციის მომენტისათვის უახლოეს დღეს, რომელიც წინ უსწრებს ამ ფასიანი ქაღალდის რეალიზაციის მომენტს და რომელზედაც გამოცხადდა აღნიშნული კოტირებები.

6. თუ ამ მუხლის პირველი – მე-5 ნაწილების დებულებათა გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასი განისაზღვრება ეკონომიკის სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დადგენილი წესით. ამასთან, მხედველობაში მიიღება მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრივი ხარჯები საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოებასა ან/და რეალიზაციაზე (შეძენის ფასი და ნარჩენი ღირებულება), მსგავს შემთხვევებში ტრანსპორტირების, შენახვის, დაზღვევის ჩვეულებრივი და სხვა მსგავსი ხარჯები, აგრეთვე არაურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებისას ჩვეულებრივი წანამატები ფასზე ან ფასდათმობები, რომლებიც ითვალისწინებს მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ბაზარზე. აღნიშნული ფასდათმობები მხედველობაში მიიღება, კერძოდ, საქონლის ხარისხის ან სხვა სამომხმარებლო თვისებების დაკარგვისას, საქონლის ვარგისიანობის ან რეალიზაციის ვადის გასვლისას (გასვლის თარიღის მოახლოებისას).

7. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გაცვლის ოპერაციები (ბარტერული ოპერაციები) განიხილება როგორც გარიგებები, რომელთა მიხედვითაც გამცვლელ მხარეთაგან თითოეული ახდენს თავისი საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციას და იძენს სხვა საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას). ამასთან, ასეთი ოპერაციის დროს რეალიზებული (შეძენილი) საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასი განისაზღვრება ამ მუხლის მიხედვით.

8. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს მტკიცებები, ხოლო საგადასახადო ორგანო საკმარისი საფუძვლის არსებობისას ეთანხმება წარმოდგენილ მტკიცებებს, რომ სათანადო გარიგების მიმართ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასის განსაზღვრისას და აღიარებისას გამოყენებულ იქნეს ამ მუხლში მითითებული წესისაგან განსხვავებული წესი.

9. საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასის განსაზღვრისას და აღიარებისას გამოიყენება ინფორმაციის ოფიციალური წყაროები საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასებისა და საბირჟო კოტირებების შესახებ, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადამხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია.

10. ბუნებრივი რესურსების საბაზრო ფასი ამ კოდექსის მე-10 კარში მოყვანილი ბუნებრივი რესურსების სახეობებისა და ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება შესაბამისი რესურსებით სარგებლობის სალიცენზიო საუწყებათაშორისო საბჭოების მიერ წელიწადში ერთხელ და მტკიცდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე ლიცენზიის გამცემი უწყების მიერ.

11. საბაზრო ფასი შეიძლება იყოს საბითუმო და საცალო.

მუხლი 28

საგადასახადო ვალდებულება

1. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება გადასახადის გადამხდელის ვალდებულება, გადაიხადოს კანონით დაწესებული გადასახადი.

2. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის, აგრეთვე მისი შესრულების წესი და პირობები რეგულირდება მხოლოდ ამ კოდექსით ან/და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

3. საგადასახადო ვალდებულება ეკისრება გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებენ გადასახადის გადახდას.

მუხლი 29.

კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრებანი

ამ კოდექსის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

1. პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

2. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი – საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მიკუთვნებული ნომერი.

3. გადასახადების ადმინისტრირება – გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან, დეკლარირებასა და კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასა და ინფორმირებასთან დაკავშირებული ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რასაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

4. ნათესავები:
ა. მეუღლეები;
ბ. აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავები;
გ. დები (ძმები);
დ. დისწულები (ძმისწულები);
ე. დის ქმარი (ძმის ცოლი);
ვ. მშობლების დები (ძმები);
ზ. პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან როგორც მშობლები და შვილები.
თ. ნათესაობის განსაზღვრისას გერი დები (ძმები) გათანაბრებულია ღვიძლ დებთან (ძმებთან), ხოლო შვილად აყვანილნი – ღვიძლ შვილებთან; სამეურვეო ურთიერთობები გათანაბრებულია საოჯახო ერთობასთან (რომლის დროსაც პირები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან როგორც მშობლები და შვილები), რაც, თავის მხრივ, უთანაბრდება ნათესაურ ურთიერთობას; საოჯახო ერთობის შეწყვეტა აღნიშნულ პირებს შორის მხედველობაში არ მიიღება მათ შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობის შენარჩუნებისას.

5. დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი – ადგილი, სადაც მოცემული ქონება ფაქტობრივად იმყოფება ან რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი – ადგილი, სადაც ფიზიკური პირი ფაქტობრივად ცხოვრობს.

7. რეზიდენტი – ფიზიკური პირი-რეზიდენტი, საქართველოს საწარმო, საქართველოს ორგანიზაცია, აგრეთვე ინდივიდუალური საწარმო, რომლის მართვის ან საქმიანობის ადგილი საქართველოშია.

8. არარეზიდენტი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი.

9. დასაბეგრი ბრუნვა – დასაბეგრი ოპერაციების ერთობლიობა.

10. მომსახურების გაწევა – კომპენსაციის მიზნით გაწეული ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც არ წარმოადგენს საქონლის მიწოდებას ან სამუშაოს შესრულებას; აგრეთვე ისეთი მომსახურება, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის არ გულისხმობს ფულზე ან მიწაზე საკუთრების გადაცემას ან დამქირავებლისათვის (სამუშაოს მიმცემისათვის) დაქირავებული პირის მიერ მომსახურების გაწევას.

მომსახურებაში შედის:
ა. სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურება, მათ შორის გაზის, ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ელექტრო- და თბოენერგიის ტრანსპორტირება;
ბ. მოძრავი და უძრავი ქონების იჯარით გადაცემა;
გ. კავშირგაბმულობის მომსახურება, საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურება;
ფიზიკური კულტურისა და სპორტის მომსახურება;
ე. სარეკლამო მომსახურება;
ვ. საინოვაციო მომსახურება, მონაცემთა დამუშავებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის მომსახურება;
ზ. საქონლის სარეალიზაციოდ მომზადების მომსახურება;
თ. საქონლისა თუ სხვა ქონების შენახვის ან/და დაცვის მომსახურება;
ი. სხვა მომსახურება.

11. სამუშაო – გეოლოგიურ-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო, სამეცნიერო-კვლევითი ან საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

12. სამუშაოს შესრულება – სამუშაოს შესრულება კომპენსაციის მიღების მიზნით.

13. საქონელი – მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის ელექტრო- ან თბოენერგია, გაზი და წყალი, გარდა ფულისა და მიწისა; დამატებითი ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის.

14. საქონლის ექსპორტი, საქონლის რეექსპორტი, საქონლის იმპორტი, საქონლის რეიმპორტი, საქართველოს საბაჟო ტერიტორია, საქონლის ტრანზიტი, საქონლის დროებით შემოტანა – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

15. საქონლის მიწოდება – საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა, რეალიზაციის, გაცვლის, უსასყიდლოდ გადაცემის, ხელფასის ნატურალური ფორმით ანაზღაურების ჩათვლით, ყველა სხვა სახის გადახდა ნატურით, აგრეთვე დაგირავებული საქონლის გადაცემა გირაოს მიმღების საკუთრებაში.

16. ფინანსური მომსახურება :
ა. კრედიტების, საკრედიტო გარანტიებისა და ფულად-საკრედიტო ოპერაციებზე სხვა გარანტიების გაცემა ან გადაცემა, მათ შორის პირის მიერ გაცემული კრედიტებისა და საკრედიტო გარანტიების მართვა;
ბ. ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტების დეპოზიტებისა და ანგარიშების მომსახურებასთან, ანგარიშსწორებებთან, ფულად გზავნილებებთან, სასესხო ვალდებულებებსა და საგადამხდელო ინსტრუმენტებთან;
გ. გადახდის კანონიერი საშუალებების – ვალუტის, ფულის, ბანკნოტების (გარდა ნუმიზმატიკური მიზნით გამოყენებულისა) მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები;
დ. აქციების, ობლიგაციების, სერტიფიკატების, თამასუქების, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები (გარდა მათი შენახვის მომსახურებისა);
ე. წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ფორვარდულ შეთანხმებებთან, ოფციონებსა და მსგავს ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება;
ვ. საინვესტიციო ფონდების მართვასთან დაკავშირებული მომსახურება;
ზ. დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციები.

17. დივიდენდი – წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც იურიდიული პირის მიერ ნაწილდება პარტნიორთა შორის, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა საწესდებო კაპიტალის ქონებისა.

18. საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი:
ა. საქართველოში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი;
ბ. საქართველოში წარმოებული საქონლის მიწოდებით, სამუშაოს შესრულებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი;
გ. შემოსავალი, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მუდმივ დაწესებულებას, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც შეიძლება შეიქმნას საქართველოში ისეთივე ან მსგავსი საქონლის რეალიზაციით, მსგავსი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქონლის რეალიზაციით; აგრეთვე საქართველოში სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რომელსაც აქვს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული საქმიანობის იდენტური ან მსგავსი ხასიათი;
დ. საქართველოში სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული უიმედო ვალების ჩამოწერითა და ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით ან კომპენსაციის შედეგად 79-ე მუხლის მიხედვით;
ე. რეზიდენტი იურიდიული პირისაგან მიღებული დივიდენდები და ასეთ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
ვ. რეზიდენტისაგან პროცენტით მიღებული შემოსავალი;
ზ. რეზიდენტის მიერ გადახდილი პენსია;
თ. საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი დაწესებულების ან ქონების მქონე პირისაგან პროცენტით მიღებული შემოსავალი, თუ ამ პირის დავალიანება დაკავშირებულია მის მუდმივ დაწესებულებასთან ან ქონებასთან;
ი. საქართველოში არსებულ ან გამოყენებულ უფლებებთან ან ქონებასთან დაკავშირებული როიალტის ფორმით მიღებული შემოსავალი; ამ მუხლის 21-ე ნაწილით განსაზღვრული შემოსავალი, რომელიც მიიღება საქართველოში არსებული ან გამოყენებული ქონების რეალიზაციით ან გადაცემით;
კ. საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარით გადაცემით მიღებული შემოსავალი;
ლ. საქართველოში არსებული და სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის ჩათვლით;
მ. იმ საწარმოს აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, რომლის აქტივების ღირებულება უმეტესწილად პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოადგენს საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებას;
ნ. რეზიდენტის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული სხვა შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან;
ო. საქართველოს საწარმოდან ან საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მუდმივი დაწესებულებიდან – მართვისათვის, აგრეთვე საფინანსო და სადაზღვევო მომსახურებისათვის (გადაზღვევის მომსახურების ჩათვლით) ან მათთან კონტრაქტის საფუძველზე მიღებული შემოსავალი;
პ. საქართველოში რისკის დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შენატანების სახით მიღებული შემოსავალი;
ჟ. საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო კავშირგაბმულობაში ან საერთაშორისო გადაზიდვებში ტელესაკომუნიკაციო ან სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავალი;
რ. საქართველოში საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავალი;
ს. ამ ნაწილის „ა“–„რ“ პუნქტებით გათვალისწინებული შემოსავლების წყაროს განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება შემოსავლის თანხის მიღების ადგილი.

19. ძირითადი საშუალებები – ამ კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით ამორტიზაციას დაქვემდებარებული ერთ წელზე მეტი ხნის სამსახურის ვადის მქონე მატერიალური აქტივები.

20. პროცენტი – სავალო ვალდებულებებთან, მათ შორის კრედიტებსა (სესხებსა) და დეპოზიტებთან (ანაბრებთან) დაკავშირებული გადასახდელი.

21. როიალტი:
ა. საფასური სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლებისათვის;
ბ. გადასახდელის სახით მიღებული შემოსავალი:
– საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის ან მოდელის, სავაჭრო ნიშნისა და სხვა თანამდევ უფლებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლებისათვის;
– სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლებისათვის;
– ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის;
– კინოფილმების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების ან ჩაწერის სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლებისათვის;
– ამ ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებისაგან თავის შეკავებისათვის.

22. ოჯახი – ერთად მცხოვრები მეუღლეები, მშობლები და შვილები, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან.

23. წმინდა მოგება – მოგება, მოგების გადასახადის გამოკლებით.

24. პარტნიორი (მონაწილე) – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიხედვით.

25. არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის შეძენისას.

არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს მომსახურების) მიმწოდებელს, რომელიც ამ კოდექსის III და IV კარების მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად.

თავი 3

საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების ზოგადი წესები

მუხლი 30

საგადასახადო ვალდებულების შესრულება

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულებად ითვლება გადასახადის თანხის გადახდა დადგენილ ვადაში.

2. საგადასახადო ვალდებულების შესრულება წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას. საგადასახადო ვალდებულება სრულდება გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებული არასაგადასახადო ხასიათის ვალდებულებათაგან დამოუკიდებლად.

3. საგადასახადო ვალდებულება სრულდება უშუალოდ გადასახადის გადამხდელის მიერ, თუ საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების შესრულება შეიძლება დაეკისროს სხვა ვალდებულ პირს.

4. აკრძალულია გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმა ან მისი შესრულების წესის ცალმხრივად შეცვლა, თუ ეს გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობით.

5. გადასახადის გადამხდელი ან სხვა ვალდებული პირი პასუხს აგებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე მთელი თავისი კუთვნილი ქონებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 31

საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს (ორგანიზაციის) ლიკვიდაციისას

1. საწარმოს (ორგანიზაციის) ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულება სრულდება ამ საწარმოს (ორგანიზაციის) სალიკვიდაციო კომისიის მიერ მისი (საწარმოს, ორგანიზაციის) ფულადი სახსრებით, აგრეთვე ამ საწარმოს (ორგანიზაციის) ქონების რეალიზაციით მიღებული სახსრებით. სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია შეასრულოს, აგრეთვე საწარმოს (ორგანიზაციის) იმ ფილიალისა და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფის საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც ამ კოდექსის 12-ე მუხლის თანახმად ითვლებიან საწარმოებად. ფილიალის ან სხვა განცალკევებული ქვედანაყოფის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულება სრულდება უშუალოდ საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა იგი, ხოლო თავად ამ საწარმოს (ორგანიზაციის) ლიკვიდაციისას – ამ საწარმოს (ორგანიზაციის) სალიკვიდაციო კომისიის მიერ.

2. თუ ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით საწარმოს (ორგანიზაციის) ფულადი სახსრები მისი ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრების ჩათვლით, არ არის საკმარისი ამ ვალდებულების სრული მოცულობით შესასრულებლად, საგადასახადო ვალდებულების დარჩენილი დავალიანება უნდა დაიფაროს ამ საწარმოს (ორგანიზაციის) პარტნიორთა მიერ, თუ კანონის, აგრეთვე წესდების ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად მათ აკისრიათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ამ საწარმოს (ორგანიზაციის) ვალდებულებათა შესრულებისათვის. ინდივიდუალური საწარმოს ლიკვიდაციისას დარჩენილი დავალიანების დაფარვა ანალოგიური წესით ეკისრება ინდივიდუალური საწარმოს ქონების მესაკუთრეს.

3. საწარმოს (ორგანიზაციის) ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულება სრულდება ლიკვიდაციის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში. ობიექტურ გარემოებათა არსებობისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს საგადასახადო ვალდებულების შესრულების აღნიშნული ვადა, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. ვადის გაგრძელება არ აჩერებს 252-ე მუხლის მიხედვით საურავის დარიცხვას.

მუხლი 32

საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს (ორგანიზაციის) რეორგანიზებისას

1. რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულება სრულდება ამ მუხლით განსაზღვრული მისი მემკვიდრის (მემკვიდრეების) მიერ.

2. რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულების შესრულება ეკისრება მის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს), მიუხედავად იმისა, რეორგანიზაციის დასრულებამდე იყო თუ არა ცნობილი მემკვიდრისათვის (მემკვიდრეებისათვის) რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების ფაქტები ან გარემოებები. მემკვიდრე (მემკვიდრეები) ვალდებულია გადაიხადოს რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) მიმართ დარიცხული ყველა საურავი და საწარმოს (ორგანიზაციის) რეორგანიზაციის დასრულებამდე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა. ამ პუნქტის დებულებები ვრცელდება იმ რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) მემკვიდრეზედაც (მემკვიდრეებზედაც), რომელიც თვითონ იყო აღიარებული სხვა საწარმოს (ორგანიზაციის) მემკვიდრედ (მემკვიდრეებად) და არ შეასრულა ან არასათანადოდ შეასრულა ასეთი მემკვიდრეობით წარმოშობილი ვალდებულებები გადასახადებისა და აღნიშნული სხვა რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) კუთვნილი საურავისა და ჯარიმის თანხების გადახდასთან დაკავშირებით.

3. საწარმოს (ორგანიზაციის) რეორგანიზებისას ამ საწარმოს (ორგანიზაციის) მემკვიდრის (მემკვიდრეების) მიერ მისი საგადასახადო ვალდებულების შესრულების ვადები არ იცვლება.

4. რამდენიმე საწარმოს (ორგანიზაციის) შერწყმისას თითოეული ამ საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების მემკვიდრედ ითვლება შერწყმის შედეგად შექმნილი საწარმო (ორგანიზაცია).

5. ერთი საწარმოს (ორგანიზაციის) მეორე საწარმოსთან (ორგანიზაციასთან) მიერთებისას მიერთებული საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების მემკვიდრედ ითვლება საწარმო (ორგანიზაცია), რომელსაც მიუერთდა ეს საწარმო (ორგანიზაცია).

6. საწარმოს (ორგანიზაციის) რამდენიმე საწარმოდ (ორგანიზაციად) გაყოფისას თავდაპირველი საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულების შესრულების მემკვიდრეებად ითვლებიან ასეთი გაყოფის შედეგად შექმნილი საწარმოები (ორგანიზაციები).

7. რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულების შესრულებაში თითოეული მათგანის წილი განისაზღვრება გამყოფი ბალანსით ან სხვა გადამცემი აქტით. თუ გამყოფი ბალანსი ან სხვა გადამცემი აქტი არ იძლევა რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) მემკვიდრის წილის განსაზღვრის საშუალებას ან გამორიცხავს მისი რომელიმე მემკვიდრის მიერ საგადასახადო ვალდებულების სრული მოცულობით შესრულების შესაძლებლობას, ახლადწარმოქმნილ საწარმოებს (ორგანიზაციებს) ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) ან მისი შესაბამისი ნაწილის საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის.

8. საწარმოს (ორგანიზაციის) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლისას რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) საგადასახადო ვალდებულების შესრულების მემკვიდრედ ითვლება ასეთი რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი საწარმო (ორგანიზაცია).

9. საწარმოს (ორგანიზაციის) შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე საწარმოს (ორგანიზაციის) გამოყოფისას გამოყოფილ საწარმოებს (ორგანიზაციებს) არ უჩნდებათ საგადასახადო ვალდებულების შესრულების მემკვიდრეობითობა რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) მიმართ, თუ ასეთი რეორგანიზაცია მიზნად არ ისახავს რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ საგადასახადო ვალდებულებისაგან თავის არიდებას.

მუხლი 33

გარდაცვლილი, უგზო-უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულება

1. გარდაცვლილი ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს მისი მემკვიდრე (მემკვიდრეები) მემკვიდრეობის მიღების დღიდან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში და სამკვიდრო ქონებაში მისი (მათი) წილის პროპორციულად.

2. მემკვიდრის (მემკვიდრეების) არარსებობის შემთხვევაში გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულება წყდება.

3. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს ის, ვინც განაგებს ამ ქმედუუნარო ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონებას, ამ ქონების ხარჯზე.

4. დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარებული პირის საგადასახადო ვალდებულება, დარიცხული საურავი და ჯარიმები ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, თუ ამ ფიზიკური პირის ქონება არასაკმარისია მისი საგადასახადო ვალდებულების შესასრულებლად და საურავებისა და ჯარიმების გადასახდელად.

5. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან განახლდება ადრე ჩამოწერილი საგადასახადო ვალდებულების მოქმედება, საურავების დარიცხვა და ჯარიმების დაკისრება.

მუხლი 34

საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესი

1. გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ბაზის, გადასახადის განაკვეთისა და საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით დამოუკიდებლად გამოიანგარიშებს საანგარიშო პერიოდისათვის გადასახდელ გადასახადის თანხას, თუ საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ კოდექსით ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილ შემთხვევებში გადასახდელი გადასახადის თანხის გამოანგარიშების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს საგადასახადო ორგანოს ან საგადასახადო აგენტს.

3. გადასახადი გამოიანგარიშება შესაბამისი გადასახადისათვის ამ კოდექსით ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილი წესით.

4. გადასახადის გადასახდელი თანხა დადგენილ ვადებში გადაიხდება (გადაირიცხება) გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის მიერ.

კარი II

საშემოსავლო და მოგების გადასახადები

თავი 4

საშემოსავლო გადასახადი

მუხლი 35

გადასახადის გადამხდელები

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

მუხლი 36

დაბეგვრის ობიექტი

1. რეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხას შორის.

2. არარეზიდენტი გადასახადის გადამხდელი, რომელიც საქმიანობას ეწევა საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი შემოსავლიდან, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავლებსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

3. არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის მე-2 ნაწილში, იბეგრება ამ კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით გადახდის წყაროს მიხედვით გამოქვითვების გარეშე.

4. გადასახადის გადამხდელი არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავლებს იღებს დაქირავებით მუშაობის შედეგად ან სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების რეალიზაციით, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლიდან გამოქვითვის თანხებით.

მუხლი 37

ერთობლივი შემოსავალი

1. რეზიდენტი გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან.

2. არარეზიდენტი გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

3. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, მათ შორის:
ა. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;
ბ. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან.

მუხლი 38

ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები

1. ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, დაქირავებულის მიერ ამ ნაწილით განსაზღვრული ოდენობით მიღებული სარგებლისათვის, გადახდილი თანხის გამოკლებით:
ა. ნებისმიერი სახეობის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოსაყენებლად მიღებისას – საგადასახადო წლის დამდეგს ასეთი სახეობის ახალი ავტომობილის ღირებულების 0,05 პროცენტი დაქირავებულის მიერ ავტომობილის კერძო სარგებლობის მიზნით გამოყენების ყოველი დღისათვის;
ბ. საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებისას – საბაზრო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა;
გ. დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიყიდვისას ან უსასყიდლოდ გადაცემისას – ასეთი საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასი;
დ. დამქირავებლის მიერ დაქირავებულის ან მის კმაყოფაზე მყოფთა განათლების მისაღებად დახმარების გაწევისას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩაუთვლელად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულება;
ე. დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა;
ვ. დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ვალის ან ვალდებულების პატიებისას – ვალის ან ვალდებულების თანხა;
ზ. დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიის ან სხვა მსგავსი თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;
თ. სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი ამ კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით.

3. ერთობლივ შემოსავალში არ შედის დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ან წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება იმ ოდენობით, რომლითაც დგინდება, რომ ასეთი ხარჯები ზომიერი და აუცილებელი იყო დამქირავებლის საქმიანობისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმების ფარგლებში.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ღირებულება და ფასი მოიცავს აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს და სხვა გადასახადს, რომლებიც ექვემდებარება გადახდას დაქირავებული პირის მიერ.

მუხლი 39

ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან

ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, განეკუთვნება:
ა. სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები, კერძოდ:
- საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებით მიღებული შემოსავლები;
- სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
- სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის ან საწარმოს დახურვის შედეგად

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

მიღებული შემოსავლები;

- ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები, რომლებიც შემოსავალში შეიტანება ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით;
- კომპენსირებული გამოქვითვები 79-ე მუხლის მიხედვით;

ბ. არასამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები, კერძოდ:

- პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები;
- დივიდენდები;
- ქონების იჯარით ან ქირით გაცემით მიღებული შემოსავლები;
- როიალტი;
- ვალების ჩამოწერით მიღებული შემოსავლები;
- აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, ამ მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული ნამეტი შემოსავლის გარდა;
- სხვა შემოსავლები, ხელფასის გარდა, რომლებიც ზრდიან გადასახადის გადამხდელის მოგებას.

მუხლი 40

ერთობლივი შემოსავლის კორექტირება

1. ერთობლივ შემოსავალში არ შედის ფიზიკური პირების მიერ მიღებული დივიდენდები და პროცენტები, რომლებიც ადრე დაიბეგრა საქართველოში არსებული წყაროს მიხედვით ამ კოდექსის 62-ე ან 63-ე მუხლის თანახმად.

მუხლი 41

ყოველთვიური გამოქვითვის უფლება

ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოახდინოს საგადასახადო წლის განმავლობაში ყოველთვიურად დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვა 9 ლარის ოდენობით. ასეთი გამოქვითვა ხდება მხოლოდ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით მიღებული ხელფასიდან.

მუხლი 42

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

1. ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	გადასახადის განაკვეთი
1. 200 ლარამდე	დასაბეგრი შემოსავლის 12%
2. 201-დან 350 ლარამდე	24 ლარი + 200 ლარს ზევით შემოსავლის 15%
3. 351-დან 600 ლარამდე	46,5 ლარი + 350 ლარს ზევით შემოსავლის 17%
4. 601 და მეტი ლარი	89 ლარი + 600 ლარს ზევით შემოსავლის 20%

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წლიური დეკლარაციის მიხედვით გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი მცირდება ფიზიკური პირის მიერ წელიწადში 3000 ლარამდე მიღებულ დივიდენდებსა და პროცენტებზე გადახდილი გადასახადის თანხით, თუ არსებობს მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 43

საგადასახადო შეღავათები

1. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა. უცხოელი დიპლომატის ან საკონსულოს თანამშრომლის დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი;

ბ. საქართველოს იმ არარეზიდენტის მიერ დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფება არანაკლებ 90 დღისა, თუ ეს შემოსავალი გადახდილი იყო საქართველოს არარეზიდენტი დამქირავებლის მიერ ან დამქირავებლის სახელით და არ ანაზღაურდება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ;

გ. ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

დ. გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო სტიპენდია და სახელმწიფო დახმარება, მათ შორის დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად შრომისუნარიანობის დაკარგვის ან/და მარჩენალის დაკარგვის გამო;

ე. ალიმენტი;

ვ. ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული მატერიალური დახმარება და ერთჯერადი განაცემი, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს ბიუჯეტიდან გაწეული დახმარება;

ზ. შემოსავალი, მიღებული ფიზიკური პირის მიერ იმ საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით, რომელიც წარმოებულია მოცემული პირის კერძო მეურნეობებში მის სამრეწველო გადამუშავებამდე;

თ. ფიზიკური პირის მიერ არამატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა;

ი. საბიუჯეტო ორგანიზაციების მოსამსახურეთა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ფასის ფულადი ანაზღაურება.

2. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა. ბავშვობიდან ინვალიდებისა, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდებისა მხედველობის გამო;

ბ. მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეებისა;

გ. პირებისა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „ქართველის დედის" საპატიო წოდება;

დ. მარტოხელა დედებისა;

ე. პირებისა, რომელთაც იშვილეს ბავშვი, შვილად აყვანიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება I და II ჯგუფის ინვალიდების მიერ (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ინვალიდებისა) კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 1500 ლარამდე.

თავი 5

მოგების გადასახადი

მუხლი 44

გადასახადის გადამხდელები

1. მოგების გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს საწარმოები და უცხოური საწარმოები.

2. ამ კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტით გათვალისწინებული საწარმოს ფილიალები არ არიან მოგების გადასახადის დამოუკიდებელი გადამხდელები.

3. თუ უცხოური პირი არ არის ფიზიკური პირი და არ დაასაბუთებს თავის თანამფლობელობას ამ კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით, ამ კარის მიზნებიდან გამომდინარე, იგი განიხილება როგორც საწარმო.

მუხლი 45

დაბეგვრის ობიექტი

1. საქართველოს საწარმოს დაბეგვრის ობიექტია მოგება. იგი განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა (რომელიც განისაზღვრება ამ კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად) და ამ კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული დაქვითვის თანხებს შორის. ამასთან, ერთობლივ შემოსავალში ჩაითვლება ყველა ის შემოსავალი, რომელიც გავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელის მოგებაზე, მათ შორის უსასყიდლოდ მიღებული ქონებისა და ფულადი სახსრების სახით, გარდა განთავისუფლებული შემოსავლებისა.

2. უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში ეწევა საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავლების მიხედვით, რომლებიც მცირდება ამ კოდექსით გათვალისწინებული დაქვითვების თანხებით.

3. უცხოური საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მუდმივ დაწესებულებასთან, გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 64-ე მუხლით განსაზღვრული გაცემის წყაროს მიხედვით დაქვითვების გარეშე, თუ შემოსავლის წყარო საქართველოშია.

4. უცხოური საწარმო, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დაქვითვების თანხებით, რომლებიც დაკავშირებულია ამ შემოსავლებთან.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

ა. რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ბ. ამ კოდექსის 29-ე მუხლის 21-ე ნაწილით გათვალისწინებული აქტივების ან ქონების რეალიზაციით მიღებული მოგება;

გ. ამ კოდექსის 29-ე მუხლის მე-18 ნაწილის „თ" ან „ი" პუნქტებით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებული მოგება.

მუხლი 46

გადასახადის განაკვეთები

1. საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით.

2. უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები იბეგრება ამ კოდექსის 64-ე მუხლით განსაზღვრული განაკვეთებით.

მუხლი 47

საგადასახადო შეღავათები

მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ა. საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ბ. საბიუჯეტო და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

გ. ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულობები;

დ. საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე მიწოდებით მიღებული მოგება იმ საწარმოებისა, რომელთა ძირითადი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაა;

ე. საპროთეზო-ორთოპედიული საწარმოების პროფილური საქმიანობით მიღებული მოგება;

ვ. ინვალიდებისა და მათი რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა წარმოებით მიღებული მოგება;

ზ. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების მოგება, თუ ამ საწარმოებში დასაქმებულთა შორის ინვალიდები შეადგენენ არანაკლებ 70 პროცენტს (უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებისა და საწარმოებისათვის – არანაკლებ 50 პროცენტს);

თ. საერთაშორისო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

ი. საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება.

თავი 6

გამოქვითვები და ზარალი

მუხლი 48

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალური ხარჯებისა, ამ კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით; აგრეთვე იმ ხარჯების გარდა, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას ამ კოდექსის 49-ე მუხლისა და ამ თავის სხვა დებულებათა თანახმად.

მუხლი 49

ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება

1. არ გამოიქვითება ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან.

2. არ დაიშვება გართობაზე გაწეული და წარმომადგენლობითი ხარჯების გამოქვითვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმის ზევით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა არ გამოიყენება იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელიც ეწევა გართობითი ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, თუ ხარჯები გაწეულია ასეთი საქმიანობის ფარგლებში.

4. არ გამოიქვითება ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები და ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 50

პროცენტების გამოქვითვის შეზღუდვა

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები გამოიქვითება პროცენტების იმ თანხის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება კრედიტის გაცემის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთის 150 პროცენტის ოდენობით.

2. იმ საწარმოში, რომლის კაპიტალის 20 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მოგების გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულ იურიდიულ პირებს, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამოსაქვითი პროცენტების თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლისა და ნებადართული გამოქვითვებით (პროცენტების გამოქვითვების გარდა) შემცირებული ერთობლივი შემოსავლების თანხის 50 პროცენტის ჯამს.

მუხლი 51

საეჭვო ვალების გამოქვითვა

1. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გამოქვითოს რეალიზებულ საქონელთან, სამუშაოსა და მომსახურებასთან დაკავშირებული საეჭვო ვალები, რომელთა მიხედვით მიღებული შემოსავლები ადრე შეტანილი იყო სამეწარმეო საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში.

2. საეჭვო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ჩამოწერილია და ასახულია გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშებაში.

3. ბანკები სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახდენენ საეჭვო ვალებისა და გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 52

სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვა

1. იურიდიულ პირს, რომელიც ეწევა სადაზღვევო საქმიანობას, უფლება აქვს სარეზერვო ფონდებში გადარიცხული თანხა გამოქვითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

2. სარეზერვო ფონდებში გადარიცხული თანხები გამოიქვითება მხოლოდ ამ კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 53

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯების გამოქვითვა

გამოქვითვას ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯები, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენასა და დადგმაზე გაწეული, აგრეთვე სხვა კაპიტალური ხარჯებისა.

მუხლი 54

საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითვები ძირითად საშუალებათა მიხედვით

1. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვითება ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

2. ამორტიზაციის თანხა არ დაერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და სხვა არაამორტიზებად აქტივებს.

3. საშუალებები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით:

ჯგუფის ნომერი	ქონება	ამორტიზაციის ნორმა, %
1.	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრაქტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა	20
2.	საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა; ელექტრონული მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა; ავეჯი ოფისისათვის	15
3.	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა; ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები	8
4	შენობები, ნაგებობები	7
5.	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში	10

4. თითოეული ჯგუფის საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა გამოიანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებით ბალანსთან ამ მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ამორტიზაციის ნორმების შეფარდებით.

5. შენობებსა და ნაგებობებს (შემდგომში – ნაგებობები) ამორტიზაცია დაერიცხება თითოეულ ნაგებობაზე ცალ-ცალკე.

6. წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს წარმოადგენს თანხა, რომელიც განისაზღვრება შემდეგი წესით: ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გასული წლის ბოლოსათვის მცირდება გასულ წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხით და ამ მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების მიხედვით წარმოებული გამოქვითვებით, რომელსაც ემატება წლის განმავლობაში ჯგუფისათვის დამატებული ძირითად საშუალებათა ღირებულება 81-ე მუხლის მიხედვით და აკლდება საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა გასაცემი ფასებით რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები.

7. თუ საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხა აღემატება ჯგუფის ღირებულებით ბალანსს წლის ბოლოსათვის, მაშინ ნამეტი თანხა ჩაითვლება შემოსავალში და ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება.

8. თუ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი წლის ბოლოსათვის 100 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა ექვემდებარება გამოქვითვას.

9. თუ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებული ან ლიკვიდირებულია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსათვის ექვემდებარება გამოქვითვას.

მუხლი 55

ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა

1. ცალკეულ ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დაიშვება ყოველწლიურად – წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით.

2. თანხა, რომელიც აღემატება ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ზღვრულ დონეს, ზრდის ჯგუფის ბალანსის ღირებულებას.

მუხლი 56

სადაზღვევო შენატანების ხარჯების გამოქვითვა

დაზღვევის ხელშეკრულებათა საფუძველზე დაზღვეულთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანები, გარდა მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის ხელშეკრულებათა მიხედვით გადახდილი სადაზღვევო შენატანებისა, ექვემდებარება გამოქვითვას.

მუხლი 57

გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელ სამუშაოთა ხარჯები

1. გეოლოგიურ კვლევებსა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელ სამუშაოებზე გაწეული ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით მე-2 ჯგუფის ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის ნორმის მიხედვით და აღირიცხება ცალკე.

2. ამ მუხლის მოთხოვნა ვრცელდება იმ არამატერიალური აქტივების ხარჯებზედაც, რომლებიც გაწეულია გადასახადის გადამხდელის მიერ ბუნებრივი რესურსების გეოლოგიური კვლევის, დამუშავების ან ექსპლუატაციის უფლების შეძენასთან დაკავშირებით.

მუხლი 58

არამატერიალური აქტივების ხარჯები

1. არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ხარჯები არამატერიალურ ობიექტებზე, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ საქმიანობაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, თუ მათ აქვთ სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადა.

2. არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით მე-5 ჯგუფის ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის ნორმის მიხედვით და აღირიცხება ცალკე.

3. ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შეძენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას.

მუხლი 59

გადასახადებისა და ჯარიმების გამოქვითვის შეზღუდვა

არ გამოიქვითება:

ა. მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, რომლებიც გადახდილია საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში;

ბ. ბიუჯეტში შესატანი ან შეტანილი ჯარიმებისა და საურავის თანხები.

მუხლი 60

ზარალი ქონების რეალიზაციისას

მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ქონების რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება ასეთი ქონების რეალიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტით. თუ ზარალის კომპენსაცია შეუძლებელია იმავე წელს, მაშინ იგი გადაიტანება ხუთ წლამდე ვადით და მისი კომპენსაცია მოხდება ასეთი ქონების რეალიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტით.

მუხლი 61

ზარალის გადატანა

1. ფიზიკური პირის მიმართ კოდექსით გათვალისწინებული დაქვითვების გადამეტება იმ ერთობლივ შემოსავალზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, არ გამოიქვითება ხელფასის ხარჯზე. იგი გადაიტანება ხუთ წლამდე ვადით და დაიფარება შემდგომი პერიოდების ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავლების ხარჯზე.

2. იურიდიული პირის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება ხუ წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების მოგების ხარჯზ

თავი 7

გადასახადის დაკავება გადახდის წყაროსთან

მუხლი 62

დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

1. საქართველოს საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები იბეგრ გადახდის წყაროსთან 10-პროცენტიანი განაკვეთით.

2. ფიზიკური პირების მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრ გადახდის წყაროსთან, შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

3. საქართველოს საწარმოს, რომელმაც მიიღო საქართველოში გადახდ წყაროსთან ადრე დაბეგრილი დივიდენდები, უფლება აქვს ჩათვალ ადრე დაკავებული გადასახადის თანხა, თუ არსებობს გადახდ დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 63

პროცენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

1. რეზიდენტის ან არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მ ან მისი სახელით გადახდილი პროცენტები იბეგრება გადახდის წყაროს გადასახდელი თანხის 10-პროცენტიანი განაკვეთით, თუ შემოსავ წყარო საქართველოშია და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარ

2. რეზიდენტი ბანკებისათვის კრედიტებზე (სესხებზე) გადახდ პროცენტები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან.

3. ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტები, რომლებიც დაიბეგრ გადახდის წყაროსთან, შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

4. რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომლის მოგებაც ექვემდებარ დაბეგვრას და რომელმაც მიიღო საქართველოში გადახდის წყარო ადრე დაბეგრილი პროცენტები, უფლება აქვს ჩათვალოს გადახ წყაროსთან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა, თუ არსებ გადახდის დამადასტურებელი საბუთები.

მუხლი 64

არარეზიდენტთა შემოსავლების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

1. არარეზიდენტის მიერ საქართველოს წყაროდან მიღებული შემოსავ რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის საქართველოს ტერიტორ მდებარე მუდმივ დაწესებულებას, იბეგრება გადახდის წყაროსთან შემდ განაკვეთებით:

ა. დივიდენდები – 62-ე მუხლის მიხედვით;

ბ. პროცენტები – 63-ე მუხლის მიხედვით;

გ. სადაზღვევო შენატანები, რომლებიც გადახდილია რისკის დაზღვევ ან გადაზღვევის ხელშეკრულებათა საფუძველზე საქართველოს საწარმ ან ინდივიდუალური საწარმოს მიერ – 4 პროცენტით;

დ. საქართველოს საწარმოს ან ინდივიდუალური საწარმ გადასახდელები საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს მორ საერთაშორისო კავშირგაბმულობასა და საერთაშორისო გადაზიდვ ტელესაკომუნიკაციო და სატრანსპორტო მომსახურებისათვის – პროცენტით;

ე. საქართველოს საწარმოს ან ინდივიდუალური საწარმოს შემდ გადასახდელები: როიალტი, მმართველობითი ჰონორარი, სამუშა შესრულებით ან მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები (ხელფა სახით შემოსავლების გარდა), აგრეთვე ამ კოდექსის 29-ე მუხლის მ 18 ნაწილის „ბ", „ი", „კ", „ო" პუნქტებით (დაზღვევისა და გადაზღვევ მომსახურებით მიღებული შემოსავლების გარდა) განსაზღვრულ შემოსავლები – 10 პროცენტით;

ვ. საქართველოს საწარმოს ან ინდივიდუალური საწარმოს მი ხელფასის სახით გადახდილი შემოსავალი – 42-ე მუხლში განსაზღვრულ განაკვეთებით.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის გადასახდელები, რომლებიც გადაიხდ საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ ან მის სახელით, განიხილება საქართველოს საწარმოს მიერ გადახდილა

თავი 8

საერთაშორისო დაბეგვრა

მუხლი 65

უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩათვლა

1. საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი საშემოსავლ გადასახადის ან მოგების გადასახადის თანხები ჩაითვლება საქართველო გადასახადის გადახდისას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ჩათვლილი თანხების ოდენ არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის იმ თანხებს, რომლებიც დარიცხუ იქნებოდა საქართველოში ამ შემოსავალზე ან მოგებაზე საქართველო მოქმედი წესითა და განაკვეთებით.

მუხლი 66

შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში მიღებული შემოსავ

1. თუ რეზიდენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის უცხო საწარმოს საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტზე მეტი, ან, თუ მას ა იურიდიული პირის ხმის უფლების მქონე წილის 10 პროცენტზე მე რომელიც, თავის მხრივ, შემოსავალს იღებს შეღავათიანი დაბეგვრ მქონე ქვეყანაში, მაშინ ეს შემოსავალი ან შემოსავლის ნაწილი, რომე ეკუთვნის რეზიდენტს, შეიტანება მის დასაბეგრ შემოსავალში.

2. უცხო სახელმწიფო განიხილება შეღავათიანი დაბეგვრის მქ სახელმწიფოდ, თუ ამ ქვეყანაში გადასახადის განაკვეთი 1/3-ით დაბალ ვიდრე ამ კოდექსით განსაზღვრული განაკვეთი, ან, თუ მოქმედე ფინანსური ინფორმაციის ან კომპანიების შესახებ ინფორმაცი კონფიდენციალობის კანონები, რომლებიც იძლევა ქონების ან შემოსავ ფაქტობრივი მფლობელის შესახებ საიდუმლოების დაცვის გარანტი

თავი 9

საგადასახადო აღრიცხვის წესები

მუხლი 67

საგადასახადო წელი

საგადასახადო წლად ითვლება კალენდარული წელი.

მუხლი 68

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულ აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებ მონაცემთა საფუძველზე ამ თავში გათვალისწინებული მეთოდებ გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშ ისინი მიღებულ ან გაწეულ იქნა იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგ შემოსავალი (მოგება). გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლებ და ხარჯების აღსარიცხად გამოიყენება საკასო ან დარიცხვის მეთოდ

2. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს მ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებულ იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასასრულზ

3. ამ კოდექსის მოთხოვნათა შესასრულებლად ამ მუხლის დებულებებ გათვალისწინებული დასაბეგრი შემოსავალი უნდა განისაზღვროს იმა მეთოდით, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იყენებს საბუღალტ აღრიცხვისათვის.

4. ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, გადასახად გადამხდელმა აღრიცხვა უნდა აწარმოოს საგადასახადო მიზნებისათვ აღრიცხვის საკასო ან დარიცხვის მეთოდით – იმ პირობით, რომ ი ერთსა და იმავე მეთოდს გამოიყენებს საგადასახადო წლის განმავლობა

5. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღრიცხვა აწარმო დარიცხვის მეთოდის გამოყენებით საქონლის მიწოდების, სამუშა შესრულების ან მომსახურების გაწევის მომენტიდან 90 დღის შემდე ხოლო, თუ განაღდება წარმოებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურე მიწოდებიდან 90 დღის გასვლამდე, მაშინ შემოსავლებისა და ხარჯე აღრიცხვა წარმოებს საკასო მეთოდის გამოყენებით.

6. ფიზიკური პირის მიერ დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის წარმო ხორციელდება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავ მიხედვით.

7. გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის მეთოდის შეცვლ შესწორებები იმ ელემენტების მიმართ, რომლებიც გადასახად გადამხდელს ეხება, უნდა გაკეთდეს აღრიცხვის მეთოდის შეცვლის წ იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი ელემენტი არ იქნეს გამოტოვებ ან ორჯერ ჩართული.

მუხლი 69

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა საკასო მეთოდით

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის საკასო მეთო გამოყენებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება მომენ

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

როცა გადასახადის გადამხდელმა ფაქტობრივად მიიღო ამ შემოსავლების გამოყენებისა და განკარგვის უფლება.

მუხლი 70

საკასო მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი

1. ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ნაღდი ფულადი სახსრების მიღების მომენტი, ხოლო უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას – ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვაც მას შეუძლია, ან რომლიდანაც უფლება აქვს მიიღოს ეს სახსრები.

2. გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

3. თუ გადასახადის გადამხდელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით თავისი დებიტორისაგან იღებს თამასუქს (ან სხვა სავალო ვალდებულებას), მაშინ შემოსავლის მიღების მომენტად ითვლება თამასუქის (სავალო ვალდებულების) მიღებიდან უახლოესი მომენტი, როცა შესაძლებელი იქნება თამასუქის (სავალო ვალდებულების) წარდგენა გასანაღდებლად.

მუხლი 71

საკასო მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი

1. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივი გაწევის მომენტი, გარდა ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თუ გადასახადის გადამხდელი ნაღდი ფულით იხდის, მაშინ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ნაღდი ფულის გადახდის მომენტი, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორებისას – ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელისაგან ფულადი სახსრების გადარიცხვაზე დავალების მიღების მომენტი.

3. გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, სახელდობრ, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

4. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს შემოსავალს ან ეწევა ხარჯებს არაფულადი ფორმით, მაშინ ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იმ წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტი.

5. სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებულ გადასახდელებთან მიმართებით, თუ სავალო ვალდებულება ან იჯარის ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, წარმოადგენს პროცენტის (იჯარის) იმ თანხას, რომელიც გამოიანგარიშება თანაბარწილად თითოეული საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

მუხლი 72

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას შემოსავლები და ხარჯები აისახება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლებზე უფლების მოპოვების ან ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტის მიუხედავად.

მუხლი 73

დარიცხვის მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი

1. გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას, ან, თუ მან შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

2. თუ გადასახადის გადამხდელი ასრულებს სამუშაოს (ეწევა მომსახურებას), ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული უფლება ითვლება მოპოვებულად მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების (მომსახურების გაწევის) დამთავრების მომენტში.

3. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, მაშინ შემოსავლის მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში. თუ სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადა მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს გადასახადის გადახდის თვალსაზრისით, მაშინ შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული (დასარიცხი) თანხის მიხედვით.

მუხლი 74

დარიცხვის მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი

1. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, გადამხდელის მიერ საგადასახადო აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გარიგებასთან (შეთანხმებასთან) დაკავშირებული ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება მომენტი, როცა შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. შესაძლებელია გადასახადის გადამხდელის მიერ ფინანსური ვალდებულების აღების ცალსახად მიჩნევა;

ბ. ფინანსური ვალდებულების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საკმარისი სიზუსტით;

გ. გარიგების ან ხელშეკრულების ყველა მხარემ ფაქტობრივად შეასრულა თავისი ვალდებულება ამ გარიგების ან ხელშეკრულების მიხედვით და სათანადო თანხა (სხვა შემოსავალი) ექვემდებარება აუცილებელ გადახდას.

2. ფინანსურ ვალდებულებაში იგულისხმება გარიგების (ხელშეკრულების) შედეგად აღებული ვალდებულება, რომლის შესრულების ძალითაც გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მონაწილემ უნდა მიუთითოს ვალდებულების შესაბამისი შემოსავალი ფულადი ან სხვა ფორმით.

3. სავალო ვალდებულების პროცენტის ან იჯარით გაცემული ქონებიდან გადასახდელის გადახდისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტი. თუ სავალო ვალდებულების ან საიჯარო ხელშეკრულების ვადა გადასახადის გადახდის თვალსაზრისით მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს, მაშინ ხარჯების განაწილება საანგარიშო პერიოდებს შორის ხდება მათი დარიცხვების შესაბამისად.

მუხლი 75

თანამფლობელობა

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა წარმონაქმნების ერთობლივი ფლობის (თანამფლობელობის) შემთხვევაში შემოსავლები და გამოქვითვები მიეკუთვნება მათ მფლობელებს და გადასახადით იბეგრება მათი წილის შესაბამისად.

მუხლი 76

შემოსავლები და დაქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით

1. თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით საგადასახადო წლის მანძილზე პროპორციულად მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად.

2. კონტრაქტის მიხედვით შესრულების მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო წლის ბოლომდე გაწეული ხარჯების შეპირისპირებით კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან.

3. გრძელვადიან კონტრაქტში იგულისხმება კონტრაქტი წარმოებაზე, დადგმაზე, მშენებლობაზე ან შესაბამისი მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ დამთავრებულა იმ საგადასახადო წელს, რომელშიც დაიწყო კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო, გარდა იმ კონტრაქტისა, რომლის დასრულებაც მოსალოდნელია კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 77

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის წესი

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემადგენლობაში შეიტანოს თავის საკუთრებაში არსებული დამუშავებული ან ნაწილობრივ დამუშავებული საქონელი, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად, კერძოდ, ნედლეული და მასალები, რომლებიც შეძენილია შემდგომი რეალიზაციისა ან საქონლის წარმოებისათვის, სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისათვის.

2. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას საანგარიშო პერიოდის დამდეგისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ემატება ერთობლივი შემოსავლის მოცულობას, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოირიცხება ერთობლივი შემოსავლიდან.

3. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია წარმოებული ან შეძენილი საქონლის ღირებულება საგადასახადო აღრიცხვაში ასახოს ამ საქონლის წარმოებაზე დანახარჯების ან შეძენის ფასით. კერძოდ, გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის ღირებულებაში შეიტანება მისი შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები.

4. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს დეფექტური ან მოძველებული და მოდიდან გამოსული საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეუძლებელია მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებზე (შეძენის ფასზე) მეტ ფასად, შეაფასოს ამ საქონლის შესაძლო სარეალიზაციო ფასით.

5. თუ გადასახადის გადამხდელი არ ახდენს თავის საკუთრებაში არსებული საქონლის ინდივიდუალურ აღრიცხვას, მაშინ ამ საქონლის რეალიზაციისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღსარიცხავად გამოიყენოს ერთ-ერთი მეთოდი:

ა. მეთოდი Fifo, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მიკუთვნებულია სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, ხოლო შემდეგ – ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მათი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით;

ბ. მეთოდი Lifo, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდის მანძილზე პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება უკანასკნელად წარმოებული (შეძენილი) საქონელი;

გ. საშუალო თვითღირებულებით შეფასების მეთოდი.

მუხლი 78

ლიზინგი (საფინანსო იჯარა)

1. თუ ქონების იჯარით მიმცემი (მეიჯარე) ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ლიზინგით (საფინანსო იჯარის წესით) გასცემს ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს, მაშინ დაბეგვრის მიზნით ქონების იჯარით ამღები (მოიჯარე) ითვლება ამ ქონების მფლობელად.

2. ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებათა იჯარა დაბეგვრის მიზნით წარმოადგენს ლიზინგს (საფინანსო იჯარას), თუ იგი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა. იჯარის ვადა აღემატება ძირითად საშუალებათა სამსახურის ვადის 80 პროცენტს;

ბ. მოიჯარეს აქვს ძირითად საშუალებათა ფიქსირებული ფასით ან იჯარის დამთავრებისას განსაზღვრული ფასით შეძენის უფლება;

გ. იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება იჯარის დამთავრებისას შეადგენს იჯარის დასაწყისში მათი ღირებულების 20 პროცენტზე ნაკლებს;

დ. გადასახდელების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება მთელი საიჯარო პერიოდისათვის აღემატება იჯარით აღებულ საშუალებათა ღირებულების 90 პროცენტს.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით ითვლება, რომ იჯარის პერიოდი მოიცავს პერიოდს, რომლის დროსაც მოიჯარეს უფლება აქვს გააგრძელოს ლიზინგი.

მუხლი 79

კომპენსირებული გამოქვითვები და რეზერვების შემცირება

1. ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და საეჭვო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა ითვლება იმ წლის შემოსავლად, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება.

2. თუ ხდება წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირება, შემცირებული თანხა შეიტანება ერთობლივ შემოსავალში.

მუხლი 80

მოგება და ზარალი აქტივების მიწოდებისას

1. აქტივების მიწოდებისას მიღებული მოგება წარმოადგენს დადებით სხვაობას მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის, რომელიც განისაზღვრება ამ კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად. აქტივების უსასყიდლოდ ან შემცირებული ფასით მიწოდებისას მიმწოდებელი პირის მოგება განისაზღვრება როგორც დადებითი სხვაობა მიწოდებული ქონების საბაზრო ფასსა და ამ კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ ქონების ღირებულებას შორის.

2. აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა ამ საშუალებათა მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები არ გამოიყენება იმ აქტივების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდის მიხედვით.

მუხლი 81

აქტივების ღირებულება

1. აქტივების ღირებულებაში შეიტანება მათი შეძენის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები, აგრეთვე სხვა ხარჯები, რომლებიც ზრდიან მათ ღირებულებას, გარდა იმ ხარჯებისა, რომელთა მიხედვითაც გადასახადის გადამხდელს აქვს გამოქვითვის უფლება.

2. აქტივების მხოლოდ ნაწილის მიწოდების შემთხვევაში აქტივების ღირებულება მიწოდების მომენტში ნაწილდება დარჩენილ და მიწოდებულ ნაწილებს შორის.

მუხლი 82

მოგების ან ზარალის აუღიარებლობა

1. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას არანაირი მოგება ან ზარალი მხედველობაში არ მიიღება, თუ ხდება:

ა. აქტივების გადაცემა მეუღლეებს შორის;

ბ. აქტივების გადაცემა ყოფილ მეუღლეებს შორის განქორწინების დროს;

გ. აქტივების არანებაყოფლობითი განადგურება ან ჩამორთმევა, თუ ადგილი აქვს მისგან მიღებული შემოსავლების რეინვესტირებას მსგავსი ხასიათის აქტივში განადგურების ან ჩამორთმევის განხორციელების წლის მომდევნო ორი წლის დასრულებამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტში აღნიშნული შესაცვლელი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შემცვლელი აქტივის ღირებულების გათვალისწინებით განადგურების ან ჩამორთმევის მომენტისათვის.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ან „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაცემული აქტივების ღირებულებას წარმოადგენს გარიგების მომენტში მოცემული აქტივის ღირებულება გადამცემი მხარისათვის.

4. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტების მიხედვით ხდება ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემა ერთდროულად.

მუხლი 83

ლიკვიდაცია

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის იურიდიული პირის სრული ლიკვიდაცია განიხილება როგორც მისი პარტნიორების მიერ ამ იურიდიულ პირში თავიანთი წილის გაყიდვა.

2. თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და აქტივი გადაეცემა პარტნიორ იურიდიულ პირს, ამ აქტივის ღირებულება მასში პარტნიორის წილის პროპორციულია და, თუ ეს წევრი უშუალოდ ლიკვიდაციის წინ ფლობდა 50 და მეტ პროცენტს იურიდიულ პირში, მაშინ:

ა. ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების რეალიზაციად ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ;

ბ. პარტნიორისათვის გადაცემული აქტივის ღირებულება იგივეა, რაც ამ აქტივის ღირებულება ლიკვიდირებული იურიდიული პირისათვის გადაცემამდე;

გ. აქტივის განაწილება არ წარმოადგენს დივიდენდს;

დ. მოგება და ზარალი არ მიიღება მხედველობაში ლიკვიდირებულ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაუქმებისას.

3. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფის აქტივების გადაცემა ხდება ერთდროულად.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული აქტივის შემთხვევაში მისი მიმღებისათვის აქტივის ღირებულებად ითვლება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გადაცემის მომენტისათვის, ხოლო ერთი და მეტი ასეთი აქტივის გადაცემის შემთხვევაში აქტივებს შორის ჯგუფების ღირებულებითი ბალანსი ნაწილდება გადაცემის მომენტისათვის მათი საბაზრო ღირებულების პროპორციულად.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ დამტკიცდა, რომ სრული ლიკვიდაციის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს გადასახადებისაგან თავის არიდება.

მუხლი 84

პარტნიორის წილის სანაცვლოდ გადაცემული აქტივების ღირებულების განსაზღვრის წესი

1. გადაცემული აქტივების რეალიზაცია არ განიხილება აქტივების მიწოდებად, თუ:

ა. ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი აქტივებს მიაწოდებს (დავალიანებით ან მის გარეშე) იურიდიულ პირს მასში თავისი წილის სანაცვლოდ;

ბ. ეს ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი ასეთი გაცვლის შემდეგ უშუალოდ ფლობს ამ იურიდიულ პირში წილის 50 ან მეტ პროცენტს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქტივის ღირებულება მისი მიმღებისათვის ტოლია ამ აქტივის ღირებულებისა მიწოდების მომენტში მიმწოდებელი მხარისათვის.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი გაცვლის შედეგად მიღებული პარტნიორის წილის ღირებულება ტოლია გადაცემული აქტივის ან აქტივების ღირებულებისა, გადაცემული დავალიანების გამოკლებით.

4. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივზე, რომელიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ჯგუფურ ამორტიზაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემა ხდება ერთდროულად.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული აქტივის შემთხვევაში:

ა. მისი მიმღები აქტივის ღირებულებად იღებს გადაცემის მომენტში ჯგუფის ღირებულებით ბალანსს, ხოლო, თუ გადაეცემა ერთზე მეტი ასეთი აქტივი, ჯგუფების ღირებულებითი ბალანსი აქტივებს შორის ნაწილდება გადაცემის მომენტისათვის მათი საბაზრო ფასის პროპორციულად, და

ბ. გადამცემი მხარე სანაცვლოდ მიღებული პარტნიორის წილის ღირებულებად იღებს ჯგუფის ღირებულებით ბალანსს გადაცემის მომენტისათვის.

6. ეს მუხლი არ ვრცელდება აქტივების გადამცემზე, თუ მის მიერ გადაცემული დავალიანება აღემატება მის მიერვე გადაცემული აქტივების ღირებულებას.

მუხლი 85

იურიდიული პირის რეორგანიზაცია

1. რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარე იურიდიული პირის ან იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებული ქონებისა და წილის ღირებულება ტოლია ასეთი ქონებისა და წილის ღირებულებისა რეორგანიზაციის განხორციელების წინ.

2. ქონების ან წილის გადაცემა იმ იურიდიულ პირებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარეებს, არ ითვლება ქონების რეალიზაციად.

3. რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარე რეზიდენტ იურიდიულ პირში წილის ნებისმიერი გაცვლა წილზე სხვა მსგავს იურიდიულ პირში, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მოცემული ოპერაციის მხარეს, არ ითვლება წილის რეალიზაციად.

4. წილთა ღირებულება, რომელთა გაცვლაც ხდება ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ტოლია წილთა თავდაპირველი ღირებულებისა.

5. წილთა განაწილება იმ იურიდიულ პირში, რომელიც რეორგანიზაციის დამტკიცებული ოპერაციების მხარეა, რაც წარმოშობს მსგავს უფლებას სხვა იურიდიულ პირში, რომელიც ასევე ამ ოპერაციების მხარეა, არ წარმოადგენს დივიდენდს.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული თავდაპირველი წილის ღირებულება ექვემდებარება გასანაწილებელ წილზე მიკუთვნებას იმ კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც განისაზღვრება როგორც თანაფარდობა გასანაწილებელი წილის ღირებულებასა და თავდაპირველი წილის ღირებულებას შორის განაწილების შემდეგ.

7. იმ პირობით, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ მტკიცდება, რომ შერწყმის, შეძენის, მიერთების ან გაყოფის ოპერაციებს არა აქვს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზანი, რეორგანიზაცია მოიცავს:

ა. ორი ან მეტი რეზიდენტი იურიდიული პირის შერწყმას;

ბ. ხმის უფლების მქონე 50 ან მეტი პროცენტის წილისა და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 ან მეტი პროცენტის შეძენას ან მიერთებას მხოლოდ შეძენისა ან მიერთების ოპერაციაში პარტნიორ მხარეთა მსგავსი უფლებებით წილის სანაცვლოდ;

გ. რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 და მეტი პროცენტის შეძენას სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის სანაცვლოდ, დივიდენდებთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე;

დ. რეზიდენტი იურიდიული პირის გაყოფას ორ ან მეტ რეზიდენტ იურიდიულ პირად.

8. რეორგანიზაციის ოპერაციის მხარედ მიიჩნევა რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ არის ჩართული რეორგანიზაციის ოპერაციაში, და რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც უშუალოდ ფლობს ან ეკუთვნის მოცემულ ოპერაციაში პირდაპირ ჩართულ რეზიდენტ იურიდიულ პირს.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილის მიზნებისათვის იურიდიულ პირზე საკუთრების უფლება ნიშნავს ამ იურიდიულ პირში ხმის უფლების მქონე წილის 50 ან მეტი პროცენტისა და ყველა სხვა წილის ღირებულების 50 ან მეტი პროცენტის ფლობას.

10. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ამ კოდექსის მე-6 თავის მიხედვით ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება ჯგუფის ყველა ელემენტის ერთდროული გადაცემა.

11. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება მე-10 ნაწილში აღნიშნულ აქტივებზე, თუ:

ა. აქტივების მიმღები აქტივის ღირებულებად იღებს გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ხდება ერთზე მეტი ასეთი აქტივის გადაცემა, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნაწილდება აქტივებს შორის გადაცემის მომენტისათვის მათი საბაზრო ფასის პროპორციულად;

ბ. აქტივების გადამცემ მხარეს მიღებული წილის ღირებულებაში შეაქვს ჯგუფის საბალანსო ღირებულება გადაცემის მომენტისათვის.

მუხლი 86

ზარალის გადატანისა და გამოქვითვის შეზღუდვა იურიდიულ პირში წილთა ფლობის ცვლილებისას

თუ წინა წელთან შედარებით იურიდიულ პირში იცვლებიან 50 პროცენტი ან მეტი ხმის უფლებიანი წილის მქონე პარტნიორები, მაშინ უქმდება ზარალის, გამოქვითვისა და კრედიტების შემდგომ პერიოდში გადატანის შესაძლებლობა იმ საგადასახადო წლის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა ეს ცვლილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცვლილების მომდევნო სამი წლის განმავლობაში იურიდიული პირი აგრძელებს იმავე სამეწარმეო საქმიანობას და იწყებს ახალ სამეწარმეო საქმიანობას საგადასახადო ორგანოებთან შეთანხმებით.

თავი 10

გადასახადების ადმინისტრირების წესები

მუხლი 87

დეკლარაციის წარდგენა

1. სამემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშგების ფორმებს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ აპრილამდე წარუდგენენ:

ა. რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ იბეგრება საქართველოში არსებული გადახდის წყაროს მიხედვით;

ბ. რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც ფულადი სახსრები აქვთ უცხოეთის ბანკებში;

გ. რეზიდენტი იურიდიული პირები;

დ. არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და რომლებიც არ იბეგრებიან გადახდის წყაროს მიხედვით.

2. გადასახადის გადამხდელი საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ.

3. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია. ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში.

4. ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით.

5. საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ გადასახადის გადამხდელს, რომელიც იღებს ამ კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით განსაზღვრულ შემოსავლებს და იბეგრება გადახდის წყაროსთან, უფლება აქვს წარადგინოს დეკლარაცია დაკავებული გადასახადის დაბრუნების მოთხოვნით. დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადებში (ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების პირობების გათვალისწინებით). ასეთი გადასახადის გადამხდელი იბეგრება იმავე წესით, როგორითაც დაიბეგრებოდა ეს შემოსავალი, იგი დაკავშირებული რომ ყოფილიყო გადასახადის გადამხდელის საქართველოში არსებულ მუდმივ დაწესებულებასთან. ასეთ შემოსავალთან დაკავშირებული გადასახადის გადამხდელის ხარჯები გამოიქვითება მუდმივი დაწესებულებისათვის დადგენილი წესით, მაგრამ გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის 64-ე მუხლით განსაზღვრულ გადახდის წყაროსთან აუცილებლად გამოსაქვით თანხას.

მუხლი 88

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი

1. გადახდის წყაროსთან სამემოსავლო გადასახადის დაკავება ევალებათ საგადასახადო აგენტებს, კერძოდ:

ა. მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც უხდის საზღაურს თავის ინდივიდუალურ საწარმოში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს;

ბ. იურიდიულ პირს, რომელიც უხდის საზღაურს დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს;

გ. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უხდის პირს პენსიას, გარდა იმ პენსიებისა, რომლებიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;

დ. რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც უხდის დივიდენდებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

ე. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უხდის პროცენტებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

ვ. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც იხდის ამ კოდექსის 64-ე მუხლით გათვალისწინებულ გადასახდელებს.

2. პასუხისმგებლობა გადასახადების დაკავებისა და მათი ბიუჯეტში გადარიცხვისათვის ეკისრება შემოსავლის გადამხდელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა და მასთან დაკავშირებული ჯარიმები და საურავი.

3. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ახდენს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას, ვალდებულია:

ა. ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის თანხის გადახდისთანავე;

ბ. ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნისამებრ მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით.

გ. საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს, აგრეთვე ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათი მოთხოვნისამებრ, გაუგზავნოს ცნობა ამ პირის სარეგისტრაციო ნომრის, მისი დასახელების ან გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო წლისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით.

4. არაძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული შემოსავლიდან დამქირავებელი აკავებს სამემოსავლო გადასახადს ამ კოდექსის 42-ე მუხლით განსაზღვრული უმაღლესი განაკვეთით.

მუხლი 89

გადასახადის მიმდინარე გადასახდელები

1. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, ვალდებულნი არიან შეიტანონ ბიუჯეტში მიმდინარე გადასახდელების თანხები ყოველკვარტალურად არა უგვიანეს გასული კვარტალის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა, წინა საგადასახადო წლის წლიური გადასახადიდან 25 პროცენტის ოდენობით.

2. მიმდინარე გადასახდელთა ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები გადასახადის გადამხდელს ჩაეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.

კარი III

დამატებული ღირებულების გადასახადი

თავი 11

ზოგადი დებულებანი

მუხლი 90

დამატებული ღირებულების გადასახადის ცნება

დამატებული ღირებულების გადასახადი (შემდგომში – დღგ), როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დღგ ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე. დასაბეგრ ბრუნვაზე გადასახდელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ ბრუნვაზე დარიცხულ გადასახადის თანხასა და ამ კარის მიხედვით წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით ჩასათვლელ თანხას შორის.

მუხლი 91

გადასახადის გადამხდელები

1. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გაატაროს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად.

2. პირი, რომელიც რეგისტრაციაში გატარდება, გადასახადის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტიდან. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული, მაგრამ ვალდებულია გაატაროს რეგისტრაციაში, გადასახადის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციაში გატარების ვალდებულების წარმოშობის პერიოდის მომდევნო საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან.

3. პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, ითვლება დღგ-ის გადამხდელად ამგვარ იმპორტზე.

4. არარეზიდენტი პირი, რომელიც ეწევა მომსახურებას ან ასრულებს სამუშაოებს და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე ექვემდებარება უკუდაბეგვრას ამ კოდექსის 108-ე მუხლის მიხედვით, ითვლება გადასახადის გადამხდელად ამგვარი სამუშაოებისა და მომსახურებისათვის.

5. ამ კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტში აღნიშნული იურიდიული პირების ფილიალები, განყოფილებები და სხვა ქვედანაყოფები ამ კარის მიზნებისათვის არიან დამოუკიდებელი პირები. ისინი ვალდებულნი არიან გაატარონ რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელებად, თუ მათი საერთო დასაბეგრი ბრუნვა აღემატება ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ თანხას.

მუხლი 92

სავალდებულო რეგისტრაცია

1. პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ახორციელებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, რომელთა საერთო თანხა აღემატება 3000 ლარს, ვალდებულია ამ მომენტის დადგომიდან მომდევნო თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებისათვის.

2. თუ მიმდინარე საანგარიშო პერიოდისათვის დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის მოსალოდნელი თანხა აღემატება 3000 ლარს, მაშინ დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია წარმოებს საგადასახადო ორგანოებში ამ პირის სხვა გადასახადების გადამხდელად რეგისტრაციაში გატარებასთან ერთად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

3. დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას მის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განხორციელებულია საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

მუხლი 93

ნებაყოფლობითი რეგისტრაცია

პირს, რომელიც არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში, შეუძლია ნებაყოფლობით განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

მუხლი 94

რეგისტრაცია

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ფორმის განცხადებით.

2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირი გაატაროს დღგ-ის რეესტრში და მისცეს მას სარეგისტრაციო სერტიფიკატი განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა, გადამხდელის დასახელების, სახელის, გვარისა და სხვა სათანადო მონაცემების, რეგისტრაციის ძალაში შესვლის თარიღისა და გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის ჩვენებით. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანომ პირი არ გაატარა რეგისტრაციაში ან არ მისცა მას წერილობით მოტივირებული უარი, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. რეგისტრაცია ძალაში შედის:

ა. პირის სავალდებულო რეგისტრაციის შემთხვევაში – რეგისტრაციისათვის მიმართვის ვალდებულების წარმოშობის საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;

ბ. პირის ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შემთხვევაში – რეგისტრაციისათვის მიმართვის პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან ან უფრო ადრეული თარიღიდან გადასახადის გადამხდელის შეხედულებისამებრ.

4. საგადასახადო ორგანო ვალდებულია შეინახოს დღგ-ის რეესტრი ყველა მონაცემითურთ დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებულ პირთა შესახებ.

5. თუ პირი ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, მაგრამ არა აქვს შეტანილი განცხადება რეგისტრაციისათვის, საგადასახადო ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს ამ პირის რეგისტრაციას გადასახადის გადამხდელად და გადასცემს მას შესაბამის სერტიფიკატს.

6. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს გადასახდელის საიდენტიფიკაციო ნომერი ყველა ანგარიშ-ფაქტურაში და საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ ყველა დეკლარაციასა და ოფიციალურ შეტყობინებაში.

მუხლი 95

რეგისტრაციის გაუქმება

1. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების შეწყვეტის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მიმართოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

2. გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, თუ ბოლო 12 თვის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ოპერაციები არ აღემატება 3000-ლარიან ლიმიტს.

3. რეგისტრაციის გაუქმება ძალაში შედის იმ დღიდან, როცა გადასახადის გადამხდელმა შეწყვიტა დასაბეგრი ოპერაციები, ან ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – იმ დროისათვის, როცა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს რეგისტრაციის გაუქმებისათვის.

4. პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისას საგადასახადო ორგანო ვალდებულია დღგ-ის გადამხდელთა რეესტრიდან ამოიღოს პირის დასახელება, სახელი, გვარი და სხვა მონაცემები.

თავი 12

დაბეგვრის ობიექტი

მუხლი 96

დაბეგვრის ობიექტი

1. დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი.

2. დასაბეგრი ოპერაციებია პირის მიერ საქონლის, (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, მათ შორის უსასყიდლოდ, თუ ისინი ითვლება განხორციელებულად საქართველოს ტერიტორიაზე ამ კოდექსის 106-ე ან 107-ე მუხლების მიხედვით, ამ კარის შესაბამისად განთავისუფლებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდების გარდა. დასაბეგრ ოპერაციებს არ განეკუთვნება ამ კოდექსის 107-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება.

3. დასაბეგრ იმპორტად ითვლება საქონლის იმპორტი, გარდა იმ საქონლის იმპორტისა, რომელიც განთავისუფლებულია გადასახადისაგან ამ კარის მიხედვით.

4. თუ დღგ-ის გადამხდელმა შეიძინა საქონელი (სამუშაო, მომსახურება) დღგ-ის გადახდით და მიიღო (ან უფლება აქვს მიიღოს) შესაბამისი ჩათვლა, არაეკონომიკური საქმიანობისათვის ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების შედეგების) გამოყენება ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება მომსახურების გაწევა თავისი თანამშრომლებისათვის საფასურით მის გარეშე, ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

6. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის დღისათვის გადასახადის გადამხდელთან არსებული საქონლის ნაშთები, იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისას არსებული უძრავი ქონების გარდა, განიხილება როგორც აღნიშნული მომენტისათვის განხორციელებული დასაბეგრი მიწოდება.

7. საქონლის მიწოდება იმ პირის მიერ, რომელმაც ეს საქონელი შეიძინა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის შედეგად და რომელსაც არ ჰქონდა დღგ-ის ჩათვლის უფლება, ამ კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით, არ განიხილება როგორც დასაბეგრი ოპერაცია. თუ საქონლის შეძენისას ჩათვლა განხორციელდა ნაწილობრივ, დასაბეგრი ოპერაციის თანხა მცირდება ჩაუთვლელი თანხის პროპორციულად.

8. დასაბრუნებელი ტარის ღირებულება გადასახადით დასაბეგრ თანხაში არ შეიტანება. თუ დასაბრუნებელი ტარა საქონლის მიწოდებიდან 90 დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, იგი ჩაითვლება რეალიზებულად და იბეგრება დადგენილი წესით.

9. საქონლის გადაცემა, მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება იურიდიული პირის ფილიალებს ან სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც ითვლებიან ცალკე გადასახადის გადამხდელებად, განიხილება როგორც დასაბეგრი ოპერაცია.

მუხლი 97

საწარმოს მიწოდება

1. გადასახადის გადამხდელის მიერ საწარმოს ან მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ნაწილის მიწოდება მეორე გადამხდელისათვის არ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

2. მიწოდებულ საწარმოსთან ან საწარმოს ნაწილთან დაკავშირებით მიმღები თავის თავზე იღებს მიმწოდებელი მხარის ამ კარში აღნიშნულ უფლებებსა და მოვალეობებს.

3. ეს მუხლი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდების მომენტიდან 10 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ.

თავი 13

დასაბეგრი ბრუნვისა და დასაბეგრი იმპორტის განსაზღვრა

მუხლი 98

დასაბეგრი ოპერაციის თანხა

1. დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიმღებისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

2. თუ დღგ-ის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის ხანაცვლოდ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს საქონელი, სამუშაო ან მომსახურება, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

3. თუ გადასახადის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ არ იღებს ან არა აქვს უფლება მიიღოს საქონელი, სამუშაო, მომსახურება ან კომპენსაციის თანხა (რეგისტრაციის გაუქმებისას მასთან არსებული საქონლის ნაშთების ჩათვლით), მაშინ დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება მიწოდებული საქონლის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

4. თუ საქონელი (სამუშაო ან მომსახურება) გამოიყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ან გადასახადის გადამხდელი მიაწოდებს მას თავის თანამშრომლებს ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მაშინ დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

მუხლი 99

დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება

1. ეს მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ:

ა. გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია;

ბ. შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;

გ. ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა;

დ. საქონელი (სამუშაო, მომსახურება) სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი ერთ-ერთი პირობის დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება ამ კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის ან 114-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ გადამხდელმა:

ა) წარადგინა დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა აღნიშნულია არასწორად;

ბ) დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად აღნიშნა დღგ-ის თანხა.

მუხლი 100

დასაბეგრი იმპორტის თანხა

1. დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, დღგ-ის ჩაუთვლელად.

2. მომსახურების ღირებულება, რომელიც ამ კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით განიხილება როგორც საქონლის იმპორტის ნაწილი, შეიტანება დასაბეგრი იმპორტის თანხაში დღგ-ის გარეშე.

თავი 14

საგადასახადო შეღავათები

მუხლი 101

გადასახადისაგან განთავისუფლება

1. დღგ-ისაგან განთავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, აგრეთვე იმპორტის შემდეგი სახეები:

ა. ფინანსური მომსახურების გაწევა;

ბ. ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ანდა იმპორტი;

გ. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროს იმპორტი;

დ. საფოსტო მარკების (გარდა საკოლექციოსი) მიწოდება ანდა იმპორტი;

ე. ჩამორთმეული, უპატრონო ფასეულობათა, განძეულობისა და შესყიდულ ფასეულობათა, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობათა მიწოდება ანდა იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

ვ. სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ზ. ფიზიკური პირების მიერ სხვა არამეწარმე ფიზიკური პირებისათვის საცხოვრებელი შენობების მიწოდება და იჯარით გადაცემა; აგრეთვე ბინის ქირა;

თ. სამედიცინო მომსახურება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ი. ავადმყოფთა, ინვალიდთა და ღრმად მოხუცებულთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

კ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 30-ე თავით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის ვაქცინების მიწოდება ანდა იმპორტი;

ლ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000, 8423 10, 9001 30 000, 9001 40, 9001 50, 9018-იდან 9022-ის ჩათვლით, 9025 11 910, 9402 კოდებში აღნიშნული საქონლის, 8713, 8714 20 000 კოდებში აღნიშნული ინვალიდთა ეტლების, იოდირებული მარილის მიწოდება ანდა იმპორტი;

მ. დიაბეტური კვების იმ პროდუქტების მიწოდება ანდა იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად;

ნ. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ანდა იმპორტი;

ო. წრეებში, სექციებში, სტუდიებში ბავშვებისა და მოზარდების სწავლების მომსახურება, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებსა და უპატრონო ბავშვთა სახლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურება;

პ. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის მიწოდება ანდა იმპორტი;

ჟ. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება;

რ. თეატრალური და საცირკო წარმოდგენების, აგრეთვე მუზეუმების ბილეთების მიწოდება;

ს. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

ტ. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და გამოცემული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, მიწოდება და რეალიზაციის მომსახურება;

უ. რვეულების მიწოდება;

ფ. საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა სალეთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღორძინების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები;

ქ. დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალური (მათ შორის ავტოტრანსპორტით) მომსახურება;

ღ. სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, ჰუმანიტარული დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისათვის გადაცემული საქონლისა და გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი; სამუშაოების შესრულება კონტრაქტების საფუძველზე, რომელთაც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის აფინანსებს უცხოეთის ორგანიზაცია და რომელთა ერთ-ერთ მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო. ამ პუნქტის მიზნისათვის საქონლის იმპორტის, აგრეთვე კონტრაქტით სამუშაოების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ყ. სახელმწიფო რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიდარაიონულ მარშრუტებზე და საგარეუბნო მარშრუტებზე საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) მომსახურება;

შ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე;

ჩ. სანაშენე ცხოველების, სანაშენე პროდუქტის, სათესლე მასალის, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი შხამ-ქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების იმპორტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ყოველწლიური კვოტების მიხედვით;

ც. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 84-ე, 85-ე და 90-ე თავებით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების, მათ შორის ენერგეტიკული და ენერგოდამზოგავი მოწყობილობის, ტექნოლოგიური ხაზების, ენერგოსაზომი და მაკონტროლებელი აპარატურის, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილების იმპორტი;

ძ. იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა, დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა; აგრეთვე უცხოეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ქონების იმპორტი;

წ. საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარამესაფუთი მასალის იმპორტი, ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის ფარგლებში. აღნიშნული ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ტარამესაფუთი მასალის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას ხდება დღგ-ის გადახდევინება ან საბანკო გარანტიის დატოვება, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოების მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა, ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით;

ჭ. საქონლის ტრანზიტი, რეიმპორტი, დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ხ. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე გადაიხდევინება დღგ, ანდა საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს საბაჟო ორგანოს მიერ უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ჯ. ფიზიკურ პირთა მიერ საქონლის იმპორტი იმ ლიმიტზე ნაკლები ოდენობით, რაც დადგენილია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის;

ჰ. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების საკუთარი წარმოების არააქციზური პროდუქციის მიწოდება, თუ ამ საწარმოებში დასაქმებულთა შორის ინვალიდები შეადგენენ არანაკლებ 70 პროცენტს (ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებებისა და საწარმოებისათვის – არანაკლებ 50 პროცენტს).

2. დღგ-ისაგან განთავისუფლება ერთიანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ძ“ – „ჯ“ პუნქტების მიხედვით დღგ-ისაგან განთავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნით საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან, თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას განთავისუფლების პირობების დარღვევის გამო, დღგ-ის მიმართაც გამოიყენება იგივე რეჟიმი.

თავი 15

ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები

მუხლი 102

საქონლის ექსპორტის დაბეგვრა

საქონლის ექსპორტი, აგრეთვე ხორბლის იმპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

მუხლი 103

საერთაშორისო და სატრანზიტო გადაზიდვების დაბეგვრა

1. საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებთან ან მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანასთან უშუალოდ დაკავშირებული სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება, ისევე როგორც საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების ბორტზე მიწოდება საერთაშორისო ფრენის განსახორციელებლად, იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

2. 101-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჭ“ პუნქტში აღნიშნული ტრანზიტული საქონლის ტრანსპორტირება და მომსახურება იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

მუხლი 104.

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდების დაბეგვრა

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

თავი 16

დასაბეგრი ოპერაციის დრო, ადგილი და სპეციალური წესები

მუხლი 105

დასაბეგრი ოპერაციის დრო

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული შემთხვევების გარდა, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება:

ა. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის დროიდან 90 დღე;

ბ. საქონლის მიწოდებისას, რომელსაც თან ახლავს გადატვირთვა, – საქონლის გადატვირთვიდან 90 დღე;

გ. განაღდების მომენტში, თუ განაღდება წარმოებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებიდან ან გადატვირთვიდან 90 დღის გასვლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის მოთხოვნათა გამოყენებისას, თუ დასაბეგრი ოპერაციისათვის ორ და მეტ გადახდას აქვს ადგილი, მაშინ თითოეული გადახდა განიხილება როგორც თანხის გადახდა ცალკეული ოპერაციისათვის გადახდილი თანხის ფარგლებში.

3. თუ მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად, მომსახურების გაწევა შესრულებულად ითვლება ამ ოპერაციის ნებისმიერი ნაწილისათვის ყოველი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის მომენტში.

4. არაეკონომიკური საქმიანობისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებისას ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენების დაწყების დრო. ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება მუშაკთათვის საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის დრო.

5. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების დროს ამ კოდექსის 96-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით გადამხდელთან არსებული საქონლის ნაშთებისათვის მიწოდების მომენტად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების ძალაში შესვლის უშუალოდ წინა მომენტი.

მუხლი 106

საქონლის მიწოდების ადგილი

1. თუ საქონლის მიწოდება მოითხოვს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას. სხვა შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გადაცემის ადგილი.

2. ელექტრო- ან თბოენერგიის, ბუნებრივი გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის მიღების ადგილი. საქართველოდან ამ საქონლის ექსპორტის შემთხვევაში მათი მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

მუხლი 107

სამუშაოების შესრულების ან მომსახურების გაწევის ადგილი

1. ამ კარის მიზნით სამუშაოების შესრულების ან მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება:

ა. უძრავი ქონების ადგილმდებარეობა, თუ სამუშაოები (მომსახურება) დაკავშირებულია უშუალოდ ამ ქონებასთან;

ბ. სამუშაოს (მომსახურების) ფაქტობრივად განხორციელების ადგილი, თუ ისინი დაკავშირებულია მოძრავ ქონებასთან;

გ. მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი, თუ იგი ხორციელდება კულტურის, ხელოვნების, განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ან სხვა ანალოგიურ საქმიანობაში;

დ. საქონლის გადაზიდვების ან მგზავრთა გადაყვანის ფაქტობრივი განხორციელების ადგილი, თუ სამუშაო (მომსახურება) დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან. ამ კოდექსის 103-ე მუხლის მიზნებისათვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადამხდელის მიერ სამუშაოების შესრულებასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული;

ე. მომსახურების მიმღები მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელი, რომელთანაც ეს მომსახურება უფრო მეტადაა დაკავშირებული. ამ პუნქტის დებულებები გამოიყენება შემდეგი სახის მომსახურების მიმართ:

– პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების, საავტორო უფლებების ან სხვა ანალოგიური უფლებების საკუთრებაში გადაცემა ან დათმობა;

– საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საინჟინრო, სარეკლამო, აგრეთვე ინფორმაციის დამუშავებისა და სხვა ანალოგიური მომსახურება;

– პერსონალით უზრუნველყოფა;

– მოძრავი ქონების იჯარით გაცემა (გარდა სატრანსპორტო საწარმოთა სატრანსპორტო საშუალებებისა);

– კონტრაქტის ძირითადი მონაწილე პირის (საწარმოს ან ფიზიკური პირის) სახელით მოქმედი აგენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება;

ვ. იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის ერთზე მეტ პუნქტში აღწერილი სამუშაოების შესრულებისა თუ მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება რიგით პირველი პუნქტის მიხედვით.

მუხლი 108

უკუდაბეგვრა

1. თუ არარეზიდენტი პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოში, ეწევა მომსახურებას ან ასრულებს სამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საგადასახადო აგენტისათვის, აღნიშნული სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა იბეგრება ამ მუხლის მიხედვით.

2. ამ მუხლის მიხედვით საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, ან ნებისმიერი რეზიდენტი იურიდიული პირი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებისას საგადასახადო აგენტი ახდენს დღგ-ის დაკავებას არარეზიდენტისათვის გადასახდელი თანხიდან. დღგ-ის თანხა განისაზღვრება ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთების გამოყენებით არარეზიდენტისათვის მისაცემი თანხიდან დღგ-ის გარეშე.

4. თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, დაკავებული დღგ გადაიხდება დღგ-ის შესახებ იმ თვის დეკლარაციის წარდგენის დროს, რომელშიც მოხდა ოპერაცია. საგადასახადო დოკუმენტი დაკავებული დღგ-ის გადასახდელად ითვლება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურად და საგადასახადო აგენტს აძლევს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლებას ამ კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით.

5. თუ საგადასახადო აგენტი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, იგი ვალდებულია დაკავებული დღგ გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი წესით არარეზიდენტისათვის თანხის გაცემიდან 7 დღის განმავლობაში.

მუხლი 109

იმპორტის დრო

საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი იბეგრება საბაჟო გადასახადით საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით. თუ საქონელი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, საქონლის იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა მასზე უნდა გადახდილიყო საბაჟო გადასახადი, ეს საქონელი განთავისუფლებული რომ არ ყოფილიყო საბაჟო გადასახადისაგან.

მუხლი 110

შერეული ოპერაციები

1. საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომლებიც ატარებს ძირითადი საქონლის მიწოდების, სამუშაოების შესრულებისა თუ მომსახურების გაწევის მიმართ დამხმარე ხასიათს, განიხილება როგორც ამ უკანასკნელის ნაწილი.

2. სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელთაც დამხმარე ხასიათი აქვთ საქონლის იმპორტის მიმართ, წარმოადგენენ ამ საქონლის იმპორტის ნაწილს.

3. დასაბეგრი ოპერაციის ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც განთავისუფლებული იქნებოდა დღგ-ისაგან, ცალკე რომ ყოფილიყო მიწოდებული, შესრულებული ან გაწეული, განიხილება როგორც ცალკე ოპერაცია. განთავისუფლებული ოპერაციის ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც დაიბეგრებოდა დღგ-ით, ცალკე რომ ყოფილიყო მიწოდებული, შესრულებული ან გაწეული, განიხილება როგორც ცალკე ოპერაცია.

მუხლი 111

აგენტის ოპერაციები

1. საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება ან მომსახურების გაწევა იმ პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს სხვა პირის (მრწმუნებლის) აგენტს (რწმუნებულს), განიხილება როგორც მრწმუნებლის ოპერაციები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ეხება აგენტის (რწმუნებულის) მიერ მრწმუნებელი პირისათვის გაწეულ მომსახურებას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ გამოიყენება საქართველოში არარეზიდენტი პირის მიერ აგენტის მეშვეობით საქონლის მიწოდების მიმართ, როცა ეს პირი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოში. ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის მიზნით მიწოდება ითვლება აგენტის (რწმუნებულის) მიერ განხორციელებულად.

თავი 17

დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

მუხლი 112

დღგ-ის განაკვეთები

1. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 20 პროცენტს.

2. დასაბეგრი ბრუნვა წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ჯამს.

მუხლი 113

დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ

1. დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დღგ-ის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ გადასახადის თანხასა და 114-ე მუხლის მიხედვით ჩასათვლელ გადასახადის თანხას შორის.

2. ამ კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების შემთხვევაში, როცა გადასახდელი დღგ-ის თანხა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

აღემატება გადასახადის გადამხდელის მიერ ფაქტობრივად ნაჩვენებ თანხას, ნამეტი თანხა განიხილება როგორც იმ საანგარიშო პერიოდში გადასახდელი დღგ, რომელშიც ადგილი ჰქონდა ამ კოდექსის 99-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილ შემთხვევებს, და ეს თანხა ემატება ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საანგარიშო პერიოდში გადასახდელი დღგ-ის თანხას.

მუხლი 114

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ბიუჯეტში შესატანი თანხების განსაზღვრისას

1. ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ჩასათვლელი დღგ-ის თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც დასაბეგრი ოპერაციის დროის მიხედვით გადახდილ უნდა იქნეს ან გადახდილია წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად დასაბეგრ იმპორტზე ან დასაბეგრ ოპერაციებზე, თუ საქონელი, სამუშაო ან მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არ შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში.

2. თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით საქონლის იმპორტისა და დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გადასახდელი ან გადახდილი დღგ ნაწილობრივ გათვალისწინებულია გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის, ნაწილობრივ კი — სხვა მიზნებისათვის, დღგ-ის ჩათვლა განხორციელდება პროპორციულად.

3. დღგ-ის ჩათვლა არ წარმოებს:

ა. მსუბუქ ავტომობილებზე, გარდა გასაყიდად გამოტანილისა ან გაქირავებით გაცემულისა, — იმ პირთათვის, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილების ყიდვა-გაყიდვა ან გაქირავება;

ბ. საქველმოქმედო ან სოციალური მიზნებით გაწეულ გასართობ და წარმომადგენლობით ხარჯებზე.

4. თუ დღგ-ის გადამხდელს აქვს დასაბეგრი და ამ კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით დღგ-ისაგან განთავისუფლებული ოპერაციები, მაშინ დღგ-ის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება საერთო ბრუნვის თანხაში დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წონის მიხედვით. თუკი გადასახადის გადამხდელს აქვს მხოლოდ განთავისუფლებული ბრუნვები, მაშინ ჩათვლა არ განხორციელდება. ეს ნაწილი გამოიყენება ამ მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

5. თუ ანგარიშ-ფაქტურაში ან დეკლარაციაში ნაჩვენები თანხა აღემატება გადასახდელ დღგ-ს, ნამეტი თანხა გადასახადის გადამხდელს ჩაეთვლება იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც ადგილი ჰქონდა ამ კოდექსის 99-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილ შემთხვევებს.

მუხლი 115

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომელიც აწარმოებს დასაბეგრ ოპერაციას, ვალდებულია გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების მიმღებს იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ ამ მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით. იმ პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, არა აქვს ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის უფლება.

2. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს შემდეგი მონაცემებით:

ა. დღგ-ის გადამხდელისა და მყიდველის (დამკვეთის) გვარი, სახელი ან იურიდიული სახელი და დღგ-ის გადამხდელის საფირმო დასახელება, თუ იგი განსხვავდება იურიდიული სახელისაგან;

ბ. დღგ-ის გადამხდელისა და მყიდველის (დამკვეთის) საიდენტიფიკაციო ნომრები;

გ. დღგ-ის გადამხდელად სარეგისტრაციო სერტიფიკატის ნომერი და თარიღი;

დ. მიწოდებული საქონლის, შესრულებული სამუშაოების ან გაწეული მომსახურების დასახელება;

ე. დასაბეგრი ოპერაციის კომპენსაციის თანხა და დასაბეგრი ბრუნვის თანხა;

ვ. აქციზის თანხა აქციზურ საქონელზე;

ზ. მოცემული დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით კუთვნილი დღგ-ის თანხა;

თ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ნომერი და გაცემის თარიღი.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს და მისცეს მყიდველს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებისას ან მიწოდებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში.

4. საქონლის საცალო მიწოდებისას, სამუშაოების შესრულებისას ან მომსახურების გაწევისას იმ მყიდველებისათვის, რომლებიც არ არიან დღგ-ის გადამხდელები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სალაროს ჩეკი ან საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ანგარიშ-ფაქტურის გამარტივებული ფორმა.

თავი 18

გადასახადის ადმინისტრირების წესები და დასკვნითი დებულებები

მუხლი 116

დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ის გადახდა

1. დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია:

ა. რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვისა;

ბ. ყოველ საანგარიშო პერიოდზე დეკლარაციის წარსადგენად დადგენილ ვადაში გადაიხადოს დღგ.

2. თუ ამ კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით ნებაყოფლობით რეგისტრაციას აქვს უკუქმედების ძალა, დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს დღგ იმ დასაბეგრ ოპერაციებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტიდან, და მას უფლება აქვს მიიღოს ჩათვლა დღგ-ის გადამხდელთათვის დადგენილი წესით. ამასთან, შესაბამისი ოპერაციები უნდა აისახოს დღგ-ის გადამხდელის მიერ წარდგენილ პირველსავე დეკლარაციაში და განხილულ იქნეს იმ თვის განმავლობაში განხორციელებულ ოპერაციებად, რომლებსაც განეკუთვნება ეს დეკლარაცია. ასეთ შემთხვევაში დღგ-ის გადამხდელს შეუძლია დეკლარაციაში ნაჩვენებ დასაბეგრ ოპერაციებზე გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილები არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც გადასახადის გადამხდელად ითვლება მხოლოდ საქონლის იმპორტისას.

4. დასაბეგრ იმპორტზე დღგ-ის დარიცხვა და გადახდევინება ხდება საბაჟო ორგანოების მიერ ამ კოდექსისა და საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 117

დღგ-ის საანგარიშო პერიოდი

დღგ-ის საანგარიშო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე.

მუხლი 118

ბიუჯეტთან ანგარიშსწორება საანგარიშო პერიოდში დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დარიცხული დღგ-ის თანხაზე გადამეტების შემთხვევაში

1. თუ საანგარიშო პერიოდში დღგ-ის გადამხდელის დასაბეგრი ბრუნვის არანაკლებ 25 პროცენტისა იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, ჩასათვლელი დღგ-ის თანხის გადამეტება დარიცხული დღგ-ის თანხაზე უბრუნდება გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს მიერ ამის შესახებ დღგ-ის გადამხდელის განცხადების მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

2. სხვა დღგ-ის გადამხდელებისათვის ჩასათვლელი თანხის გადამეტება საანგარიშო პერიოდის მანძილზე დარიცხული დღგ-ის თანხაზე გადაიტანება შემდეგ საანგარიშო პერიოდში და ჩაითვლება მომავალი პერიოდების გადასახდელებში, ან მათ უბრუნდებათ ბიუჯეტიდან დღგ-ის გადამხდელის განცხადების მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

3. საგადასახადო ორგანოს მიერ დღგ-ის გადამხდელისათვის თანხის შეცდომით დაბრუნების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს ამ თანხის დაბრუნება დღგ-ის გადახდევინების წესით.

მუხლი 119

დღგ-ის ანაზღაურება გრანტის შემთხვევებში

1. პირს, რომელიც ყიდულობს გრანტით დაფინანსებულ საქონელს ანდა ამავე საწყისებზე იღებს სამუშაოს ან მომსახურებას, უფლება აქვს აინაზღაუროს ამ საქონლისათვის, სამუშაოსა თუ მომსახურებისათვის გადახდილი დღგ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ.

2. დღგ-ის ანაზღაურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომდევნო თვის ბოლომდე. ამ კოდექსის 118-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მოთხოვნები გამოიყენება ამ მუხლის მიმართაც.

მუხლი 120

დღგ-ის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და საგადასახადო ორგანოების მიერ კონტროლის დაწესება

1. პასუხისმგებლობა დღგ-ის არასწორად გამოანგარიშებისათვის, ბიუჯეტში დროულად გადაუხდელობისა და საგადასახადო ორგანოებში დეკლარაციების დადგენილ ვადებში წარუდგენლობისათვის ეკისრებათ დღგ-ის გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს ამ კოდექსის მიხედვით, ხოლო, თუ დღგ-ის გადახდევინება შედის საქართველოს საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში, — საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

2. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ევალებათ კონტროლი საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებაზე ამ კოდექსისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 121

ფინანსური სანქციები ამ კარით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის

1. ამ კარით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 252-254-ე მუხლებით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები.

2. გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისა, საგადასახადო ორგანოები ფინანსური სანქციის სახით პირს ახდევინებენ:

ა. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირებისას — რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხის 100 პროცენტს;

ბ. დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში დასაბეგრი ბრუნვისა და დღგ-ის თანხის ჩაუწერლობის ან არასწორად ჩაწერის, აგრეთვე ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის შემთხვევაში — ამ ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით ან განხორციელებულ ოპერაციაზე კუთვნილი დღგ-ის თანხის 100 პროცენტს.

კარი IV

აქციზი

თავი 19

აქციზი

მუხლი 122

აქციზის ცნება

1. აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად.

2. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი განთავისუფლებული არ არის გადასახადისაგან.

მუხლი 123

გადასახადის გადამხდელები

1. აქციზის გადამხდელად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან ეწევა მის იმპორტს საქართველოში, თუ ამ კარით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. დამკვეთის მიერ მიწოდებული ნედლეულისაგან საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

მუხლი 124

დაბეგვრის ობიექტი

აქციზით დაბეგვრის ობიექტია აქციზური საქონლის იმპორტი, საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება, მათ შორის დამკვეთის ნედლეულით დამზადებული აქციზური საქონლის გადაცემა.

მუხლი 125

დასაბეგრი ოპერაციის თანხა

1. საქართველოში წარმოებული საქონლის დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება იმ თანხის მიხედვით, რომელიც უნდა მიეღო ან მიიღო გადასახადის გადამხდელმა დამკვეთის ან სხვა პირისაგან, აქციზისა და დღგ-ის გამოკლებით, მაგრამ არანაკლებ საქონლის საბაზრო საბითუმო ფასისა აქციზისა და დღგ-ის თანხის გარეშე. გადასახადის გადამხდელის მიერ საცალო საბაზრო ფასით გაყიდულ საქონელთან მიმართებით, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საბითუმო საბაზრო ფასის მიხედვით დღგ-ისა და აქციზის გარეშე.

2. იმპორტისას დასაბეგრი ოპერაციის თანხად ითვლება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულებისა (მაგრამ არანაკლებ საბითუმო საბაზრო ფასისა, აქციზისა და დღგ-ის გარეშე) და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი მოსაკრებლებისა და გადასახადების თანხის (აქციზისა და დღგ-ის გარდა) ჯამი.

3. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ შედის მრავალჯერადად გამოსაყენებელი დასაბრუნებელი ტარის ღირებულება, გარდა საცალო წესით საქონლის მისაწოდებლად გამოყენებული ტარის ღირებულებისა.

მუხლი 126

დასაბეგრი ოპერაციის დრო

1. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოებისას დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება:

ა. საქონლის მიწოდების (გადაცემის) მომენტიდან 90 დღე;

ბ. განაღდების მომენტი, თუ განაღდება მოხდა საქონლის მიწოდებიდან (გადაცემიდან) 90 დღის გასვლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით დასაბეგრი ოპერაციისათვის ორი და მეტი გადახდის შემთხვევაში თითოეული გადახდა განიხილება როგორც თანხის გადახდა ცალკეული ოპერაციისათვის გადახდილი თანხის ფარგლებში.

3. საქონლის იმპორტის შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება იმპორტის დრო საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 127

ექსპორტის დაბეგვრა

აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

მუხლი 128

საგადასახადო შეღავათები

1. აქციზისაგან თავისუფლდება:

ა. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები;

ბ. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი; საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი;

გ. აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

დ. აქციზური საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტისათვის გათვალისწინებულ აქციზურ საქონელზე გადაიხდევინება აქციზი, დაიტოვება საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების შემოტანილი საქონელი გარანტიის სახით, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან გარანტიის სახით დატოვებული საქონელი ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ე. მანქანებისა და საბურავების იმპორტი სტიქიური უბედურების დროს ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ — „დ“ პუნქტების მიხედვით აქციზისაგან განთავისუფლება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლების პირობები; ამასთან, თუ საბაჟო გადასახადის მიზნისათვის საქართველოში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება დაბრუნების რეჟიმს, ან, თუ საბაჟო გადასახადი ექვემდებარება გადახდას განთავისუფლების პირობების დარღვევის გამო, იგივე რეჟიმი გამოიყენება აქციზის მიმართაც.

მუხლი 129

საწარმოო რესურსებზე ჩასათვლელი აქციზი

1. პირს, რომელიც ყიდულობს აქციზით დაბეგრილ ნედლეულს და იყენებს მას სხვა აქციზური საქონლის საწარმოებლად მისი შემდგომი მიწოდებისათვის, უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მის საწარმოებლად შეძენილ საქონელზე გადახდილი აქციზის ოდენობით, ან დაიბრუნოს აქციზი.

2. ნებადართულია გადახდილი აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება იმ აქციზურ საქონელზე, რომელიც გამოიყენება:

ა. ნიმუშების სახით ანალიზის ჩატარების ან წარმოების პროცესში აუცილებელი შემოწმებისათვის;

ბ. სამეცნიერო კვლევისათვის;

გ. საავადმყოფოებსა და აფთიაქებში სამედიცინო მიზნებისათვის.

3. ამ მუხლის მიხედვით აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს აქციზის გადახდას ნედლეულის მწარმოებლისათვის ან ნედლეულის იმპორტისას — შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

4. გადასახადის გადამხდელს თანხა უბრუნდება საგადასახადო ორგანოში დოკუმენტების წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 130

აქციზის განაკვეთები

ამ მუხლში აღნიშნული აქციზური საქონელი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ნომენკლატურის კოდი	აქციზის განაკვეთი
1.	ყურძნის ღვინოები და ღვინომასალები, შამპანური და ცქრიალა ღვინოებისა და შემაგრებული ღვინოების გარდა	2204	15
2.	შემაგრებული ღვინოები და ღვინომასალები	2204	50
3.	ყურძნის ცქრიალა და შემხუნა ღვინოები	2204	20
4	შამპანური ღვინოები	2204	100
5.	ვერმუტი, ხილის ღვინოები (ხილის შუშხუნა ღვინოების ჩათვლით), ღვინომასალები, სხვა სასმელები	2205 2206	50
6.	სპირტიანი სასმელები: – ბრენდი, ბრენდის მასალა, ყურძნის ღვინისაგან მიღებული სხვა სპირტიანი სასმელები, არაყი – სხვა დანარჩენი (კონიაკი, ვისკი, ჯინი, რომი, ბალზამი, ლიქიორი და სხვა ალკოჰოლური სასმელები)	2208 2208	50 100
7.	ეთილის სპირტი	2207 2208	100
8.	ლუდი	2203	15
9.	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა): – უმაღლესი, პირველი და მეორე კლასისა – მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასისა	2402 2403	100 5
10.	საიუველირო ნაწარმი	7113;7114; 7116	35
11.	მსუბუქი ავტომობილები	8703	15
12.	მსუბუქი ავტომობილების საბურავები	401110000; 4012	15
13.	საავტომობილო ბენზინი (ეთილირებული ბენზინის გარდა)	271000330; 271000350	15
14.	ეთილირებული ბენზინი	271000330; 271000350	50
15.	თართისა და ორაგულის ხიზილალა, ძვირფასი სახეობის თევზებისა და ზღვის პროდუქტების დელიკატესური პროდუქცია	16	20

მუხლი 131

აქციზის გადახდა

1. აქციზური საქონლის მიწოდებისას საანგარიშო თვეში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გამოანგარიშებული აქციზი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო პერიოდში არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში, ამ კოდექსის 126-ე მუხლის მიხედვით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან.

2. თუ გადასახადის გადამხდელს დროის რომელიმე პერიოდისათვის აქვს აქციზის ვადაგადაცილებული დავალიანება, მაშინ ამ დავალიანების წარმოქმნის მომენტიდან მისი დაფარვის მომენტამდე მას ეკრძალება საქონლის მიწოდება მასზე აქციზის გადაუხდელად.

3. საქონლის იმპორტისას აქციზის გადახდევინება ხორციელდება საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო გადასახადისათვის მიღებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 132

დეკლარაციის წარდგენა

1. ამ კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქციზის გადამხდელმა ყოველი საანგარიშო თვის მიხედვით უნდა წარადგინოს დეკლარაცია ჩატარებული დასაბეგრი ოპერაციების აღნიშვნით საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ფორმით საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისათვის.

2. აქციზის გადამხდელმა აქციზის შესახებ დეკლარაციაში უნდა შეიტანოს განაცხადი ჩათვლის თაობაზე ამ კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით. პირი, რომელიც არ არის აქციზის გადამხდელი, მაგრამ ამ მუხლის მიხედვით უფლება აქვს მიიღოს ჩათვლა, წარადგენს განცხადებას კომპენსაციის მისაღებად კომპენსაციის მიღების უფლების წარმოშობიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 133

აქციზის დაბრუნება რეექსპორტისას

1. რეექსპორტის მიზნით საქართველოში აქციზური საქონლის შემოტანისას გადახდილი აქციზის (გირაოს) დაბრუნება რეექსპორტირებული საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად ხდება საბაჟო ორგანოების მიერ 15 დღის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ გამოიყენება ამ კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით განთავისუფლებული საქონლის მიმართ.

მუხლი 134

აქციზური მარკები

ნორმატიული აქტებით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს მოთხოვნა აქციზური მარკების სავალდებულო დართვის შესახებ იმ ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა და იმპორტული საქონლისათვის, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას აქციზის ფიქსირებული განაკვეთით. ამ შემთხვევაში აქციზი გადაიხდება მარკის ყიდვის დროს. საქონელი, რომელსაც აქვს მარკა, დამატებით აქციზით არ იბეგრება. აკრძალულია აქციზური საქონლის იმპორტი ან რეალიზაცია აქციზური მარკის გარეშე. საგადასახადო ორგანოებს აქვთ აქციზური მარკის გარეშე გასაყიდად მიღებული აქციზური საქონლის ჩამორთმევის უფლება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 135

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

1. ამ მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, აქციზის გადამხდელი აქციზური საქონლის რეალიზაციისას ვალდებულია საქონლის მიმღებს გამოუწეროს და გადასცეს ამ კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

2. საქონლის საცალო მიწოდებისას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ანგარიშ-ფაქტურის გამარტივებული ფორმა.

კარი V

ქონების გადასახადი

თავი 20

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი

მუხლი 136

გადასახადის გადამხდელები

გადასახადის გადამხდელები არიან ქონების გადასახადით დასაბეგრი ობიექტების მესაკუთრე ფიზიკური პირები.

მუხლი 137

დაბეგვრის ობიექტი

1. დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ურბანულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობანი ან მათი ნაწილი), მიწის გარდა.

2. გადასახადით არ იბეგრება ბავშვობიდან ინვალიდების, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდების ქონება.

მუხლი 138

გადასახადის განაკვეთები

გადასახადის გადახდა ხდება ყოველწლიურად შენობის ან ნაგებობის საინვენტარიზაციო ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 139

გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. შენობა-ნაგებობების გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ორგანოების მიერ ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით საინვენტარიზაციო ღირებულების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ წარმოდგენილ მონაცემთა საფუძველზე. საინვენტარიზაციო ღირებულების შესახებ მონაცემთა არარსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მის სიდიდეს განსაზღვრავენ შეფასებული ანალოგიური ქონების ერთი კვადრატული მეტრის ღირებულების საფუძველზე.

2. რამდენიმე პირის კერძო საკუთრებაში არსებული შენობის ან ნაგებობის გადასახადი გადაიხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაცემთა საფუძველზე, თითოეული თანამფლობელის ხვედრითი წილის შესაბამისად.

3. გამოანგარიშებული გადასახადის თანხის შესახებ საგადასახადო ორგანოები გადამხდელებს წარუდგენენ საგადასახადო შეტყობინებას არა უგვიანეს საანგარიშო წლის 1 მარტისა.

4. გადასახადის გადახდა ხდება ორ თანაბარ ნაწილად საგადასახადო წლის 15 ივნისისა და 15 ოქტომბრისათვის.

თავი 21

საწარმოთა ქონების გადასახადი

მუხლი 140

გადასახადის გადამხდელები

საწარმოთა ქონების გადასახადის გადამხდელები არიან:

ა. საქართველოს საწარმოები;

ბ. ამ მუხლის „ა“ პუნქტში მითითებულ საწარმოთა ფილიალები და ქვედანაყოფები, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშსწორების ანგარიში;

გ. უცხოური საწარმოები, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით.

მუხლი 141

დაბეგვრის ობიექტი

1. საწარმოთა ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოცემული საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები.

2. ამ კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით განსაზღვრული გადამხდელებისათვის დასაბეგრ ობიექტად ითვლება მხოლოდ მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული აქტივები.

მუხლი 142

გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრა

გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულებად ითვლება ამ კოდექსის 141-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის ამ აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით.

მუხლი 143

საგადასახადო შეღავათები

გადასახადით არ იბეგრება:

ა. ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება;

ბ. მიწა;

გ. საავტომობილო გზები;

დ. საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების საეტალონო და სასტენდო მოწყობილობები;

ე. ქონება, რომელიც დადგენილი წესით გადაყვანილია კონსერვაციის რეჟიმზე;

ვ. ორგანიზაციის ქონება;

ზ. ინვალიდების საზოგადოებრივ გაერთიანებათა და საწარმოთა ქონება, თუ ამ საწარმოებში ინვალიდები შეადგენენ დასაქმებულთა არანაკლებ 70 პროცენტს (ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებებსა და საწარმოებში — არანაკლებ 50 პროცენტს).

მუხლი 144

გადასახადის განაკვეთები და მისი ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

1. ამ კოდექსის 142-ე მუხლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულება იბეგრება ერთპროცენტიანი განაკვეთით. თუ საწარმო არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად.

2. საანგარიშო წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელები გადასახადს იხდიან მიმდინარე გადასახდელების სახით, რომლებიც

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

გამოიანგარიშება გასული კალენდარული წლის ბოლოსათვის საწარმოთა ბალანსზე რიცხული აქტივების საშუალო წლიური ღირებულების მიხედვით და ბიუჯეტში ჩაირიცხება ყოველკვარტალურად თანაბარ ნაწილებად კვარტალის მეორე თვის 15 რიცხვისათვის.

3. მიმდინარე გადასახდელების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები ჩაითვლება საანგარიშო წლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის თანხად.

მუხლი 145

ანგარიშგება ქონების გადასახადზე

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საანგარიშო წლის 1 თებერვლამდე საგადასახადო ორგანოებს წარუდგინოს გაანგარიშებები მიმდინარე გადასახდელების შესახებ.

2. გაანგარიშება გასული წლის მიხედვით ქონების გადასახადის შესახებ საგადასახადო ორგანოებს წარედგინება საანგარიშო წლის 1 აპრილამდე.

კარი VI

მიწის გადასახადი

თავი 22

ზოგადი დებულებანი

მუხლი 146

გადასახადის გადამხდელები

მიწის გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში აქვთ მიწის ნაკვეთი.

მუხლი 147

დაბეგვრის ობიექტი

1. მიწის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
ა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
ბ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

2. დასაბეგრი მიწის ფართობი მოიცავს შენობა-ნაგებობებით დაკავებულ, ასევე მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობების სანიტარულ-ტექნიკურ ზონას, თუ ის არ იმყოფება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სარგებლობაში.

მუხლი 148

მიწის გადასახადით დაბეგვრის პრინციპები

1. გადასახადის განსაზღვრის საფუძველია მიწის ფართობის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. შენობა-ნაგებობებით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის სარგებლობაში ან საკუთრებაშია, გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე ნაგებობისათვის თითოეული პირის სარგებლობაში ან თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად.

3. მიწის გადასახადის ოდენობა არ არის დამოკიდებული მიწის გადასახადის გადამხდელთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე და დგინდება ფიქსირებული წლიური გადასახადის სახით მიწის ფართობის ერთეულზე.

4. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

5. სხვა სახელმწიფოსათვის სარგებლობაში გადაცემული მიწის გადასახადი გადაიხდება ამ კოდექსით განსაზღვრული წესითა და პირობებით, თუ ხელშეკრულებით საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავი 23

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი

მუხლი 149

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით დაბეგვრის ობიექტი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
ა. სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;
ბ. არსებული წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები;
გ. საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და საააგარაკო ნაკვეთები;
დ. დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;
ე. ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მოქცეული მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და სასოფლო-სამეურნეო მიზნით მათი გამოყენება ნებადართულია არსებული წესის მიხედვით;
ვ. პირუტყვის გადასარეკი ტრასებითა და სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები;
ზ. სხვა მიწა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

მუხლი 150

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის განაკვეთები

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და დგინდება ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში:
ა. ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებს გარეთ არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის:

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი, ჰა/ლარი		
	მიწის ხარისხი		საშუალო რაიონული (საქალაქო)
	კარგი	მწირი	
1	2	3	4
1. თბილისი, მარნეული	44	24	34
2. ბოლნისი, გარდაბანი	40	21	31
3. რუსთავი	39	21	30
4. ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური	39	21	30
5. გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი, ყვარელი	34	18	26
6. ახალქალაქი, გორი, ნინოწმინდა, მცხეთა	33	17	25
7. ახალციხე, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თეთრიწყარო, კასპი, სამტრედია, საგარეჯო, ქარელი, ხაშური	30	16	23
8. ქურთა, წალკა	29	15	22
9. აბაშა, ზუგდიდი	27	15	21
10. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	26	14	20
11. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	25	13	19
12. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი, წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	23	12	18
13. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	22	12	17
14. ამბროლაური, ლუშეთი, თიანეთი	18	10	14
15. ადიგენი, ბორჯომი	17	9	13
16. ასპინძა, გუბული, ხულო, ქედა, შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა	14	8	11
17. ლენტეხი, ონი, ჩოხატაური	13	7	10
18. მესტია, ყაზბეგი, ჯავა	10	6	8

ბ. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის:

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი ჰა/ლარი			
	სათიბები	საძოვრები	გაკულტურებული	
			სათიბები	საძოვრები
1	2	3	4	5
1. აბაშა, ახალქალაქი, ახალციხე, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	4	2	6	3
2. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, გუბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო	3	1.5	5	2
3. ამბროლაური, ახმეტა, ლუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	2	1	3	1.5

გ) საქალაქო (სადაბო) ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის – ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებული გადასახადის განაკვეთი იზრდება 20 პროცენტით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრული მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთი კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს 20 პროცენტამდე ადმინისტრაციული ერთეულისათვის გადასახადის საერთო მოცულობის შეუცვლელად.

3. გადასახადის განაკვეთებს კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის ადგენენ სასოფლო-ადმინისტრაციული რაიონების (ქალაქების) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურების წარდგინებით.

მუხლი 151

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გამოანგარიშება

გადასახადი გამოიანგარიშება გადასახადის განაკვეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობზე (ჰექტრებში) ნამრავლით.

მუხლი 152

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადახდის წესი

1. გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადგილობრივი ორგანოები საგადასახადო ორგანოებს საანგარიშო წლის 1 მარტისათვის წარუდგენენ გადამხდელთა სიებს მიწის ფართობისა და გადასახადის განაკვეთის ჩვენებით.

2. საგადასახადო ორგანოები დარიცხული გადასახადების შესახებ საგადასახადო შეტყობინებას გადამხდელებს აბარებენ საანგარიშო წლის 1 ივნისისათვის.

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი გადაიხდება საანგარიშო წლის 1 ნოემბრამდე. ამასთან, იჯარით გაცემულ სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადახდის კონკრეტული ვადა განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით, მაგრამ არა უგვიანეს საანგარიშო წლის 1 ნოემბრისა.

თავი 24

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი

მუხლი 153

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით დაბეგვრის ობიექტი

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მიწის ნაკვეთი, რომელიც ამ კოდექსის 149-ე მუხლით არ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს.

მუხლი 154

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის განაკვეთები

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთები დგინდება მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში 0,24 ლარის ოდენობით.

2. მიწის ერთჯერადი გადასახადი ყველა კატეგორიის მიწათსარგებლობისთვის ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ახალი მიწის გამოყოფისას განისაზღვრება გადასახადის განაკვეთის არა უმეტეს ორმოცდაათმაგი ოდენობით.

3. მიწის ერთჯერადი გადასახადი ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მიწის ნაკვეთით დროებითი სარგებლობისათვის, აგრეთვე მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლების გადაცემისას (მემკვიდრეობით გადაცემის გარდა) განისაზღვრება გადასახადის განაკვეთის არა უმეტეს ათმაგი ოდენობით.

მუხლი 155

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გამოანგარიშება

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი გამოიანგარიშება მიწის წლიური საბაზისო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტსა და მიწის ფართობზე.

2. მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის დიფერენცირება ხდება ნაკვეთების ადგილმდებარეობისა და ზონების მიხედვით.

3. ზონის საზღვრების დადგენა და მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის დიფერენცირება ხდება ტერიტორიის ექსპერტული სოციალურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე დასახლებული პუნქტის განაშენიანების გეგმის ან სხვა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მონაცემთა გათვალისწინებით, რომელთაც ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურების წარდგინებით.

მუხლი 156

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადახდის წესი

1. გადასახადის გადამხდელების აღრიცხვა და გადასახადის დარიცხვა წარმოებს ყოველწლიურად 1 მარტის მდგომარეობით.

2. გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადგილობრივი ორგანოები საგადასახადო ორგანოებს საანგარიშო წლის 1 მარტისათვის წარუდგენენ გადამხდელთა სიებს მიწის ფართობისა და გადასახადის განაკვეთის ჩვენებით.

3. საგადასახადო შეტყობინება ფიზიკურ პირებს ჰბარდება არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ივნისისა.

4. ახლად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გადასახადის გაანგარიშება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს წარედგინებათ მიწის დამაგრების მომენტიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 157

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის დარიცხვა

1. მიწის გადასახადი ფიზიკურ და იურიდიულ პირს ძაერიცხება მიწით სარგებლობის უფლების წარმოშობის თვის მომდევნო თვიდან.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი გადაიხდება თანაბარწილად ყოველკვარტალურად საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მუხლი 158

მიწის გადასახადისაგან განთავისუფლება

მიწის გადასახადით არ იბეგრება:
ა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობით გამოყენებული მიწებისა;
ბ. სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტის სახსრებით;
გ. ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოების, მოხუცთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების მიერ და ფინანსდება ბიუჯეტიდან;
დ. ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიის, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის;
ე. ბუნებრივი პარკები, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღები, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკები და სასაფლაოები, ზოოლოგიური ბაღები და პარკები, ოკეანერიუმები, სკვერები, ხეივნები, დაცული ტერიტორიები, სატყეო ორგანიზაციები, ასევე, ღია საუწყებო პარკები, ბაღები და ტყე-ბაღები, გარდა ამ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;
ვ. ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები, ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის;
ზ. ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;
თ. სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;
ი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
კ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიური მოვლენების შედეგად;
ლ. ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახლად ასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში;
მ. ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები – დასახლებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში;
ნ. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები;
ო. ქურთის, ერედვის, თიღვის თემები, სოფლები: ავნევი და ნული – დროებით, კონფლიქტის მოგვარებისა და ეკონომიკური სიტუაციის დარეგულირებამდე.

2. დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს), ანდა შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

კარი VII

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი

თავი 25

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი

მუხლი 159

გადასახადის გადამხდელები

გადასახადის გადამხდელია პირი, რომელსაც საკუთრებაში აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალება.

მუხლი 160.

დაბეგვრის ობიექტი

დაბეგვრის ობიექტია ავტოსატრანსპორტო საშუალება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 87-ე თავის (8702-8704 კოდით) მიხედვით.

მუხლი 161

საგადასახადო განაკვეთები

გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახეობებისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით და თითოეულ ცხენის ძალაზე შეადგენს:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობანი	გადასახადის ოდენობა ლარებში
მსუბუქი ავტომობილები	0.25
ავტობუსები (12-მდე ადგილით)	1.0
ავტობუსები (13-30 ადგილით)	1.3
ავტრბუსები (30-ზე მეტი ადგილით)	2.0
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 1 ტონამდე (ჩათვლით)	0.4
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 1-3 ტ (ჩათვლით)	0.6
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 3-10 ტ (ჩათვლით)	1.3
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 10-20 ტონამდე (ჩათვლით)	2.0
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 20-40 ტონამდე (ჩათვლით)	2.6
სატვირთო ავტომობილები 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით	4.0

მუხლი 162

გადასახადის გადახდის წესი

1. გადასახადი ირიცხება სახელმწიფო საგზაო ფონდში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, ხელმეორე რეგისტრაციის (თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების წინა მესაკუთრეს მოცემული წლის გადასახადი არა აქვს გადახდილი) ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს.

2. რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია ან ტექნიკური დათვალიერება არ უნდა განხორციელდეს გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე.

3. გადასახადს კრეფს საგზაო დარგის მართვის ორგანოს მიერ შექმნილი სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

მუხლი 163

საგადასახადო შეღავათები

გადასახადისაგან თავისუფლდება:
ა. ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც არ არი ექსპლუატაციაში და მოცემულ წელს არ ექვემდებარებიან ტექნიკურ დათვალიერებას;
ბ. ხელით სამართავი ავტომობილები და მოტოეტლები (თითო მესაკუთრე – არა უმეტეს თითო ავტომობილისა ან მოტოეტლისა);
გ. მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლ მოქმედებათა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედება შედეგად დაინვალიდებულ და მათთან გათანაბრებული პირთა საკუთრება არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები (თითო კაცზე არაუმეტ თითო ერთეულისა).

კარი VIII

გადასახადი ქონების გადაცემისათვის

თავი 26

გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის

მუხლი 164

გადასახადის გადამხდელები

უძრავი ქონების გადაცემისას გადასახადის გადამხდელია უძრა ქონების მიმღები.

მუხლი 165

დაბეგვრის ობიექტი

1. დაბეგვრის ობიექტი არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდებ საქართველოში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემ დამადასტურებელი დოკუმენტის ან ასეთი ქონების იჯარით გადაცემ აქტის გაფორმება, კერძოდ:
ა. აქტი;
ბ. იჯარის ხელშეკრულება;
გ. მოიჯარისათვის ნივთის ფლობის უფლების გადაცემის დამადასტურებე დოკუმენტი.

2. დაბეგვრის ობიექტად არ ითვლება იპოთეკა ან სხვა დოკუმენ რომელიც წარმოშობს ვალდებულებას უძრავი ქონების მიმართ შეთანხმებას ამ ვალდებულების უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 166

საგადასახადო შეღავათები

დაბეგვრისაგან თავისუფლდება უძრავი ქონების:
ა. იჯარის ხელშეკრულება 3 წელზე ნაკლები ვადით;
ბ. გადაცემა მეუღლისათვის, მშობლისათვის ან შვილისათვის;
გ. გადაცემა განქორწინების საფუძველზე;
დ. უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფოსათვის, საბიუჯეტ საქველმოქმედო ან რელიგიური ორგანიზაციისათვის;
ე. გადაცემა რეორგანიზაციის შემთხვევაში.

მუხლი 167

დასაბეგრი თანხის განსაზღვრა

1. დასაბეგრ თანხად ითვლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაცემულ საკომპენსაციო თანხა (მაგრამ არანაკლებ საბაზრო ფასისა), მიღებულ დავალიანების ჩათვლით.

2. იჯარის შემთხვევაში დასაბეგრი თანხა გამოიანგარიშება იჯარ შესახებ ხელშეკრულების თანახმად გადასახდელი თანხის დისკონტირებ გზით.

მუხლი 168

გადასახადის განაკვეთი

გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი თანხის 2 პროცენტ ოდენობით.

მუხლი 169

გადასახადის გადახდის წესი

1. გადასახადი გადახდას ექვემდებარება წერილობითი დოკუმენტ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციამდე. მარეგისტრირებელი ორგან წერილობით დოკუმენტს რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ გადასახად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

2. თუ წერილობითი დოკუმენტი რეგისტრაციაში არ ტარდება, მაშ გადასახადის ამოღება ხდება საგადასახადო ორგანოს მიერ ქონებ გადაცემის მომენტში, რის შესახებაც გადასახადის გადამხდელი საგადასახად ორგანოში წარადგენს დეკლარაციას.

თავი 27

გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის

მუხლი 170

გადასახადის გადამხდელი

1. გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელმაც ფიზიკური პირისაგ მემკვიდრეობით ან ჩუქებით საკუთრებაში მიიღო ნებისმიერი ქონება.

2. ამ თავის მიზნებისათვის ქონების გადამცემი ფიზიკური პირი იწოდ გადამცემ პირად.

3. ამ კარის მიზნებისათვის, თუ ფიზიკური პირი იყენებს იურიდიულ პირის ქონებას უსასყიდლოდ გადაცემისათვის, ოპერაცია ფიზიკური პირ მიერ პირდაპირ განხორციელებულად ითვლება.

მუხლი 171

დაბეგვრის ობიექტი

დასაბეგრ ობიექტად ითვლება გადამცემი პირისაგან მემკვიდრეობ (კანონით ან ანდერძით) ან ჩუქებით მიღებული ქონება, თუ:
ა. ფიზიკური პირი, რომელიც იღებს ქონებას, რეზიდენტია ქონების მიღებ მომენტში, ან წარმოადგენს არარეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელ წილის 50 პროცენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის არარეზიდენტ
ბ. გადამცემი პირი არის რეზიდენტი ჩუქების ან გარდაცვალების მომენტ
გ. ქონება უძრავია და მისი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

მუხლი 172

საგადასახადო შეღავათები

1. გადასახადისაგან თავისუფლდება:
ა. ჩუქებით ან გარდაცვლილი პირისაგან ქონების მემკვიდრეობით მიღებ პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეების მიერ;
ბ. 50000 ლარის ღირებულების ქონება მემკვიდრეობით მიღებისას;
გ. 1000 ლარის ღირებულების ქონება ჩუქებისას.

2. გადასახადის გადახდისაგან ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტ გათვალისწინებული განთავისუფლება ერთი და იმავე გადამცემი პირი მიერ ერთი და იმავე მიმღები პირისათვის კალენდარული წლის განმავლობ დაიშვება მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 173

საგადასახადო ბაზის განსაზღვრა

საგადასახადო ბაზად ითვლება ქონების საშუალო საბაზრო ფასი მის მიღების მომენტში შემდეგი გამოქვითვებით:
ა. მემკვიდრეობის მიღებისას – მემკვიდრეობის ადმინისტრირების ხარჯ და გარდაცვლილის ვალები;
ბ. მიმღები პირის მიერ ანაზღაურებული კომპენსაციის თანხა თავ თავზე აღებული ვალების ჩათვლით.

მუხლი 174

გადასახადის განაკვეთი

გადასახადის განაკვეთი შეადგენს 30 პროცენტს იმ პირებისათვ რომლებიც არ არიან პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეები.

მუხლი 175

გადასახადის გადახდის წესი

1. გადასახადის გადამხდელი გადასახადს იხდის დამოუკიდებლ საგადასახადო ორგანოს მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე.

2. გადასახადის გადამხდელი ქონების მემკვიდრეობით მიღებ გადასახადს იხდის მემკვიდრეობის უფლების შესახებ დამადასტურებე დოკუმენტების გაცემის დღიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, ხოლო ჩუქ ქონების მიღებისას – ჩუქების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებ არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 ნაწი დადგენილ ვადებში საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარა

მუხლი 176

წინა გადაცემისათვის გადახდილი გადასახადის ჩათვლა

თუ ქონების გადაცემა იბეგრება, ხოლო მიმღები პირი გარდაიცვალა ქონ მიღებიდან ორი წლის განმავლობაში, ქონების პირველი გადაცემისას გადახდ

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ადასახადი ჩაითვლება მიმღები პირის გარდაცვალების გამო წარმომობილ ადასახადის თანხაში; თუ მიმღები პირი გარდაიცვალა ქონების მიღებიდან წლის განმავლობაში, მაშინ ჩაითვლება უკვე გადახდილი გადასახადის 80 როცენტი; თუ მიმღები პირი გარდაიცვალა 4 წლის განმავლობაში, – 60 როცენტისა, ხოლო, თუ 5 წლის განმავლობაში, – 40 პროცენტისა.

მუხლი 177

უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის ჩათვლა

უცხო ქვეყანაში არსებული ნაჩუქარი ან მემკვიდრეობით დატოვებული ონების გადასახადის გადახდევინებისას ჩათვლა ხდება იმ ქვეყანაში ადახდილ თანხასთან მიმართებით. ჩაითვლება თანხა, რომელიც გადახდილ ქნა მემკვიდრეობით ან ჩუქებით დატოვებულ აქტივებზე დარიცხული ადასახადით.

თავი 28
გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემისათვის

მუხლი 178

გადასახადის გადამხდელი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემისათვის გადასახადის ადამხდელია ქონების მიმღები.

მუხლი 179

დაბეგვრის ობიექტი

დაბეგვრის ობიექტია ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც ანსაზღვრულია საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სასაქონლო ომენკლატურის 8702-8704 კოდით (შემდგომში – ავტომობილი) და ომელზედაც საკუთრება რეგისტრირებული ან გადარეგისტრირებულია აქართველოში.

მუხლი 180

საგადასახადო შეღავათები

დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ა. ავტომობილის რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია აქართველოში მისი შემომტანის მიერ, თუ დღგ გადახდილ იქნა იმპორტის როს;

ბ. ავტომობილის რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია მყიდველის იერ, თუ გამყიდველმა დღგ გადაიხადა ავტომობილის მყიდველისათვის იწოდებისას;

გ. ავტომობილის მეუღლისათვის, მშობლისათვის ან შვილისათვის ადაცემა;

დ. ავტომობილის გადაცემა განქორწინების საფუძველზე;

ე. ავტომობილის უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფოსათვის, საბიუჯეტო, ქველმოქმედო ან რელიგიური ორგანიზაციისათვის;

ვ. ავტომობილის გადაცემა რეორგანიზაციის შემთხვევაში.

მუხლი 181

დასაბეგრი თანხის განსაზღვრა

დასაბეგრ თანხად ითვლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაცემული პენსაციო თანხა, მიღებული დავალიანების ჩათვლით, მაგრამ რანაკლებ საბაზრო ფასისა.

მუხლი 182

გადასახადის განაკვეთი

გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი თანხის 2 პროცენტის დენობით.

მუხლი 183

გადასახადის გადახდის წესი

გადასახადი ექვემდებარება გადახდას მარეგისტრირებელ ორგანოში ტომობილზე საკუთრების რეგისტრაციამდე ან ხელახალ რეგისტრაციამდე. არეგისტრირებელი ორგანო ავტომობილზე საკუთრების რეგისტრაციას ნ ხელახალ რეგისტრაციას ახდენს მხოლოდ გადასახადის გადახდის მდეგ.

კარი IX
სოციალური გადასახადი
თავი 29
სოციალური გადასახადი

მუხლი 184

სოციალური გადასახადი

სოციალური გადასახადი წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფისა ა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდების ფორმირებისათვის უცილებელ შენატანს, რომელსაც გადასახადის გადამხდელები ამ კარში ადგენილი განაკვეთების შესაბამისად იხდიან შრომის ანაზღაურებისა ა მასთან გათანაბრებულ გაცემულობათა თანხებზე.

მუხლი 185

გადასახადის გადამხდელები

სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

ა. დამქირავებელი მეწარმე ფიზიკური პირები და იურიდიული პირები, ომლებიც შრომას უნაზღაურებენ საქართველოში დაქირავებულ ფიზიკურ ირებს;

ბ. ფიზიკური პირები – მეწარმეები და იურიდიული პირები, რომლებიც კონომიკური საქმიანობის განხორციელებისას შრომას უნაზღაურებენ მ ფიზიკურ პირებს, რომლებიც მათ საქართველოში უწევენ მომსახურებას ელშეკრულების საფუძველზე ან მის გარეშე;

გ. ფიზიკური პირები, რომლებიც ანაზღაურებას იღებენ ამ მუხლის „ა“ „ბ“ პუნქტების მიხედვით;

დ. ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოში ეწევიან სამეწარმეო აქმიანობას.

მუხლი 186

დაბეგვრის ობიექტი

1. ამ კოდექსის 185-ე მუხლის „ა“ პუნქტში დასახელებული გადასახადის ადამხდელებისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ხელფასი, რომელიც ანისაზღვრება ამ კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით. ამ კოდექსის 185-ე ხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტი ანისაზღვრება იმავე წესით, რაც დაქირავებით მომუშავე ფიზიკური რებისათვის. ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ გამოიყენება აგრეთვე სოციალური დასახადის გამოანგარიშებისას.
2. ამ კოდექსის 185-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ მთხვევებში დაბეგვრის ობიექტი იგივეა, რაც ამ მუხლის პირველი წილით გათვალისწინებული ხელფასები ან სხვა ანაზღაურებისათვის.
3. ამ კოდექსის 185-ე მუხლის „დ“ პუნქტში დასახელებული დამხდელებისათვის დაბეგვრის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობით ღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება საშემოსავლო დასახადის შესახებ ამ კოდექსით გათვალისწინებულ დებულებათა საბამისად.

მუხლი 187

საგადასახადო შეღავათები

დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ა. სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელის აღსრულების წესებულებებში მოთავსებულ პირთათვის გადახდილი თანხები;

ბ. შრომისუუნარიანობის დროებით დაკარგვის შემთხვევაში სახელმწიფო ციალური დაზღვევის ფონდიდან მიღებული ანაზღაურება;

გ. გრანტით მიღებული სახსრებიდან ორგანიზაციების მიერ გაცემული აზღაურება;

დ. დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებში დაქირავებით ომუშავე იმ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ არიან საქართველოს ქალაქენი;

ე. საქართველოს იმ არარეზიდენტი პირის მიერ დაქირავებით მუშაობით ღებული შემოსავალი, რომელიც საგადასახადო წლის განმავლობაში ქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება 90-ზე ნაკლები დღის მანძილზე, ეს შემოსავალი გაიცემა საქართველოს არარეზიდენტი სამუშაოს მცემის მიერ ან მისი სახელით, და არა – არარეზიდენტის მუდმივი წესებულების მიერ.

მუხლი 188

გადასახადის განაკვეთები

1. სოციალური გადასახადის განაკვეთებია:

ა. ამ კოდექსის 185-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებით თვალისწინებული ფიზიკური პირებისათვის: სოციალური უზრუნველყოფის რთიან სახელმწიფო ფონდში – დასაბეგრი თანხის 27 პროცენტი, ხოლო ასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში – 1 პროცენტი;

ბ. ამ კოდექსის 185-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური რებისათვის: სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში – დასაბეგრი თანხის 1 პროცენტი.

2. იმ ინვალიდებისა და პენსიონერებისთვის გადახდილი ანაზღაურება, რომლებიც მუშაობენ ინვალიდთა ორგანიზაციებში ან მათ საწარმოებში, სადაც 70 პროცენტზე მეტი ინვალიდი და პენსიონერია დასაქმებული, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი მცირდება 10 პროცენტამდე.

მუხლი 189

გადასახადის განსაზღვრისა და გადახდის წესი

1. ამ კოდექსის 185-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადასახადი გადაიხდება დაქირავებულისათვის ხელფასის ან შრომის სხვა ანაზღაურების გაცემისთანავე, ხოლო, თუ ხელფასები გაიცემა ბანკის საშუალებით, დამქირავებელი შრომის ასანაზღაურებლად თანხების მოთხოვნასთან ერთად ბანკში წარადგენს საგადასახადო დავალებას გადასახადის გადარიცხვის თაობაზე. გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავალების წარდგენის გარეშე შრომის ანაზღაურების თანხა არ გაიცემა. გადასახადის გადამხდელი დამქირავებლები საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ ანგარიშგებას საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადგენილი ფორმით.

2. გადასახადი, რომელსაც იხდის დაქირავებული (ხელშეკრულებით მომუშავე), იქვითება დამქირავებლის მიერ ხელფასის გაცემისას. მისი გადახდა ხდება ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი წესის შესაბამისად.

3. ამ კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტში დასახელებული ფიზიკური პირები გადასახადს იხდიან საშემოსავლო გადასახადთან ერთად. ისინი საგადასახადო დეკლარაციას წარადგენენ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციასთან ერთად. ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს დასაბეგრი შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან, ვალდებულია წარადგინოს დეკლარაცია.

კარი X
გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის
თავი 30
ზოგადი დებულებანი

მუხლი 190

გადასახადის შემოღების მიზანი

გადასახადის შემოღების მიზანია:

ა. ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპის დამკვიდრების გზით გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა;

ბ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის ჩარიცხვის გზით ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებისა და დაცვის ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 191

გადასახადის ცნება

გადასახადი არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით (გარდა მიწის რესურსებისა) სარგებლობისათვის დაწესებული პირდაპირი გადასახადი.

თავი 31
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის გადამხდელები და გადასახადით დაბეგვრის ობიექტი

მუხლი 192

გადასახადის გადამხდელები

გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება ლიცენზირებას ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის.

მუხლი 193

გადასახადით დაბეგვრის ობიექტი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) გარემოდან ამოღებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

ა. მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა);

ბ. გარემოდან ამოღებული ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

გ. გარემოდან ამოღებული სოჭის გირჩების მოცულობა (რაოდენობა);

დ. გარემოდან ამოღებული წყლის რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

ე. გარემოდან ამოღებული ცხოველთა სამყაროს რესურსების მოცულობა (რაოდენობა).

თავი 32
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის ოდენობა და გადახდის წესი

მუხლი 194

გადასახადის ოდენობა

1. წიაღით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა:

ა. წიაღით სარგებლობისათვის გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობების მიხედვით ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი	გადასახადის ზღვრული ოდენობის ფარგლები პროცენტებში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ფასის მიმართ
ნავთობი, გაზი	5-10
ნახშირი	2-5
ტორფი და საპროპელები	2-5
შავი ლითონები:	
რკინა	1-3
მანგანუმი	2-7
ფერადი ლითონები (სპილენძი, ტყვია, თუთია, ანთიმონი, კადმიუმი, ალუმინი, სტრონციუმი და სხვა)	3-5
კეთილშობილი ლითონები (ოქრო, პლატინოიდები, ვერცხლი)	4-6
იშვიათი ლითონები, ელემენტები და მიწები	2-5
სამთო-ქიმიური ნედლეული (ანჰიდრიტი, ბარიტი, კალციტი, ბენტონიტური თიხები, დიატომიტი, იოდი, ბრომი და სხვა)	1-5
არამადნეული ნედლეული მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის ჩათვლით (დოლომიტი, ცეცხლგამძლე თიხები, საფლუხე კირქვები, კვარცის ქვიშები საყალიბე და მიწის წარმოებისათვის, მინერალური საღებავები, ტალკი, ცეოლითი, კაოლინი, გრაფიტი, ჰემატიტი, ლითოგრაფიული ქვა და სხვა)	1-8
ძვირფასი ქვები	4-6
სამშენებლო მასალები (საცემენტე ნედლეული, თაბაშირი, გაჯი, პერლიტი, მოსაპირკეთებელი ქვები, ხრეში, ქვიშა, სააგურე თიხები, სახერხი ქვები და სხვა)	2-5
მინერალური წყლები	1-10
ტალახი	5-15
ნახშირორჟანგი - გაზი	2-10
მიწისქვეშა თერმული წყლები	1-15
მიწისქვეშა მტკნარი წყლები	2-8
მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ნარჩენები	0.5-3
სამთამადნო საწარმოთა გამდიდრების კუდები	1-5

ბ. წიაღით სარგებლობის გადასახადის კონკრეტული ოდენობა ამ ნაწილის „ა“ პუნქტში მოყვანილ გადასახადის ზღვრულ ოდენობათა ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის ძირითად სახეობათა მიხედვით, მათი ხარისხისა და გავრცელების პირობების გათვალისწინებით, განისაზღვრება წიაღით სარგებლობის ლიცენზირების საუწყებათშორისო ექსპერტთა საბჭოს მიერ და შეიტანება წიაღით სარგებლობის ლიცენზიაში. გადასახადის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება პროცენტებში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ფასის მიმართ (დღგ-ის გარეშე);

გ. სასარგებლო წიაღისეულის ფასის განსაზღვრის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ზეზემდგომი ტყის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა:

ა. ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე გავრცელებული ტყის მერქნიანი სახეობების, კანონმდებლობით დადგენილი სატყეო სანიხრე თანრიგებისა და მერქნული რესურსების სასაქონლო ხარისხის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფები (სახეობათა დასახელების ჩათვლით)	სანიხრე თანრიგი	გადასახადის ოდენობა ერთი მკვრივი კუბური მეტრისათვის პროცენტებში საბაზრო ფასის მიმართ			
		სამასალე მერქანი უქერქოდ (დიამეტრი წვრილ თავში)			საშეშე მერქანი ქერქით
		მსხვილი 25 სმ და მეტი	საშუალო 13-24 სმ	წვრილი 4-12 სმ	
1	2	3	4	5	6
I ჯგუფი უთხოვარი, ბზა, ლვია, ძელქვა, კაკალი	1	34	30	26	10
	2	30	26	22	8
	3	26	22	18	8
	4	22	18	14	6
	5	18	14	12	4
II ჯგუფი მუხა, წაბლი, იფანი, თელა, ნეკერჩხალი	1	30	26	21	8
	2	26	21	18	6
	3	21	18	16	5
	4	18	16	14	4
	5	16	14	13	3
III ჯგუფი წიფელი,რცხილა, ჯაგრცხილა, აკაკი, ჭადარი, უხრავი	1	20	16	12	4
	2	16	12	10	3
	3	12	10	8	3
	4	10	8	6	2
	5	8	6	4	2
IV ჯგუფი ფიჭვი, ნაძვი,სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	1	13	10	8	2
	2	10	8	6	2
	3	8	6	5	2
	4	6	5	3	1
	5	5	3	2	1
V ჯგუფი სხვა ტყის მერქნული სახეობები	1	10	7	6	3
	2	7	6	5	2
	3	6	5	4	2
	4	5	4	3	2
	5	4	3	3	1

ბ. საბაზრო ფასი, ტყის მერქნული სახეობების თითოეული ჯგუფისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით.

გ. საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი სახეობებით სარგებლობის გადასახადი გადაიხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში: პათოლოგიური დაავადებების შედეგად გამხმარი, ღიდთოელიანობისა და ქარისაგან მოთხრილი ხეების რეალიზაციისა და მაგისტრალური გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, მილსადენების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისას ჩატარებული ჭრების დროს. ასევე, ამ სახეობებით სარგებლობის გადასახადი გამოიყენება უკანონო ჭრების შედეგად მიყენებული ზარალის დაანგარიშებისათვის.

3. სოჭის გირჩების რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა:

ა. საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე სოჭის გირჩების რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება 10 პროცენტით სოჭის გირჩის საბაზრო ფასის მიმართ;

ბ. სოჭის გირჩების რესურსების საბაზრო ფასი განისაზღვრება ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით.

4. წყლის რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა:

ა. წყლის რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა განსხვავებულია წყლის ობიექტების ჯგუფების მიხედვით ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

წყლის ობიექტთა ჯგუფები (წყლის ობიექტთა სახეობების დასახელების ჩათვლით)	გადასახადის ოდენობა ერთ კუბურ მეტრზე პროცენტებში საბაზრო ფასის მიმართ
I ჯგუფი (მტკვარი შენაკადებით, მათთან დაკავშირებული ტბები და სხვა ზედაპირული წყალსატევები)	10
II ჯგუფი (შავი ზღვის წყალი)	5
III ჯგუფი (დანარჩენი ზედაპირული წყლის ობიექტები)	3

ბ. თბოენერგეტიკისა და სარწყავი სისტემის საწარმოებისათვის გადასახადის ოდენობა შეადგენს ძირითადი ოდენობის ერთ პროცენტს, ხოლო ჰიდროენერგეტიკის საწარმოებისათვის – ძირითადი ოდენობის 0,1 პროცენტს;

გ. საბაზრო ფასი, წყლის ობიექტთა თითოეული ჯგუფისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით.

5. ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა:

ა. ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის გადასახადი განისაზღვრება ცხოველთა სამყაროს ობიექტების საქართველოში გავრცელებულ სახეობათა მიხედვით ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ცხოველთა სამყაროს ობიექტთა ჯგუფები (ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების დასახელებათა ჩათვლით)	გადასახადის ოდენობა (ძუძუმწოვრებისა და ფრინველებისათვის სახეობის ერთ ერთეულ-ინდივიდზე, თევზებისა და წყლის ცხოველებისათვის ერთ ტონაზე) პროცენტებში რესურსის საბაზრო ფასის მიმართ
1	2
I ჯგუფი (დათვი)	35
II ჯგუფი (გარეული ღორი)	20
III ჯგუფი (შველი, ირემი)	45
IV ჯგუფი (მგელი)	25
V ჯგუფი (ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა, ენოტისებური ძაღლი, ენოტი, გარეული კატა, ნუტრია)	15
VI ჯგუფი (კურდღელი)	10
VII ჯგუფი (ჯიხვი, არჩვი, კავკასიური მურთხი)	55
VIII ჯგუფი (სხვა ძუძუმწოვრები)	5
IX ჯგუფი (ხოხობი)	35
X ჯგუფი (კაკაბი, გარეული ბატი, გარეული იხვი)	25
XI ჯგუფი (ჩიბუხა, დუპელი, ტყის ქათამი, მწყერი, გვრიტი, ქედანი, მელოტა)	20
XII ჯგუფი (სხვა ფრინველები)	10
XIII ჯგუფი (ქაფშია)	2,5
XIV ჯგუფი (ქარსალა, მერლანგი, ხონთქარა, ქაშაყი, პელამისი, სამარიდა, სკუმბრია, სარღანი, ლუფარი, ფარგა, სარდინი, სტავრიდა)	2,0
XV ჯგუფი (კეფალი, წვერა, ციმორი, მურწა, შამაია, ლოქო)	3,0
XVI ჯგუფი (თეთრი ამური, სქელშუბლა, ტობი)	2,2
XVII ჯგუფი (კობრი, ჭერეხი, კაპარჭინა, ნაფოტა, ქარიყლაპია)	1,8
XVIII ჯგუფი (სიგი, პელიადი, ჭაფალა)	1,5
XIX ჯგუფი (კატრანი)	4,0
XX ჯგუფი (მდინარის კალმახი, ტბის კალმახი, ორაგულისებრნი)	3,5
XXI ჯგუფი (ზუთხისებრნი)	5,5
XXII ჯგუფი (რაპანი, მიდია)	2.5
XXIII ჯგუფი (სხვა თევზები და წყლის ცხოველები)	1,0
XXIV ჯგუფი (გადაშენების წინაშე მყოფი სხვა გარეული ცხოველები)	30,0

ბ. საბაზრო ფასი, ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების თითოეული ჯგუფისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით;

გ. საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი სახეობებით სარგებლობის გადასახადი გამოიყენება რესურსის უკანონო მოპოვების შედეგად მიყენებული ზარალის დაანგარიშებისათვის.

მუხლი 195

გადასახადის გადახდის წესი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი გადაიხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის რესურსების გადასახადი გადაიხდება შესაბამისი წლის 1 დეკემბრამდე. ამ ვადამდე გადასახადის გადამხდელები თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ გადასახადის გაანგარიშებებს დადგენილი ფორმით.

თავი 33
საგადასახადო შეღავათები და გადასახადისაგან განთავისუფლება

მუხლი 196

საგადასახადო შეღავათები და გადასახადისაგან განთავისუფლება

1. გადასახადებისაგან თავისუფლდება მოპოვებული და ამოღებული ბუნებრივი რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია მოვლის, დაცვისა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების დროს ტყის მერქნული რესურსებისა და სოჭის გირჩების მოპოვებასთან (ბუნებიდან ამოღებასთან). ასევე, მეტროპოლიტენის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემების, ინფრასტრუქტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისას მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა).

2. გადასახადი უმცირდებათ 70 %-ით:

ა. იმ ბუნებათმოსარგებლეებს, რომლებიც ეწევიან ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას;

ბ. აღდგენილი (კვლავწარმოებული) რესურსების მოცულობის (რაოდენობის) ფარგლებში იმ ბუნებათმოსარგებლეებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავწარმოებას.

კარი XI
გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის
თავი 34
გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

მუხლი 197

გადასახადის გადამხდელები

გადასახადის გადამხდელად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოში ეწევიან 'გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონით მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით დადგენილ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიას მიკუთვნებულ სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობას და:

ა. თავისი საქმიანობით დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან აბინძურებენ გარემოს;

ბ. დაბინძურების მოძრავ წყაროებზე ახორციელებენ ბენზინისა და დიზელის საწვავის საცალო რეალიზაციას. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნული ნავთობპროდუქტების საკუთარი მოხმარებისათვის საბითუმო შესყიდვისას გადასახადის გადამხდელია ამ ნავთობპროდუქტების გამსაღებელი.

მუხლი 198

დაბეგვრის ობიექტი

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

1. მავნე ნივთიერებათა მასა დადგენილი ლიმიტის ფარგლებში:

ა. გამოფრქვეული ატმოსფეროში დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან;

ბ. ჩაშვებული წყლის ობიექტებში აღნიშნული წყაროებიდან (მათ შორის კომუნალური საკანალიზაციო და სანიაღვრე კოლექტორებიდან).

2. დაბინძურების მოძრავი წყაროების მიერ საცალოდ რეალიზებული ბენზინისა და დიზელის საწვავის მოცულობა.

მუხლი 199

ლიმიტის განსაზღვრა

მავნე ნივთიერებათა გარემოში გამოფრქვევის (წყალში ჩაშვების) ლიმიტად ითვლება ყოველ კალენდარულ კვარტალზე გადასახადის გადამხდელთათვის დადგენილი გაფრქვეულ (ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებათა მასა. ლიმიტების პროექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამუშავებენ გადამხდელები და დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალურ ორგანოებს. დაბინძურების მსხვილი სტაციონარული ობიექტებისათვის ლიმიტებს ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები. დაბინძურების მსხვილი სტაციონარული ობიექტების ჩამონათვალს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. საანგარიშო პერიოდისათვის დამტკიცებული ლიმიტები შეცვლას არ ექვემდებარება. გარემოს დაცვის რეგიონალურ ორგანოებთან შეთანხმებით, გადამხდელები ახორციელებენ გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებებზე წლიური ლიმიტის გაყოფას კვარტალურ კვოტებად, ოთხ თანაბარ ნაწილად ან თავიანთი საწარმოო გეგმების შესაბამისად. გადამხდელები ვალდებულნი არიან საანგარიშო წლის დაწყებამდე საგადასახადო ორგანოებს წარუდგინონ კვარტალების მიხედვით დამტკიცებული წლიური ლიმიტი.

მუხლი 200

გადასახადის განაკვეთები

1. გადასახადი გადაიხდება ატმოსფეროში გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) ყოველ ტონა ძირითად მავნე ნივთიერებაზე შემდეგი ოდენობით:

ა. სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევისათვის (ლიმიტის ფარგლებში) დადგენილია გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

მავნე ნივთიერებათა დასახელება	გადასახადის ნორმატივი 1 ტონა მავნე ნივთიერების ატმოსფეროში გამოფრქვევისათვის (ლარებში)
1	2
აზოტის ორჟანგი, ამიაკი	112.50
აკროლეინი, ოზონი, ქლორი	150.00
გოგირდის დიოქსიდი, მანგანუმის ჟანგი კალას ჟანგი, მტვერი, ჭვარტლი, თუთიის ჟანგი	90.00
აცეტალდეჰიდი, ციანწყალბადმჟავა	450.00
აცეტონი	13.00
ბენზ(ა)პირენი	4500000.00
ნახშირწყალბადები (ჯამურად)	3.00
ბენზოლი, ბუთილაცეტატი, გოგირდმჟავა, ბუთილის სპირტი, ეთილაცეტატი	45.00
ნახშირორჟანგი	0.01

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

1	2
ვანადიუმის ხუთჟანგი, სპილენძის ჟანგი, სტიროლი	2250.00
ქლორწყალბადი (მარილმჟავა), ქსილოლი	22.50
აზოტმჟავა	30.00
ძმარმჟავა, პერქლორეთილენი, ციკლოჰექსანოლი	75.00
მანგანუმის ორჟანგი	4500.00
დარიშხანი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი	1500.00
ნიკელის ხსნადი მარილები	22500.00
ვერცხლისწყალი, ტყვია	15000.00
გოგირდწყალბადი	563.00
სკიპიდარი	4.50
მეთილის სპირტი	9.00
ეთილის სპირტი	0.90
ტოლუოლი	7.50
ნახშირჟანგი	1.50
ფტორწყალბადი	900.00
ქრომის ჟანგეულები	3000.00
ციკლოჰექსანონი	112.50

ბ. გადასახადის განაკვეთები წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ჩაშვებისათვის (ლიმიტის ფარგლებში):

მავნე ნივთიერებათა დასახელება	გადასახადის ნორმატივი 1 ტონა მავნე ნივთიერების ჩაშვებისათვის (ლარებში)
ა. არაორგანული ნივთიერებანი:	
შეწონილი ნივთიერებანი	7.80
სულფატები	0.50
ქლორიდები	0.20
ფოსფატები	156.00
ბორი, ტიტანი	390.00
ციანიდები, ფოსფორი	39000.00
ფტორიდები	790.00
ლითონის იონები:	
ვოლფრამი, სპილენძი, ქრომი, ტყვია, კადმიუმი, ვანადიუმი, სელენი	39000.00
ნიკელი, მანგანუმი, კობალტი, ცინკი, ტელური	3900.00
დარიშხანი, სტიბიუმი	790.00
რკინა, ალუმინი	78.00
ვერცხლისწყალი, ბერილიუმი, ტალიუმი, მოლიბდენი	390000.00
ბარიუმი	19.50
ბ. ორგანული ნივთიერებანი:	
ბიოქიმიური მოთხოვნილება ჟანგბადზე	13.00
ეთილენი	100.00
საერთო აზოტი, ამონიუმის აზოტი, სინთეზური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, მეთანოლი	390.00
ნავთობპროდუქტები, ფორმალდეჰიდი, აცეტონი, კეტონები, ბუთილის სპირტი	780.00
ფენოლები, მაღალტოქსიკური ლითონორგანიკა	39000.00

2. გარემოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გამოფრქვეულ წყალში ჩაშვებულ) დანარჩენ ნივთიერებებზე დადგენილია გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

ა. ატმოსფეროში გაფრქვეულ ნივთიერებებზე: 4,50 ლარი გამრავლებული ნივთიერების ფარდობითი საშიშროების კოეფიციენტზე;

ბ. წყლის ობიექტებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებებზე: 39 ლარი გამრავლებული ნივთიერების ფარდობითი საშიშროების კოეფიციენტზე.

3. ფარდობითი საშიშროების კოეფიციენტი არის საშუალო ზღვრული დასაშვები დღიური კონცენტრაციის უკუპროპორციული სიდიდე (ერთთან შეფარდებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია). დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში გამოფრქვეულ და წყლის ობიექტებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ფარდობითი საშიშროების კოეფიციენტებს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

4. გადასახადის განაკვეთები დაბინძურების მოძრავ წყაროებზე საცალოდ რეალიზებული ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

საწვავის დასახელება	გადასახადის განაკვეთი ლარებში 1 ლიტრ რეალიზებულ საწვავზე
ბენზინი	0.02
დიზელის საწვავი	0.01

მუხლი 201

გადასახადის გადაყვანის კოეფიციენტები

გადასახადის ოდენობა გამოიანგარიშება კონკრეტულ რეგიონში (წყლის ობიექტებში) არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით. გადასახადის განაკვეთი მრავლდება ეკოლოგიური მდგომარეობის მახასიათებელ შესაბამის კოეფიციენტებზე:

ა. ატმოსფეროში სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევისას დადგენილია გადასახადების გადაყვანის შემდეგი კოეფიციენტები:

რეგიონების დასახელება	გადაყვანის კოეფიციენტი
ა) განსაკუთრებით დაბინძურებული ან საკურორტო მნიშვნელობისა: ზესტაფონი, ბორჯომი, გაგრა, ქობულეთი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, ჯავა, აბასთუმანი	1.5
ბ) მაღალი დაბინძურებისა: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი, კასპი, ტყვარჩელი, მარნეული, გარდაბანი	1.3
გ) დაბინძურებული: ზუგდიდი, სამტრედია, სენაკი, ფოთი, ტყიბული, ახალციხე, გორი, ხაშური, ცხინვალი, ჭიათურა, ბოლნისი, თელავი	1.2
დ) სხვა დანარჩენი რეგიონები, ქალაქები და რაიონები	1.0

ბ. გადასახადების გადაყვანის კოეფიციენტები წყლის ობიექტებში სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა ჩაშვებისას:

წყლის ობიექტების დასახელება	გადაყვანის კოეფიციენტი
ა) განსაკუთრებით დაბინძურებული: შავი ზღვის სანაპირო ზოლი, მდინარე რიონის აუზი, მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები ქალაქ გორიდან ქვეყნის საზღვრამდე, მდინარეები: ყვირილა, ბესლეთი, გუბისწყალი, ბარცხანა, ყოროლისწყალი	1.5
ბ) მაღალი დაბინძურებისა: მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები თურქეთის საზღვრიდან ქალაქ გორამდე, მდინარეები: ენგური, ღალიძგა	1.3
გ) დაბინძურებული: მდინარე სუფსის აუზი, მდინარეები: მაჭწყალა, მოქვი, ხობი, ნატანები, კინტრიში, ალაზანი, თერგი	1.2
დ) წყლის სხვა ობიექტები	1.0

მუხლი 202

საგადასახადო დეკლარაციის შევსება და გადასახადის გადახდა

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორგანოების მიერ დამოწმებული საგადასახადო დეკლარაცია წარადგინოს საგადასახადო ორგანოში და გადაიხადოს გადასახადი საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის.

კარი XII

გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის

თავი 35

გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის

მუხლი 203

გადასახადის გადამხდელები

საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლის გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული (ტრანზიტული მოძრაობის ჩათვლით) ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლია.

მუხლი 204

დაბეგვრის ობიექტი

1. გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება;

ბ. საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სატრანზიტო ტვირთზიდვას.

2. ამ კარის მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში იგულისხმება ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც მითითებულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 87-ე თავში (8702-8704 კოდით).

მუხლი 205

გადასახადის განაკვეთები

1. გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობათა და ტვირთამწეობის მიხედვით და შეადგენს:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობანი	გადასახადის ოდენობა ლარებში
მსუბუქი ავტომობილები	26
ავტობუსები (12-მდე ადგილით)	50
ავტობუსები (13-30-ადგილით)	100
ავტობუსები (30-ზე მეტი ადგილით)	170
სატვირთო ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები – ტვირთამწეობით 3ტ-მდე (ჩათვლით)	100
სატვირთო ავტომობილები — ტვირთამწეობით 3–10 ტ (ჩათვლით)	170
სატვირთო ავტომობილები – ტვირთამწეობით 10–20 ტ (ჩათვლით)	210
სატვირთო ავტომობილები – ტვირთამწეობით 20–40 ტ (ჩათვლით)	285
სატვირთო ავტომობილები – 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით	390

2. იმ სატვირთო ავტომობილების მფლობელები, რომელთა ტვირთი აღემატება ავტომანქანის ტვირთამწეობას, ზედმეტი წონის ყოველ 1 ტონაზე გადაიხდიან გადასახადს შემდეგი ოდენობით:

ა. სატვირთო ავტომობილები (ტვირთამწეობით 20 ტონამდე ჩათვლით) – ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადასახადის 10 პროცენტის ოდენობით.

ბ. სატვირთო ავტომობილები (20 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით) – ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადასახადის 5 პროცენტის ოდენობით.

3. ამ კოდექსის 204-ე მუხლში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები საქართველოში შემოსვლისას დამატებით გადაიხდიან გადასახადს თითოეულ ღერძზე ზენორმატიული დატვირთვისას: 0.5 ტონამდე (ჩათვლით) – 25 ლარს, 0.5-იდან 1.0 ტონამდე (ჩათვლით)—40 ლარს, 1.0-იდან 1.5 ტონამდე (ჩათვლით) – 50 ლარს, 1.5-დან 2.0 ტონამდე (ჩათვლით) – 65 ლარს, 2.0-იდან 2.5 ტონამდე (ჩათვლით) – 90 ლარს, 2.5-იდან 3 ტონამდე (ჩათვლით) - 130 ლარს.

4. ის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ფაქტობრივი ღერძული დატვირთვა ერთ რომელიმე ღერძზე აღემატება 13 ტონას, ხოლო გაბარიტული პარამეტრები აღემატება საქართველოს საავტომობილო გზებზე მაქსიმალურად დასაშვებ მაჩვენებლებს, გატარებული იქნებიან მხოლოდ ამ პარამეტრების სათანადო კორექტირების შემთხვევაში.

მუხლი 206

გადასახადის გადახდის წესი

1. გადასახადი გადაიხდება სახელმწიფო საგზაო ფონდში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას ან საბაჟო ტერიტორიის დატოვებისას.

2. გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა არ დაიშვება.

3. გადასახადის აკრეფას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების წონითი და გაბარიტული პარამეტრების შემოწმებას, მძიმეწონიანი და მსხვილგაბარიტიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საავტომობილო გზებზე გატარების მარშრუტებს ადგენს საგზაო დარგის მართვის ორგანოს მიერ შექმნილი სამსახური საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილებში.

მუხლი 207

საგადასახადო შეღავათები

1. საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყაზახის, ტაუზის, განჯის და სომხეთის რესპუბლიკის ამასიის, აშოცკის, ტაშირის, ალავერდის, ნოემბერიანის თემებში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილებისა და სამგზავრო-სარეისო ავტობუსების შემოსვლისათვის ნინოწმინდის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონების ტერიტორიაზე გადასახადის განაკვეთები შეადგენს:

მსუბუქი ავტომობილებისათვის – 10 ლარს, 12 ადგილამდე (ჩათვლით) ტევადობის სამგზავრო-სარეისო ავტობუსებისათვის – 12 ლარს, 13-იდან 30 ადგილამდე (ჩათვლით) ტევადობის ავტობუსებისათვის – 20 ლარს, 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებისათვის – 32 ლარს.

2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ზაქათალის, კახისა და ბელაქნის რაიონებში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილებისა და სამგზავრო-სარეისო ავტობუსების მფლობელები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გადასახადს არ გადაიხდიან.

კარი XIII

ადგილობრივი გადასახადები

მუხლი 208

ზოგადი დებულებანი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან შესაბამის ტერიტორიაზე შემოიღონ ამ კოდექსის მე-6 მუხლით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები ამ კოდექსით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

2. ადგილობრივი გადასახადების გადახდა ხდება ეროვნული ვალუტით როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით.

3. ადგილობრივი გადასახადების შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში გადახდის ვადებს განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

4. ადგილობრივი გადასახადების გადახდაზე კონტროლს აწესებენ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები.

მუხლი 209

გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის

1. სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შესაბამისი ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

2. სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დღგ-ის გარეშე პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებით მიღებული შემოსავლების არა უმეტეს 1,0 პროცენტით, მათ შორის საქართველოს ნავსადგურებსა და მათთან გათანაბრებულ ნავმისადგომებზე გემებში ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლების არა უმეტეს 5 პროცენტით დღგ-ის გარეშე.

მუხლი 210

სათამაშო ბიზნესის გადასახადი

სათამაშო ბიზნესის გადასახადს იხდიან ის პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიებით, კაზინოებით და სხვა სათამაშო ბიზნესით. გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სათამაშო ბიზნესით მიღებული შემოსავლების არა უმეტეს 15 პროცენტით.

მუხლი 211

საკურორტო გადასახადი

საკურორტო გადასახადს ფიზიკური პირები იხდიან საკურორტო ადგილებში დასვენებისა (მკურნალობისა) და საკურორტო მომსახურების მიღებისათვის. გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება ერთ კაცზე თვეში 10 ლარით.

მუხლი 212

სასტუმროს გადასახადი

1. სასტუმროს გადასახადს იხდიან ის იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც შესაბამისი ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ფიზიკურ პირებს სათანადო ანაზღაურების ფასად გადასცემენ დროებით საცხოვრებელ ფართს სასტუმროებში, პანსიონატებში, მოტელებში, კემპინგებსა და სხვა ანალოგიურ ობიექტებში.

2. სასტუმროს გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ფასის არა უმეტეს 2 პროცენტით.

მუხლი 213

რეკლამის გადასახადი

1. რეკლამის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის მიზნით შეიძენენ სარეკლამო მომსახურებას. სამეწარმეო მიზნით გაწეულ სარეკლამო მომსახურებაში იგულისხმება რეკლამის გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კატალოგებით, პრეისკურანტებით, ცნობარებით, აფიშებით, პლაკატებით, სარეკლამო ფარებითა და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით.

2. სამეწარმეო მიზნით გაწეულ სარეკლამო მომსახურებად არ ითვლება სოციალური რეკლამისა და საქველმოქმედო ღონისძიებათა რეკლამის გავრცელება.

3. რეკლამის გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება რეკლამის დამზადებასა და გავრცელებაზე გაწეული საქმიანობისა და მომსახურების ღირებულების არა უმეტეს 10%-ის ოდენობით დღგ-ის გარეშე.

მუხლი 214

გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს განათავსებენ შესაბამისი ქალაქის (სხვა დასახლებული პუნქტების) ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, ან რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას პარკირებისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილების ფუნქციონირების გზით.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 30 თეთრით, ხოლო იმ საწარმოებისათვის, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მომსახურება, გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დღგ-ის გარეშე მომსახურების ღირებულების არა უმეტეს 20 პროცენტით.

მუხლი 215

გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის

1. ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის გადასახადს იხდიან იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებულ სიმბოლიკას – გერბს, ისტორიული ან არქიტექტურის ძეგლების გამოსახულებებს, ქალაქის ან მისი ცალკეული ადგილების ხედებსა და სხვა ანალოგიურ სიმბოლოებს.

2. არ შეიძლება ადგილობრივ სიმბოლოდ ქალაქის (რაიონის) ან სხვა დასახლებული პუნქტის სახელის გამოყენება.

3. ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებით საქონლის მიწოდებიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 2 პროცენტით.

კარი XIV

გადასახადების ადმინისტრირების წესები

თავი 36

ზოგადი დებულებანი

მუხლი 216

ადმინისტრირების დებულებათა გამოყენების წესი

ამ კარში გათვალისწინებული ადმინისტრირების დებულებები გამოიყენება ყველა სახის გადასახადისათვის, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 217

გადასახადების სრულად და დროულად გადახდაზე საგადასახადო კონტროლისა და საგადასახადო შემოწმების განხორციელების ფორმები

1. საგადასახადო კონტროლს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ისევე როგორც გადასახადების ადმინისტრირებისა და მოკრების ყველა ასპექტზე, ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსით ასეთი უფლებამოსილება გადაცემულია სხვა ორგანოებისათვის.

2. საგასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლი ხორციელდება გადასახადის გადამხდელებისა და გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელთა და სხვა პირთა გამოკითხვის, გადასახადით დასაბეგრი და შემოსავლების (მოგების) მისაღებად გამოყენებული ობიექტების დათვალიერება-გამოკვლევითა და სხვა ფორმებით, რომლებიც ამ კოდექსითაა გათვალისწინებული. თუ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადები განისაზღვრება საბაჟო პროცედურების მიხედვით, კონტროლი ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობით საბაჟო ორგანოების მიერ.

3. საგადასახადო შემოწმება, რომელიც ტარდება საგადასახადო ორგანოს მიერ, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ბალანსების, დეკლარაციების, განმარტებების, დასკვნებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების საფუძველზე. გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით გადასახადის გადამხდელისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გზით. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შემოწმების საგანი და საფუძველი, ასევე შემოწმების ჩატარების სავარაუდო დრო. თუ ადგილი აქვს საგადასახადო ვალდებულებათაგან თავის არიდებას, საგადასახადო შემოწმება ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე, საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

4. საგადასახადო შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი (შემმოწმებელი) და გადასახადის გადამხდელი. გადასახადის გადამხდელის მიერ აქტზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 218

ცალკეულ შემთხვევებში დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრის წესი

1. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციას უპირატესად ნაღდი ანგარიშსწორებით ახდენენ, გადასახადის გადახდისას იყენებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ საგადასახადო ბაზის განსაზღვრის და აღრიცხვის გამარტივებულ სისტემას. ეს სისტემა არ გამოიყენება იმ გადასახადის გადამხდელთა მიმართ, რომლებიც, მოგების გადასახადის და საშემოსავლო გადასახადის მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულნი არიან აღრიცხვა აწარმოონ დარიცხვის მეთოდის მიხედვით, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან დღგ-ის გადამხდელებად.

2. თუ საბუღალტრო აღრიცხვის წესების დარღვევის, დოკუმენტების დაკარგვის ან განადგურების, აგრეთვე დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრა შეუძლებელია, საგადასახადო ორგანოები დაბეგვრის ობიექტსა და გადასახადის ოდენობას განსაზღვრავენ პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების საფუძველზე (აქტივები, ბრუნვა, წარმოების დანახარჯები, შედარების მეთოდი და სხვა).

3. თუ ფიზიკური პირის დეკლარაციაში ნაჩვენები შემოსავალი მნიშვნელოვნად ნაკლებია საკუთარ მოხმარებაზე, მათ შორის ქონების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებზე, საგადასახადო ორგანოები შემოსავალს განსაზღვრავენ ამ ფიზიკური პირის მიერ გაწეული დანახარჯის საფუძველზე, წინა პერიოდების შემოსავლების გათვალისწინებით.

4. შემოსავალი იბეგრება გადასახადით იმ შემთხვევაშიც, როდესაც შემოსავლის კანონიერება საეჭვოა.

5. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოსავალი ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას, აღნიშნული შემოსავალი ამოიღება მისთვის გადახდილი გადასახადის თანხის გამოკლებით.

6. ბარტერული ოპერაციები ყველა სახის გადასახადისათვის განიხილება როგორც პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაცია საბაზრო ფასებით, ასეთი ოპერაციების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სავალდებულო გაფორმებით იმავე საფუძველზე, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით რეალიზაციის დროს. ანგარიშ-ფაქტურებში ბარტერული ოპერაციების ღირებულების შემცირებულად ჩვენებისას საგადასახადო ორგანო ახდენს დაბეგვრის ობიექტის კორექტირებას საბაზრო ფასების გათვალისწინებით და გადასახადის ხელახალ გამოანგარიშებას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დადგენილი სანქციების გამოყენებით.

მუხლი 219

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

1. საგადასახადო ორგანო თითოეულ გადასახადის გადამხდელს და საგადასახადო აგენტს ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისა და მათ შორის საბაჟო გადასახადისთვისაც.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან მიუთითონ გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი საგადასახადო დეკლარაციასა და ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტებში.

3. იურიდიული პირები და ამ კოდექსის 26-ე მუხლით განსაზღვრული ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან მიმართონ საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მისაღებად რეგისტრაციიდან ან სამეწარმეო საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 220

ვადების განსაზღვრა

ამ კოდექსით დადგენილი ნებისმიერი ვადის მოქმედება იწყება შესაბამისი ქმედების ფაქტობრივად მოხდენის მომდევნო დღიდან; ამ კოდექსით პერიოდის სახით დადგენილი დრო წყდება ამ პერიოდის ბოლო დღის დამთავრებისას. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის ბოლომდე.

მუხლი 221

გადასახადის გადამხდელის უფლებები

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს:

ა. საგადასახადო ორგანოებს წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საგადასახადო შეღავათების უფლებას;

ბ. გაეცნოს ჩატარებული შემოწმებების აქტებს;

გ. საგადასახადო ორგანოებს წარუდგინოს ახსნა-განმარტებები ჩატარებულ შემოწმებათა აქტების შესახებ, აგრეთვე გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის შესახებ;

დ. კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოთა გადაწყვეტილებები;

ე. საგადასახადო ორგანოების მეშვეობით ან სხვა გზით გაეცნოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას.

მუხლი 222

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, გადაიანგარიშება ლარებზე:

ა. ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით, თუ ასეთი არსებობს;

ბ. თუ ოპერაციის დღისათვის ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი არ არსებობს, მაშინ – იმ კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსის მიხედვით, მათ შორის სხვა ქვეყნებში გამოქვეყნებული კურსის მიხედვით იმ ვალუტის მიმართ, რომელზედაც არსებობს ლარის გაცვლის ოფიციალური კურსი.

მუხლი 223

გადასახადისაგან თავის არიდების საწინააღმდეგო ღონისძიებები

1. თუ რაიმე თანხა გამოიყენება კონკრეტული პირის ინტერესებისათვის, ითვლება, რომ ეს თანხა მიცემული აქვს ამ პირს.

2. თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვა-ანგარიშგებას შეგნებულად არასწორად აწარმოებს ან არ აწარმოებს დადგენილი ფორმითა და წესით, მაშინ საგადასახადო ორგანოებს გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით უფლება აქვთ დაარიცხონ მას გადასახადი მოკვლეული მასალების საფუძველზე შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

3. ურთიერთდაკავშირებულ პირებს შორის გარიგებისას საგადასახადო ორგანო შემოსავლებსა და ხარჯებს ისევე ანაწილებს მათ შორის, როგორც დამოუკიდებელ პირებს შორის დადებული გარიგებისას.

თავი 37

გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება

მუხლი 224

ვალდებულებების დამდგენ ურთიერთობათა განხორციელება წერილობითი ფორმით

გადამხდელის მიმართ საგადასახადო ორგანოს განცხადებას არა აქვს სავალდებულო ხასიათი საგადასახადო ორგანოსათვის ან გადამხდელისათვის, თუ იგი წერილობითი ფორმით არ ბარდება გადამხდელს.

მუხლი 225

მიმოწერა გადამხდელებთან

საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელისათვის გასაგზავნი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გვარისა და სახელის მითითებით, დამოწმებული ბეჭდით. გადამხდელს უნდა ჩაბარდეს დოკუმენტის ორიგინალი. დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი გაიგზავნა დაზღვეული ფოსტით მეტყობინებითურთ ან პირადად ჩაბარდა გადამხდელს.

მუხლი 226.

შეტყობინებებისა და სხვა დოკუმენტების სრულფასოვნობა

გადასახადის თანხის არანაირი დარიცხვა ან ის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის შესრულების მიზნით, არ უნდა იქნეს განხილული როგორც იურიდიული ძალის არმქონე ან ნაკლოვანი, თუ:

ა. დოკუმენტი არსითა და შედეგებით შეესაბამება ამ კოდექსს, და

ბ. პირი, რომელსაც ერიცხება გადასახადი ან ეხება ეს დოკუმენტი, მასში მითითებულია ყველასათვის გასაგები სახით.

თავი 38

ინსტრუქციები და მითითებები

მუხლი 227

ინსტრუქციები

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ამ კოდექსის აღსრულების მიზნით გამოსცემს ინსტრუქციებს. ინსტრუქციის არც ერთ დებულებას, რომელიც არ შეესაბამება ამ კოდექსს, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია.

2. ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში ინსტრუქციები უნდა შეუთანხმდეს

საქართველოს რესპუბლიკა
№157. ოთხშაბათი, 9 ივლისი, 1997 წელი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის — აქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;

ბ. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის — საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ამინისტროს;

გ. ავტოსატრანსპორტო სამუალებების მესაკუთრეთა გადასახადი — საგზაო დარგის მართვის ორგანოს;

დ. მიწის გადასახადი — საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო ეპარტამენტს;

ე. სოციალური გადასახადი — საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს;

ვ. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო ამუალებების შემოსვლისათვის — საგზაო დარგის მართვის ორგანოს.

მუხლი 228

მითითებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი გამოსცემს მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობენ ასეთი მითითებებით საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მიერ მათ გაუქმებამდე.

თავი 39

ინფორმაციის წარდგენა და შეკრება

მუხლი 229

დოკუმენტაციის შედგენა

1. პირი ვალდებულია შეადგინოს იმ ოპერაციების დოკუმენტაცია, რომლებიც შეიძლება გახდეს ამ პირის მხრიდან:

ა. საგადასახადო ვალდებულებათა წარმოშობის საფუძველი;

ბ. გადასახადის დაკავების ვალდებულების წარმოშობის საფუძველი;

გ. საინფორმაციო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

2. გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან აწარმოონ ასეთი დოკუმენტაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტების მიხედვით.

3. თუ გადასახადის გადამხდელის ცალკეული დოკუმენტები უცხოურ ენებზეა შედგენილი და მათი შინაარსი საგადასახადო ორგანოსათვის გაუგებარია, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს მათი ქართულ ენაზე თარგმნა.

მუხლი 230

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა

1. გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან ამ კოდექსის დებულებათა მიხედვით საგადასახადო დეკლარაციები წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს იმ ვადებში, რომლებიც ამ კოდექსით არის განსაზღვრული, იმ ფორმითა და იმ ადგილზე, როგორც ეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ არის დადგენილი.

2. საგადასახადო დეკლარაციას ხელს აწერს გადასახადის გადამხდელი ან, მისი არყოფნის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

3. დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელიც გადამხდელს მომსახურებას უწევს საგადასახადო დეკლარაციის შედგენაში, ვალდებულია ხელი მოაწეროს ამ დეკლარაციას, დაუსვას ბეჭედი და მიუთითოს თავისი საიდენტიფიკაციო ნომერი. თუ საგადასახადო დეკლარაციას ადგენს ერთზე მეტი შემდგენელი, მას ხელი უნდა მოაწეროს მხოლოდ მთავარმა შემდგენელმა.

4. დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობა მის მიერ ხელმოწერილ დეკლარაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტისათვის განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 231

გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაციის წარდგენა

პირი, რომელიც ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, ან სხვა სახის გაცემებს, ვალდებულია საგადასახადო ორგანოსა და თანხის მიმღებს წარუდგინოს ინფორმაცია გადახდილი თანხების შესახებ შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად.

მუხლი 232

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება

თუ გადასახადის გადამხდელი დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე მიმართავს საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელების თაობაზე და მიმართვასთან ერთად გადაიხდის იმ დროისათვის მოსალოდნელ გადასახადსაც, დეკლარაციის წარდგენის ვადა ავტომატურად გაგრძელდება სამი თვით. ამ მუხლის მიხედვით დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება არ ცვლის გადასახადის გადახდის დროს.

მუხლი 233

საბანკო ანგარიშები

ბანკები და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან:

ა. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაუხსნან საანგარიშსწორებო ანგარიშები იმ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს საგადასახადო ორგანოების მიერ გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, აცნობონ საგადასახადო ორგანოს გადამხდელისათვის აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ და არ აწარმოონ ოპერაციები ამ ანგარიშის მიხედვით საბანკო დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე;

ბ. პირველ რიგში შეასრულონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალებები და საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება მათი საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშებიდან გადასახადის გადახდის თაობაზე;

გ. ჩარიცხონ (გადარიცხონ ბანკში ან სხვა საფინანსო დაწესებულებაში, რომელიც ბიუჯეტის საკასო შესრულების მომსახურებას ეწევა) გადასახადის თანხები შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშიდან ფულის ჩამოწერის ოპერაციის შესრულებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

მუხლი 234

საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციის წარდგენა

1. საგადასახადო კონტროლის განხორციელებისათვის კანონიერ მიზნებთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს წერილობითი ფორმით შეტყობინების გაგზავნის გზით პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გადასახადის გადამხდელი, მოსთხოვოს წარადგინოს შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია.

2. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს უფლება აქვს:

ა. გადაიღოს ნებისმიერი დოკუმენტის ასლი;

ბ. ამოიღოს დოკუმენტი ან სხვა მასალა, რომელსაც კავშირი აქვს კანონიერ მიზანთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრასთან;

გ. დააყენოს მრიცხველები ან აიღოს მათი მაჩვენებლები;

დ. დალუქოს დოკუმენტები ან სხვა მასალები;

ე. თუ ამ ნაწილის „ა"-„დ" პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი იყენებს სხვა პირის მოწყობილობასა და მასალებს დოკუმენტიდან ამონაწერის ან ასლის მისაღებად, მაშინ საგადასახადო ორგანო მომხმარებელს უხდის ამ მოწყობილობის ან მასალების კომპენსაციას საბაზრო ფასის საფუძველზე. თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი ახდენს დოკუმენტის ან სხვა მასალის ამოღებას ამ პუნქტში გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად, მაშინ საგადასახადო ორგანომ უნდა გადაიღოს ასლი ამ დოკუმენტიდან თუ სხვა მასალიდან და ორიგინალი დაუბრუნოს პირს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. თუ პირი აცხადებს დოკუმენტების ან სხვა დამამტკიცებელი საბუთების ხელშეუხებლობას კანონის შესაბამისად, რომელთა ამოღება ან შესწავლა სურს საგადასახადო ორგანოს ამ მუხლის მიხედვით, მაშინ ხელშეუხებლად გამოცხადებული მასალები თავსდება კონვერტში, ილუქება მათი მფლობელი პირის მიერ და ინახება საგადასახადო ორგანოს მიერ მანამ, სანამ იგი მიმართავდეს სასამართლოს იმის დასადგენად, არის თუ არა ეს მასალა ხელშეუხებელი.

4. ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი კანონიერი მიზანი ნიშნავს ინფორმაციის შეგროვებას:

ა. გადასახადის გადამხდელის ვალდებულების განსაზღვრის მიზნით;

ბ. კონკრეტული პირისათვის გადასახადის გადახდევინების მიზნით.

5. ამ მუხლით ტერმინში უფლებამოსილი თანამდებობის პირი იგულისხმება საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომელსაც ნიშნავს საგადასახადო ორგანოს უფროსი ამ მუხლში მითითებულ უფლებამოსილებათა აღსასრულებლად.

თავი 40

გადასახადის თანხების დარიცხვა

მუხლი 235

გადასახადის თანხების დარიცხვა

1. ამ კოდექსის მიხედვით გადასახადის თანხების დარიცხვა გულისხმობს კონკრეტულ საგადასახადო პერიოდში გადამხდელისაგან კუთვნილი გადასახადის თანხის საგადასახადო ორგანოში აღრიცხვას. დარიცხვა მოიცავს შესწორებით დარიცხვასა და სავარაუდო დარიცხვას.

2. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დაარიცხოს თითოეულ გადამხდელს კუთვნილი გადასახადი ამ კოდექსის მიხედვით, ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის წყაროს საფუძველზე:

ა. ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დეკლარაციები;

ბ. ინფორმაცია გადახდილი თანხების შესახებ, რომლებიც აღწერილია ამ კოდექსის 231-ე მუხლში;

გ. შემოწმების მასალები და სხვა სანდო ინფორმაცია, რომელიც ცნობილია საგადასახადო ორგანოსათვის.

3. თუ გადამხდელი არ წარმოადგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დაარიცხოს მას გადასახადი მის ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე.

4. თუ საგადასახადო კანონმდებლობა არ მოითხოვს გადასახადის გადახდას დეკლარაციის წარდგენასთან ერთად, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო ორგანო დაასკვნის, რომ ადრინდელი დარიცხვა შეცდომითია, საგადასახადო ორგანომ უნდა დაარიცხოს გადასახადი გადამხდელს და გაუგზავნოს მას შეტყობინება დარიცხვის შესახებ ამ კოდექსის 236-ე მუხლის მიხედვით. საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოახდინოს გადასახადის თანხის დარიცხვა ან შეასწოროს გადასახადის ადრე დარიცხული თანხა ამ კოდექსის 237-ე მუხლში მითითებული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

5. თუ გადასახადის გადახდევინება დაკავშირებულია საგადასახადო დეკლარაციების შევსებასთან, გადასახადის გადახდის ვალდებულებათა ამსახველი დეკლარაციის შევსება განიხილება როგორც:

ა. ამ გადასახადის დარიცხვა;

ბ. შეტყობინება ამ გადასახადის გადახდის შესახებ და გადახდის მოთხოვნა დეკლარაციის წარდგენასთან ერთად.

6. დაკავების გზით გადასახადის გადახდევინებისას, თუ გადასახადის გადამხდელმა არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია, ხოლო საგადასახადო ორგანომ არ გაიანგარიშა გადამხდელისაგან კუთვნილი გადასახადის კუთვნილი თანხა სხვა ინფორმაციის საფუძველზე, ითვლება, რომ საგადასახადო ორგანომ საანგარიშო პერიოდში დაარიცხა გადასახადის გადამხდელს სავარაუდო გადასახადის თანხა, რომელიც დაკავებული ჰქონდა გადასახადის გადამხდელს მის მიერ წლის განმავლობაში მიღებული თანხებიდან, და რომ მან გადასახადის გადამხდელს შეატყობინა ამის შესახებ.

მუხლი 236

შეტყობინება გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ

გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ გადამხდელს ეგზავნება შეტყობინება, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა. გადამხდელის გვარი და სახელი (ან დასახელება);

ბ. გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ. შეტყობინების თარიღი;

დ. დაბეგვრის ობიექტი;

ე. დარიცხული გადასახადისა და საჯარიმო სანქციების თანხა;

ვ. გადასახადის გადახდის მოთხოვნა და გადახდის ვადები;

ზ. გადასახადის გადახდის ადგილი და წესი;

თ. დარიცხვის საფუძვლები;

ი. გასაჩივრების წესი.

მუხლი 237

ხანდაზმულობის ვადები

1. საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს და გადასინჯოს გადასახადის დარიცხული თანხის დარიცხვა და გადასინჯვა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში.

2. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო წლის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა.

თავი 41

გადასახადის გადახდა, აკრეფა და დაბრუნება

მუხლი 238

გადასახადის გადახდის ვადა

გადასახადების გადახდა ხდება ამ კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 239

გადასახადის გადახდის ადგილი

გადასახადი ექვემდებარება გადახდას:

ა. შეტყობინებაში მითითებული დარიცხვის ადგილის მიხედვით;

ბ. თუ საჭირო არ არის შეტყობინება დარიცხვის შესახებ, — საგადასახადო კანონმდებლობაში მითითებული ადგილის მიხედვით;

გ. თუ საგადასახადო კანონმდებლობაში ადგილი მითითებული არ არის, — გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის ან გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირის საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

მუხლი 240

გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება

1. თუ გადასახადის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას, საგადასახადო ორგანო:

ა. ზედმეტად გადახდილ თანხას ჩათვლის გადასახადის გადამხდელის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში;

ბ. გადასახადის გადამხდელის თანხმობის შემთხვევაში დარჩენილ ნაწილს ჩათვლის მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში;

გ. უბრუნებს გადასახადის გადამხდელს დარჩენილ თანხას 20-დღიან ვადაში მისი წერილობითი განცხადების მიღების დღიდან, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, ცნობები აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს შეტყობინებაში გადასახადის დარიცხული თანხის შესახებ.

მუხლი 241

გადასახადის გადახდის ვადის გაგრძელება და საურავის დარიცხვა

გადასახადის გადამხდელის დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელს უფლება აქვს გააგრძელოს გადასახადის გადახდის ვადა, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა. გადახდის ვადის გაგრძელება არ ათავისუფლებს გადამხდელს საურავის გადახდისაგან ბიუჯეტში გადასახადის არა-დროულად ჩარიცხვის გამო.

მუხლი 242

გადასახადების მიხედვით დავალიანებათა დაფარვის წესი

სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებათა დაფარვა ხდება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა. გადასახადის თანხა;

ბ. ფინანსური სანქციის სახით დარიცხული ჯარიმის თანხა;

გ. დარიცხული საურავის თანხა.

მუხლი 243

გასაჩივრება ან აპელაცია

1. გადასახადის დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით ზემდგომ საგადასახადო ორგანოში გასაჩივრების ან სასამართლოში აპელაციის შემთხვევაში გადასახადის დარიცხული თანხა ექვემდებარება გადახდას და შეიძლება გადახდევინებულ იქნეს გასაჩივრების ან აპელაციის მიუხედავად ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გათვალისწინებით. ჯარიმებისა და საურავების სადავო თანხები ამოიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ზემდგომი საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს შეაჩეროს დარიცხული გადასახადის გადახდა დავის განხილვის პერიოდში.

3. თუ საჩივარი ან აპელაცია გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყდა, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია დაიბრუნოს:

ა. არასწორად გადახდილი გადასახადის ანაზღაურება;

ბ. ამ თანხაზე დარიცხული პროცენტები სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით.

თავი 42

გადასახადის იძულებითი გადახდევინება

მუხლი 244

ქონების გირავნობის უფლება

1. თუ გადასახადის გადამხდელი არ იხდის გადასახადს დადგენილ ვადაში, დავალიანების თანხა და სანქციები (გადახდევინებისას შესაძლო დანახარჯებთან ერთად) წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფოს სასარგებლოდ გირავნობის უფლების გამოსაყენებლად ამ გადამხდელის მთელი ქონების მიმართ და ეს უფლება პრიორიტეტულია ყველა სხვა უფლებასთან შედარებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გირავნობის უფლება წარმოიშობა გადასახადის გადახდის ვადის დადგომის დღის 24.00 საათზე და გრძელდება მანამ, სანამ გადასახადის გადახდის ვალდებულება არ შესრულდება, ან მისი იძულებითი შესრულება შეუძლებელი არ გახდება ხანდაზმულობის ვადის გამო.

3. ამ მუხლით დადგენილი გირავნობის უფლება არ გამოიყენება გირავნობის უფლების მფლობელის მიმართ იმ უფლებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვა საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადახდის უზრუნველსაყოფად ქონებაზე გირავნობის უფლების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციამდე.

4. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს აღძრას სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი ამ მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

5. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა საგადასახადო ორგანოს წინაშე გადასახადის გადახდის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლების მოხსნის თაობაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ უნდა გამოაქვეყნოს სათანადო გადაწყვეტილება.

6. ქონება, რომლის მიმართაც დადგენილია გირავნობის უფლება გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად, რჩება გადასახადის გადამხდელის მფლობელობასა და სარგებლობაში, და იგი პასუხისმგებელია მისი დაცვისათვის.

7. დავალიანების დაფარვისას გირავნობის უფლება ექვემდებარება გაუქმებას.

მუხლი 245

ქონებაზე ყადაღის დადება

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადაუხდელი თანხის გადახდევინება მოახდინოს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით დადგენილი წესით. საგადასახადო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს პოლიციელის დასწრება ყადაღის დადების პროცედურის შესრულების მომენტში.

2. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადახდევინება მიაქციოს ქონებაზე, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მოვალეს, სულ ცოტა, ოცდაათი დღით ადრე.

3. თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, მას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდა და, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, მიაქციოს გადახდევინება ქონებაზე ყადაღის დადებით ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გათვალისწინების გარეშე.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით ყადაღადადებული ქონების ამოღება და შენახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 246

მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა

1. თუ გადასახადის გადამხდელის ქონება მესამე პირის მფლობელობაშია, ან მესამე პირს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის ქონებაზე, რომელზედაც მიქცეულია გადახდევინება, მაშინ ეს პირი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნით, აღნიშნული ქონება ან მასზე უფლება გადასცეს საგადასახადო ორგანოს.

2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის პირი მატერიალურად პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე მასთან არსებული ქონების ან მასზე უფლების თანხით, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რომლის მისაღებადაც ქონებაზე მიქცეულია გადახდევინება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულების გარდა, თუ მოთხოვნის შეუსრულებლობას არა აქვს რაიმე გონივრული გამართლება, ამ პირს ფინანსური სანქციის სახით დამატებით ეკისრება ჯარიმა ამავე ნაწილის მიხედვით გადახდევინებას დაქვემდებარებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

4. პირს, რომელმაც შეასრულა პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, მისი შესრულების მომენტიდან ეხსნება ვალდებულება გადასახადის გადამხდელის ან სხვა პირის წინაშე საგადასახადო ორგანოსათვის გადაცემული ქონების ან მასზე უფლების ღირებულების ოდენობით და, ამგვარად, იგი თავისუფლდება იმ დანაკარგებსა და ზარალთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ მოთხოვნის შესრულების შედეგად.

მუხლი 247

ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია

1. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია ხდება სპეციალიზებულ ღია აუქციონზე, რომლის ჩატარების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში იფარება რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, შემდეგ კი — გადასახადის, ჯარიმისა და საურავის თანხები. დარჩენილი სახსრები უბრუნდება გადასახადის გადამხდელს სამი საბანკო დღის განმავლობაში. რეალიზაციას ექვემდებარება ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების თანხების ანაზღაურებას.

3. გადასახადის გადამხდელისაგან ამოღებული უცხოური ვალუტის კონვერტაციას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

მუხლი 248

გადასახადის გადამხდელისათვის კუთვნილი თანხების გადახდევინება

გადახდევინების პროცედურისა და ამ კოდექსის 245-ე მუხლის მიხედვით შეტყობინების შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:

ა. გაუგზავნოს მესამე პირებს (მათ შორის ბანკს ან სხვა საფინანსო დაწესებულებას) შეტყობინება, რომელიც ითვალისწინებს იმ თანხის გადახდას უშუალოდ საგადასახადო ორგანოსათვის, რომელიც ეკუთვნის გადასახადის გადამხდელს დებიტორებისაგან, ან

ბ. აწარმოოს საინკასო დავალებით (განკარგულებით) კუთვნილი თანხის ჩამოწერა გადასახადის გადამხდელის დებიტორების საბანკო ანგარიშებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საფინანსო დაწესებულებებში უცხოური ვალუტის ანგარიშის არსებობის შემთხვევაში ეს საფინანსო დაწესებულება უცხოურ ვალუტას გადარიცხავს საქართველოს ეროვნულ ბანკში კონვერტირების მიზნით.

მუხლი 249

ქონების მიმღების პასუხისმგებლობა გადასახადის გადახდისათვის

თუ გადასახადის გადამხდელმა არ შეასრულა თავისი საგადასახადო ვალდებულებები, პირი, რომელიც იღებს ასეთი გადასახადის გადამხდელის ქონებას, წარმოადგენს მეორე ვალდებულ პირს ამ გადასახადთან მიმართებით, მის მიერ მიღებული ქონებისა და გადამცემი პირის მიერ გადაუხდელი თანხის ფარგლებში.

მუხლი 250

გადასახადების მიხედვით უიმედო ვალების ჩამოწერა

გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიხედვით უიმედო ვალები ჩამოიწერება, თუ:

ა. გადასახადის გადახდაზე მოთხოვნის წარდგენის ვადა გასულია, ან გადასახადის გადამხდელი საგადასახადო დარღვევებისათვის პასუხისგებაშია მიცემული;

ბ. საგადასახადო ვალდებულებები შეწყვეტილია ამ კოდექსით ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილ საფუძველზე.

თავი 43

პასუხისმგებლობა

მუხლი 251

პასუხისმგებლობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისას

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებელი თანხა გადახდება იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლისაგანაც პირმა მიიღო შემოსავალი გადასახადის დაკავების გარეშე.

მუხლი 252

საურავი ვადაგასულ საგადასახადო გადასახდელებზე

1. თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს ვადაზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე.

2. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით გადასახადის ზედმეტად გადახდევინების შემთხვევაში პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელისათვის ანაზღაურების შესახებ დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე. იმ შემთხვევაში, თუ ნამეტი თანხა ჩაითვალა, ანაზღაურებად ჩაითვლება იმ გადასახადის გადახდის თარიღი, რომლისთვისაც მოხდა ჩათვლა. ამ მიზნით ანაზღაურება ჩაითვლება განხორციელებულად, თუმცა გადასახადის გადამხდელი დაბრუნებულ თანხას მიიღებს შვიდი დღის განმავლობაში. გადასახდელი პროცენტი ყოველი კვარტალისათვის უთანაბრდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს.

მუხლი 253

ჯარიმა დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის

1. გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც დადგენილ ვადებში არ წარადგენენ საგადასახადო დეკლარაციასა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშების ფორმებს, ფინანსური სანქციის სახით ეკისრებათ ჯარიმა იმ თანხის 5 პროცენტის ოდენობით, რომელიც ნაჩვენები უნდა იყოს ყოველი დაგვიანებული სრული (არასრული) საგადასახადო თვის დეკლარაციაში, მაგრამ არა უმეტეს აღნიშნული თანხის 25 პროცენტისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გამოანგარიშებული ჯარიმა არ შეიძლება იყოს 200 ლარზე ან გადაუხდელი გადასახადის 20 პროცენტზე მეტი დეკლარაციის წარუდგენლობის ყოველი სრული (არასრული) თვისათვის.

3. ამ თავის მიზნებისათვის გადაუხდელი გადასახადი არის სხვაობა გადასახდელ თანხასა და მოცემული დროისათვის გადახდილ თანხას შორის.

მუხლი 254

ჯარიმები გადასახადების შემცირებისათვის

1. დეკლარაციაში გადასახადის ოდენობის შემცირებისათვის, რის შედეგადაც ადგილი აქვს კუთვნილი გადასახადის გადაუხდელობას, გადასახადის გადამხდელი ფინანსური სანქციის სახით ჯარიმდება გადასახადის შემცირებული თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შემცირება დიდი ოდენობითაა, მაშინ გადასახადის გადამხდელი ჯარიმდება შემცირებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

3. გადასახადის დიდი ოდენობით შემცირებად ითვლება, როცა იგი აღემატება 2.000 ლარს იმ შემთხვევაში, თუ მოცემული თანხა მეტია დეკლარაციაში აღნიშნული გადასახადის 25 პროცენტზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება შესაბამისი ორგანოების მიერ მიცემული არასწორი წერილობითი მითითებების შედეგად გადასახადის თანხის შემცირებისას.

მუხლი 255

ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა

1. ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება შემდეგი სახის სანქციები:

ა. ჯარიმა ფინანსური სანქციის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე შესრულებული გასაელის ოპერაციების თანხის 10 პროცენტის ოდენობით — იმ შემთხვევაში, თუ მათ არ შეასრულეს ამ კოდექსის 233-ე მუხლის „ა" და „ბ" პუნქტების მოთხოვნები.

ბ. საურავი იურიდიულ პირთა საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერის რიგითობის დაუცველობისა და გადასახადის გადამხდელი-კლიენტის ანგარიშებიდან ჩამოწერილი თანხის ბიუჯეტის შემოსავალში დაგვიანებით ჩარიცხვისათვის, აგრეთვე ბიუჯეტში გადასახადების გადახდის თაობაზე გადამხდელისათვის საგადასახადო დავალებების შეუსრულებლად დაბრუნებისათვის — ამ კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობით. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს საურავი არ ერიცხებათ.

თავი 44

დავათა გადაჭრა

მუხლი 256

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა

1. გადასახადის გადამხდელს, რომელსაც სადავოდ მიაჩნია დარიცხული გადასახადის თანხა ან საგადასახადო ორგანოს სხვა გადაწყვეტილებები, შეუძლია მიმართოს ამ გადაწყვეტილების მიმღებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობით და მოითხოვოს მისი გადასინჯვა. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებები და დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ გადასახადის გადამხდელის თხოვნას. შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის დარიცხვის ან სხვა გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 60 დღის ვადაში.

2. საგადასახადო ორგანო განიხილავს გადასახადის გადამხდელის შუამდგომლობას, გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აცნობებს ამის შესახებ გადასახადის გადამხდელს 20 დღის ვადაში.

3. საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აპელაცია შეიძლება გაეგზავნოს ზემდგომ საგადასახადო ორგანოს, რომელიც ვალდებულია აცნობოს გადამხდელს თავისი გადაწყვეტილება 20 დღის ვადაში. ზემდგომი საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში, რომელიც თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს გადამხდელს 20 დღის ვადაში.

4. ყოველი შემდგომი აპელაცია წარდგენილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი 20-დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხოლო გადასახადის გადამხდელის მიერ გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში — შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დარიცხული გადასახადის გადახდის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს შეუძლია პირდაპირ მიმართოს საქართველოს საგადასახადო ინსპექციას ან სასამართლოს.

მუხლი 257.

მტკიცების ტვირთი

გასაჩივრების პროცესში საგადასახადო დარიცხვის მცდარობის მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს.

კარი XV
საქართველოს საგადასახადო ინსპექციის სტატუსი და სტრუქტურა
თავი 45
ზოგადი დებულებანი

მუხლი 258

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ძირითადი ფუნქციები

საქართველოს საგადასახადო ინსპექციისა და მისი ორგანოების ძირითადი ფუნქციებია:

ა. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ. გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

გ. გადასახადის გადამხდელისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება;

დ. გადასახადის გადამხდელთა დროული ინფორმირება საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებათა შესახებ.

მუხლი 259

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს საგადასახადო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 260

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის სტატუსი და სტრუქტურა

1. საქართველოს საგადასახადო ინსპექცია არის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის კონტროლის ერთიანი სახელმწიფო და ცენტრალიზებული მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შედის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. მხოლოდ საგადასახადო ორგანოები არიან უფლებამოსილნი უზრუნველყონ გადასახადების სრულად და დროულად გადახდის სახელმწიფო კონტროლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია გადასახადის აკრეფა სხვა ორგანოების მიერ.

2. საქართველოს საგადასახადო ინსპექცია შედგება ცენტრალური აპარატის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციებისა და საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოსაგან.

3. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველო არის აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანო მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების უფლებით. იგი უზრუნველყოფს საგადასახადო სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას, საგადასახადო ორგანოების საქმიანობის უსაფრთხოებასა და მათი მუშაკების დაცვას სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

4. საქართველოს საგადასახადო ინსპექციას ხელმძღვანელობს ინსპექციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინპექციების უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების საგადასახადო ინსპექციები ექვემდებარებიან საქართველოს საგადასახადო ინსპექციას.

7. ოპერატიული სამმართველო აერთიანებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების შესაბამის სამსახურებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ოპერატიული სამმართველოს ცენტრალურ აპარატს. ოპერატიული სამმართველოს სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი.

8. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

9. საგადასახადო ორგანოები ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მუხლი 261

საგადასახადო ორგანოების ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან

1. საგადასახადო ორგანოები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ დამოუკიდებლად და საჭიროებისამებრ თანამშრომლობენ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან.

2. აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ საგადასახადო ორგანოებს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და გადასახადის გადახდაზე კონტროლის დაწესების მიზნით. ამავე მიზნით საბაჟო ორგანოები ვალდებულნი არიან რეგულარულად წარუდგინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო ინსპექციას. აკრძალულია საგადასახადო ორგანოების საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 262

მინდობილი უფლებამოსილების დელეგირების აკრძალვა

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს ეკრძალება საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისთვის დაკისრებული ვალდებულების ან მინდობილი უფლებამოსილების გადაცემა სხვა თანამშრომლისათვის.

მუხლი 263

წლიური ანგარიშები

1. ყოველი საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ სამი თვის ვადაში საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი აქვეყნებს საქართველოს საგადასახადო სისტემის მუშაობის ანგარიშს.

2. ანგარიშში უნდა შევიდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა. გადასახადების თანხები, რომლებიც აკრეფილია საქართველოს საგადასახადო ინსპექციის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადების სახეებისა და რეგიონების მიხედვით;

ბ. გადასახადებზე დავალიანებათა თანხები სათანადო დაყოფით;

გ. ხარჯები, რომლებიც გასწია საქართველოს საგადასახადო ინსპექციამ გადასახადის აკრეფის პროცესში;

დ. სტატისტიკური მონაცემები საგადასახადო შენატანების ელემენტების მიხედვით;

ე. საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების დადებითი და უარყოფითი მხარეების აღწერა;

ვ. იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომლებსაც დაერიცხათ გადასახადი და რომლებმაც დარიცხული გადასახადი არ გადაიხადეს სრულად, თუ გადაუხდელი თანხა აღემატება 10.000 ლარს.

თავი 46
საგადასახადო ორგანოთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 264

საგადასახადო ორგანოთა მოვალეობანი

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან:

ა. დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები, გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა;

ბ. უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროული აღრიცხვა, აწარმოონ დარიცხული და ბიუჯეტებსა და სპეციალურ ფონდებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა; შეადგინონ გადახდილი გადასახადების ანგარიშგება;

გ. აწარმოონ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასული ჩამორთმეული და უპატრონო ქონების აღრიცხვა, შეფასება და რეალიზაცია;

დ. აწარმოონ სავალუტო ოპერაციების კონტროლი შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით;

ე. დაუბრუნონ გადასახადის გადამხდელებს გადასახადების დარიცხულ თანხასთან შედარებით ზედმეტად გადახდილი თანხები ამ კოდექსის 240-ე მუხლის მიხედვით;

ვ. დაიცვან გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება ამ კოდექსის 268-ე მუხლის დებულების შესაბამისად;

ზ. შეიმუშაონ დეკლარაციების და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები;

თ. აწარმოონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და შეიტანონ შესაბამისი წინადადებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

ი. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს ქვედანაყოფების მეშვეობით აწარმოონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ. გამოავლინონ და აღკვეთონ სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადის გადაუხდელობასთან ან ჩადენილია მოგების (შემოსავლის) დამალვის ან შემცირებისა და სხვა დასაბეგრი ობიექტების დამალვის მიზნით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევები, რის შედეგადაც ზარალი ადგება სახელმწიფოს გადასახადების გადაუხდელობისა ან/და არასრულად გადახდის გამო;

ლ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის უსაფრთხოება, მის თანამშრომელთა დაცვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

მ. გამოავლინონ გადასახადისათვის თავის ამრიდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

მუხლი 265

საგადასახადო ორგანოთა უფლებები

ამ კოდექსის დებულებათა გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ:

ა. შეამოწმონ იურიდიული პირების (განსაკუთრებული რეჟიმით მომუშავე იურიდიულ პირთა ჩათვლით) და ფიზიკური პირების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადებისა და ბიუჯეტში სხვა გადასახდელების გაანგარიშებისა თუ გადახდის სხვა დოკუმენტები; მიიღონ თანამდებობის პირებისა და საწარმოს სხვა თანამშრომლებისაგან, აგრეთვე მოქალაქეებისაგან წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები აღნიშნული შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

ბ. გამოიკვლიონ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა;

გ. მისცენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს სავალდებულოდ შესასრულებელი მითითებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ და გააკონტროლონ მათი შესრულება;

დ. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს საგადასახადო კანონმდებლობა, გამოიყენონ საგადასახადო სანქციები ამ კოდექსის მიხედვით და ჯარიმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე. ამოიღონ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადი, ფინანსური სანქციის სახით დაკისრებული ჯარიმა და საურავი, აგრეთვე ადმინისტრაციული ჯარიმა საწარმოებისაგან, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან;

ვ. კანონით დადგენილ შემთხვევებში შეადგინონ ოქმები საწარმოთა, თანამდებობის პირთა ან მოქალაქეთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე და გამოიტანონ დადგენილება ფინანსური სანქციებისა და ადმინისტრაციული სასჯელების შესახებ;

ზ. დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ სავაჭრო და სხვა საწარმოებში, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებთან, საქონლის (პროდუქციის) საკონტროლო შესყიდვა;

თ. სამსახურებრივი მიზნებისათვის მიიღონ მონაცემები, ცნობები, აგრეთვე დოკუმენტები სამეწარმეო საქმიანობის, შესამოწმებელი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების მდგომარეობისა და ოპერაციების შესახებ ბანკებიდან და სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 266

საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა

1. საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის არაკანონიერი ქმედების შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 267

ინტერესთა კონფლიქტი

საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს ეკრძალებათ პროფესიულ ვალდებულებათა შესრულება იმ გადამხდელის მიმართ:

ა. რომელთანაც თანამშრომელი ნათესაურ კავშირშია;

ბ. რომლის მიმართაც ამ თანამშრომელს ან მის ნათესავს აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი.

მუხლი 268

მონაცემთა საიდუმლოება

1. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, და უფლება აქვს გადასცეს ეს ინფორმაცია მხოლოდ შემდეგ პირებს:

ა. საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს – ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ. სამართალდამცავ ორგანოებს – იმ პირთა შესახებ, რომლებიც კანონით იდევნებიან საგადასახადო სამართალდარღვევათა ჩადენისათვის;

გ. სასამართლოებს – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით;

დ. სხვა ქვეყნების საგადასახადო ორგანოებს – საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიხედვით;

ე. სახელმწიფო ფონდებს – სახელმწიფო ფონდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების აღსრულების მიზნით;

ვ. საბაჟო ორგანოებს – საბაჟო კანონმდებლობის ადმინისტრირების მიზნით, აგრეთვე ორგანოებს, რომელთაც აქვთ გადასახადის ადმინისტრირების უფლება ამ კოდექსის მიხედვით – ამ გადასახადების ადმინისტრირების მიზნით.

2. საგადასახადო ორგანოების თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და გამოიყენონ მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რის გამოც ნებადართულია მათთვის ამ ინფორმაციის წარდგენა.

3. პირს, რომელმაც მიიღო ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, უფლება არა აქვს გასცეს ამ ინფორმაციის საიდუმლოება და ვალდებულია მისი ამსახველი დოკუმენტები დაუბრუნოს საგადასახადო ორგანოს.

4. ინფორმაციას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელს, შეიძლება გაეცნოს სხვა პირი, თუ მისი თხოვნით გადასახადის გადამხდელი დაადასტურებს თავის თანხმობას პირადად ან წერილობით.

5. ეს მუხლი არ გამოიყენება ამ კოდექსის 263-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული, გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი ინფორმაციის მიმართ.

თავი 47
საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა

მუხლი 269

საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა

1. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებზე ვრცელდება პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

2. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებისათვის კანონმდებლობით დადგენილია საკლასო ჩინები და ერთიანი ფორმის განსაცმელი.

3. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება „შინაგან საქმეთა ორგანოს რიგითი და ხელმძღვანელი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 270

საგადასახადო ორგანოთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდი

1. საგადასახადო ორგანოთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდი იქმნება საგადასახადო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლების მიხედვით ბიუჯეტსა და სპეციალურ ფონდებში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების შესაბამისად შემდეგი ოდენობით:

ა. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 70 პროცენტიდან 80 პროცენტამდე შესრულებისას – 70 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 3 პროცენტი;

ბ. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 80 პროცენტიდან 90 პროცენტამდე შესრულებისას – 80 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 5 პროცენტი;

გ. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 90 პროცენტიდან 100 პროცენტამდე შესრულებისას – 90 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 10 პროცენტი;

დ. ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდების შემოსავალთა დავალების 100 პროცენტით მეტი შესრულებისას – 100 პროცენტზე ზევით ჩარიცხული თანხის 15 პროცენტი.

2. მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდის გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო ინსპექცია.

თავი 48
დასკვნითი და გარდამავალი დებულებანი

მუხლი 271

საგადასახადო კოდექსის ამოქმედება

1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მუხლებისა და კარებისა.

2. ამ კოდექსის:

ა. 64-ე მუხლი – „გადახდის წყაროსთან არარეზიდენტთა დაბეგვრა“, კარი III – „დამატებული ღირებულების გადასახადი“ (92-94-ე მუხლების გარდა. ეს მუხლები ამოქმედდეს ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს), კარი IV – „აქციზი“ – ამოქმედდეს 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ. კარი II – „სამემოსავლო და მოგების გადასახადები“ (გარდა 64-ე მუხლისა), კარი V – „ქონების გადასახადი“, კარი VI – „მიწის გადასახადი“, კარი VII – „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი“, კარი VIII – „გადასახადი ქონების გაცემისათვის“, კარი IX – „სოციალური გადასახადი“, კარი X – „გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის“, კარი XI – „გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის“, კარი XII – „გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის“ – ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან;

გ. მუხლი 245-ე – „ქონებაზე ყადაღის დადება“ და მუხლი 247-ე – „ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია“ – ამოქმედდეს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანისთანავე;

დ. 112-ე და 130-ე მუხლები მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაბეგვრასთან დაკავშირებით – ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 272

ნორმატიული აქტები, რომლებიც ძალას კარგავს საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით

ამ კოდექსის 271-ე მუხლში მითითებული შესაბამისი მუხლებისა და კარების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს შემდეგი კანონები:

1. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 231) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 23 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 234) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

3. „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 244) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

4. „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 246) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

5. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 240) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

6. „აქციზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 242) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

7. „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 233) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

8. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, 1993 წ., მუხ. 248) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

9. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21-22, 1994 წ., მუხ. 475) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

10. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპულიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება №9-10 (41-42/11), 15 მარტი, 1997 წ.) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

11. „საქართველოს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება №1-2, (33-34/7), 22 იანვარი, 1997 წ.):

ა. პირველი და მე-2 მუხლები – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს;

ბ. მე-3, მე-5 და მე-6 მუხლები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

გ. მე-4, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები – 1998 წლის 1 იანვრიდან.

12. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1997 წლის 1 მაისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №21-22, 31 მაისი, 1997 წ.) – ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

13. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21-22, 1994 წ., მუხ. 471) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

14. „საგადასახადო კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 15 ივნისის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27-30, 1994-1995 წ., მუხ. 638):

ა. პირველი და მე-2 ნაწილები ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს;

ბ. მე-3 და მე-4 ნაწილები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

15. „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 9 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №9, მაისი, 1996 წ.):

ა. მე-11, მე-12 და მე-18 მუხლები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ. მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 მუხლები – 1998 წლის 1 იანვრიდან.

16. „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1996 წლის 7 მარტის კანონი (პარლამენტის უწყებანი, დამატება №004, აპრილი, 1996 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

17. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1997 წლის 5 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №7-8, (39-40/10), 27 თებერვალი 1997 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

18. „გრანტით მიღებული საქონლისა და ფულადი სახსრების დაბეგვრის თაობაზე“ საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №19-20, ივნისი, 1996 წ.):

ა. მე-2 და მე-3 პუნქტები – 1997 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ. მე-4 და მე-5 პუნქტები – 1998 წლის 1 იანვრიდან.

19. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, №9-10, (41-42/11), 15 მარტი, 1997 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

20. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21-22, 1994 წ., მუხ. 467) – კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

21. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1997 წლის 14 მაისის კანონი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №124, 31 მაისი, 1997 წ.) – 1998 წლის 1 იანვრიდან.

22. „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 14 ივნისის კანონის 32-ე მუხლი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27-30, 1994-95 წ., მუხ. 633) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

23. „აქციზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №9-10 (41-42/11), 15 მარტი, 1997 წ.) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

24. „აქციზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21-22, 1994 წ., მუხ. 479) – 1997 წლის 1 სექტემბრიდან.

25. „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 2 სექტემბრის კანონი (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №№31-33, მუხ. 683) – 2001 წლის 1 იანვრიდან, გარდა ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებისა, რომლებიც ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1998 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 273

გარდამავალი დებულებები

1. საგადასახადო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების ღირებულებითი ბალანსი 1998 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვროს 1997 წლის ბოლოსათვის ამ საშუალებების ნარჩენი ღირებულებით.

2. 2000 წლის 31 დეკემბრამდე მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დროს იმპორტიორის გადასახდელ გადასახადად განისაზღვროს:

ა. აქციზი – 0,1 ლარის ოდენობით იმპორტული ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე.

ბ. დამატებული ღირებულების გადასახადი – 5%-ის ოდენობით.

3. ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოებისათვის, 2000 წლის 1 იანვრამდე პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდების მოცულობა განისაზღვროს ფაქტობრივად ანაზღაურებული ღირებულების მიხედვით.

4. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საგადასახადო კოდექსს შეუსაბამოს გადასახადებთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები.

5. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა შეიმუშაოს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტი საგადასახადო ორგანოების მიერ ქონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივი მექანიზმის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1997 წლის 13 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.